CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 30 ნოემბერი, 2009 წელი. №261 (2299) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

პრესომბუდსმენი
A3



მატარებლის აფეთქების ადგილზე ბომბი იპოვნეს
A8

მათზე, ვისაც K.P. უყვარს
A9

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

როდესაც ასე ახლოა გრემი

სოფიო თოდუა

გერმანელი არისტოკრატი

თბილისში იშვიათად ნახავთ მოსწავლეს (შეგამისად - მათს მშობლებსა და მასწავლებლებს), ერთხელ მაინც რომ არ იყოს ნამყოფი გრემში. არცაა გასაკვირი, რადგან გრემი მართლაც უმშვენიერესი ადგილია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ხედი, რომელიც ეკლესიის გალავნიდან იშლება, მათ შორის - დიდ ფართობზე გადაჭიმული ზვრები. ზვრები კარგია, რადგან კარგ ღვინოს ბევრი ფული მოაქვს, ბევრი ფულიდან კი მცირედი ღარიბებსაც თუ შეხვდებათ, ამას რა ჯობია! იქვე, სოფელში, ერთი ძველებური შენობა დგას, კახური და ევროპული არქიტექტურის უცნაური ნაზავი. ეს შტეინების სახლია, თუმცა სახლის მეპატრონეები, კარგა ხანია, აქ აღარ ცხოვრობენ. ოჯახის უკანასკნელი წარმომადგენლები, ღრმად მოხუცებული დედა და ხანშიშესული ქალიშვილი, იძულებულნი გახდნენ, 90-იან წლებში სახლი გაეყიდათ და რუსეთში გადასახლებულიყვნენ.

გაგრძელება A6 გვერდზე

მოულოდნელი კრიზისი დუბაიში

მსოფლიოს ეკონომიკამ, რომელმაც დაიწყო გამოსვლა უკანასკნელი ათწლეულების ყველაზე დიდი კრიზისიდან, მიიღო დიდი დარტყმა. საუბარია რა თქმა უნდა დუბაის დეფოლტზე, როდესაც დუბაიმ მიმართა ემირატის უდიდესი ჰოლდინგის "დუბაი მსოფლიო" (Dubai World) 60 მილიარდიანი ვალის გადავადების წინადადებით ჰოლდინგის კრედიტორებს. უნდა აღინიშნოს, რომ

"დუბაი მსოფლიო" არ არის მხოლოდ დიდი კომერციული სტრუქტურა. ეს არის სახელმწიფო ჰოლდინგი, რომელსაც დუბაის მმართველი შეიხი მუჰამედი იყენებდა ემირატის განვითარების მთავარ იარაღად. ჰოლდინგი ახორციელებს უამრავ კომერციულ პროექტს მთელ მსოფლიოში, ფლობს სხვადასხვა დარგის ფირმებს. მისი კომერციული ინტერესების სფერო არის უაღრესად ფართო: ფინანსები, უძრავი ქონება, საცალო ვაჭრობა, სატრანსპორტო მომსახურება. მაგრამ მთავარი ჰოლდინგის საქმიანობაში იყო დუბაისთან დაკავშირებული პროექტები, მათ შორის ფართოდ ცნობილი პროექტი პალმის ფორმის კუნძულისა, სადაც შენდება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული აპარტამენტები და რომელიც გახდა დუბაის სავიზიტო ბარათი. ამ პროექტების მეშვეობით შეიხი მოჰამედი აპირებდა მოეხდინა დუბაის ეკონომიკის დივერსიფიკაცია, რომ ის არ ყოფილიყო დამოკიდებული მხოლოდ ნავთობის მოპოვებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მას ჰქონდა დიდი წარმატებები. დუბაი გადაიქცა არა მარტო რეგიონის, არამედ მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ფინანსურ და სავაჭრო ცენტრად. მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობით ერთ სულ მოსახლეზე ის დიდი ხანია დაეწია ბევრ განვითარებულ ქვეყანას.

დუბაის კრიზისი აღმოჩნდა დიდი მოულოდნელობა მსოფლიოსთვის. ის მოხდა იმ მოულოდნელ დროს, როდესაც გლობალურმა ეკონომიკამ დაიწყო გამოსვლა კრიზისიდან და მოულოდნელ ადგილას, რეგიონში, რომელიც ნავთობზე მაღალი ფასების ეპოქაში პირდაპირ ცურავს ნავთობდოლარებში.

მთავარი კითხვა, რომელიც წარმოშვა დუბაის დეფოლტმა, არის ის თუ რა გავლენას მოახდენს ეს დეფოლტი მსოფლიოს და რეგიონის ეკონომიკაზე, ხომ არ არის აქტუალური რეცესიის განახლების საშიშროება.

გაგრძელება A4 გვერდზე

საარჩევნო თემატიკა აქტიურდება

"ლეიბორისტთა" ახალი ინიციატივა - არჩევნები გაერო-ს ეგიდით

დღეს "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში ოპოზიციის ლიდერები იკრიბებიან. ისინი "ლეიბორისტთა" ინიციატივაზე იმსჯელებენ. კერძოდ, საუბარია მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების გაერო-ს ეგიდით ჩატარებაზე.

როგორც "24 საათს" "ლეიბორისტთა" ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი გუგავამ განუცხადა, ამ ეტაპზე საუბარია ზოგადად პრინციპზე, რომ გარდამავალ პერიოდში საქართველოში ყველა არჩევნები გაერო-ს ეგიდით ჩატარდეს. **"დიქტატორული რეჟიმის პირობებში სხვა გამოსავალი არ არის,"** - დასძინა გუგავამ. მისივე თქმით, პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა აღნიშნული ინიციატივა გაერო-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას დააყენა.

გუგავას განმარტებით, ნათელაშვილს გაერო-ში განუცხადეს, რომ არსებობს ამ საკითხის გენერალურ ასამბლეაზე ან უშიშროების საბჭოს სხდომაზე განხილვის შესაძლებლობა. თუმცა, ამას წინ უნდა უსწრებდეს საქართველოს ოპოზიციური სპექტრის თანხმობა აღნიშნულ ინიციატივაზე.

"24 საათის" ინფორმაციით, დღევანდელ შეხვედრაში თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაციის წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. "ალიანსი საქართველოსთვის" სახელით, ღონისძიებას ვიქტორ დოლიძე დაესწრება. როგორც "24 საათს" დოლიძემ განუცხადა, ისინი, ბუნებრივია, იწონებენ საერთაშორისო ჩართულობის იდეას. **"დანარჩენი უშუალოდ შეხვედრაზე გაირკვევა,"** - დასძინა ალასანიას გუნდის წევრმა.

"ლეიბორისტების" შტაბ-ბინას დღეს "ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მელაშვილიც ეწვევა. აქ ასევე ვიხილავთ "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" წარმომადგენელ ეკა ბესელიას, "ხალხის პარტიის" ლიდერ კობა დავითაშვილს. მათ წინასწარ კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავეს.

"დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერი ნინო ბურჯანაძე "ლეიბორისტების" მიერ ორგანიზებულ ოპოზიციის ლიდერთა შეხვედრას არ დაესწრება. პარტიის წარმომადგენელ რომან კუსიანის ინფორმაციით, ბურჯანაძე დღეს ბორჯომში, რეგიონულ აქტივისტებს უნდა შეხვდეს, რის გამოც "ლეიბორისტებთან" მისვლას ვერ მოახერხებს.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშშ-ში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი დაიწყო. აშშ-ში ნიკა გილაური დიდი ბრიტანეთიდან გაემგზავრება, სადაც ის სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი ნიუ-იორკში, კონფერენციას "Georgia Investment " დაესწრება, სადაც ის საქართველოს საინვესტიციო გარემოს შესახებ ისაუბრებს.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, გილაური ბრიტანეთში 25 ნოემბერს გაემგზავრა და ვიზიტის ფარგლებში საგარეო პოლიტიკის საკითხებში ლიბერალ-დემოკრატების წარმომადგენელ ედუარდ დეივის, ჩრდილოვან საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰაგს და ევროპის საკითხებში ჩრდილოვან მინისტრ მარკ ფრანსუას შეხვდა. დიდ ბრიტანეთში ყოფნისას პრემიერ-მინისტრმა ასევე ლონდონში ბიზნეს ფორუმი "Invest in Georgia" გახსნა.

სოხუმში რუსეთის ვიცე-პრემიერი და ტრანსპორტის მინისტრი ჩავლენ

რუსეთის ვიცე-პრემიერი და ტრანსპორტის მინისტრი სოხუმში ჩასვლას გეგმავენ. ამის შესახებ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა მოსკოვში აფხაზ ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა. მისი განმარტებით, მხარეები სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების, საჰაერო და სარკინიგზო სფეროში რუსეთის დახმარების საკითხებს განიხილავენ. ამასთან, მარიონეტული რეჟიმის ლიდერის თქმით, საუბარი ახალი გზების მშენებლობასაც შეეხება, რომელიც სამხრეთსა და ჩრდილოეთს კავკასიის ქედის გავლით დააკავშირებს. რაც შეეხება სოხუმის აეროპორტის აღდგენას, სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, ბაგაფში განმარტავს, რომ რეისები პირველ ეტაპზე მხოლოდ მოსკოვი-სოხუმის მიმართულებით შესრულდება, რადგან საერთაშორისო საავიაციო კომიტეტი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას არ ცნობს.

ირაკლი ალასანია დევნილებს შეხვდა

"ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერი ირაკლი ალასანია წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე დედაქალაქის მოსახლეობის პრობლემებს ეცნობა. ირაკლი ალასანია გუშინ იაშვილის სახელობის საავადმყოფოში მცხოვრებ დევნილებს შეხვდა. როგორც ალასანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე - მანამდე, ვიდრე მოსახლეობასთან კონკრეტული წინადადებებით მივა, მათი პრობლემებისა და საჭიროებების ადგილზე გაცნობაა აუცილებელი.

სააგენტო " ინტერპრესნიუსის " ცნობით, იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 65 ოჯახი ცხოვრობს. ისინი უმთავრეს პრობლემად უმუშევრობას და ომის ვეტერანებისადმი ხელისუფლების მხრიდან არაერთგვაროვან დამოკიდებულებას ასახელებენ.

ირაკლი ალასანიაც და დევნილებიც უმნიშვნელოვანეს პრობლემად იმ ფაქტს მიიჩნევენ, რომ გადაუმოწმებელი ინფორმაციით, მათი საცხოვრებელი შენობა გაყიდულია და თავშესაფრის გარეშე დარჩენა ემუქრებათ. ამასთან, დევნილებისთვის უცნობია, მართლა მიიღებენ თუ არა ხელისუფლების მიერ დაპირებულ კომპენსაციას.

ოსი სეპარატისტები მრგვალ მაგიდას გამართავენ

ოსი სეპარატისტები მრგვალი მაგიდის ჩატარებისთვის ემზადებიან, რომელიც რესპუბლიკაში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას უნდა მიეძღვნას. ე. წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, აღნიშნული ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური უნდა იყოს. ამას რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარებისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს წარმომადგენლების აქტიური ჩართულობაც ადასტურებს.

"მრგვალი მაგიდის ჩატარება 1-ლი დეკემბრისთვის არის დაგეგმილი. აღნიშნული ღონისძიების მთავარი მიზანი, რისი მიღწევის იმედიც აქვს სამხრეთ ოსეთს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის სამი უმნიშვნელოვანესი ხელშეკრულების ხელმოწერაა. ესენია: ხელშეკრულება სავაჭრო წარმომადგენლობების გახსნის შესახებ, ხელშეკრულება ურთიერთმხარდაჭერისა და კაპიტალდაბანდებების დაცვის შესახებ და ხელშეკრულება სავაჭრო რეჟიმის შესახებ," - აცხადებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსანდრე ჟმაილო და დასძენს, რომ ცხინვალში დაგეგმილი მრგვალი მაგიდა მოწოდებულია არა იმდენად ინვესტორებთან კონტაქტების დასამყარებლად, რამდენადაც მოსამზადებელი ბაზის შესაქმნელად წარმომადგენლობითი ეკონომიკური ფორუმისათვის, რომლის ჩატარებაც მომდევნო წლის დასაწყისში იგეგმება.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, იგეგმება ფორუმზე პოტენციული ინვესტორების დაპატიჟება, მათ შორის საზღვარგარეთიდან. "მაგრამ მათი ჩამოსვლისთვის აუცილებელია გასაგები და ინვესტორების მიმართ კეთილგანწყობილი ნორმატიული ბაზის შექმნა, რომელიც უკვე ფორუმის მსვლელობისას მოგვცემს საშუალებას კონტრაქტების გასაფორმებლად," - აცხადებს ჟმაილო.

საარჩევნო თემატიკა აქტიურდება

პირველი გვერდიდან

კუსიანის თქმით, ოპოზიციის შეხვედრა მხოლოდ პარტიის ლიდერების დონეზეა დაგეგმილი, რის გამოც შეხვედრას მოძრაობის სხვა წარმომადგენლები ვერ დაესწრებიან. **"ჩვენ მათ შევთავაზეთ წარმომადგენლების გაგზავნა, თუმცა შეხვედრის ფორმატის გამო შეთავაზება არ შედგა,"** - დასძინა კუსიანმა.

შეხვედრა 13.00 საათზეა დაგეგმილი. როგორც გუგავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მათ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც მიიპატიჟეს და თანხმობაც მიიღეს.

მზადება პრაიმერისთვის

პარალელურად ოპოზიცია პრაიმერის საკითხს განიხილავს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ოპოზიციის ერთიანი კანდიდატის გამოსავლენად პრაიმერი 31 მარტისთვის არის დანიშნული. "კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთ ლიდერ კახა კუკავას განცხადებით, დედაქალაქის მასშტაბით 50-მდე საარჩევნო უბნის შექმნა იგეგმება. მისივე თქმით, თბილისის მერისა და საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების წინასწარი არჩევნები პირდაპირი კენჭისყრის გზით გაიმართება, რასაც დამოუკიდებელი საარჩევნო ადმინისტრაცია ჩაატარებს.

რაც შეეხება რეგიონებს, კუკავას ინფორმაციით, რეგიონებში ქალაქის მაჟორიტარი კანდიდატები სოციოლოგიური (სატელეფონო) გამოკითხვების გზით გამოვლინდება, ხოლო სოფლის მაჟორიტარი კანდიდატები - სოფლის კრებაზე, კენჭისყრის გზით ან საარჩევნო კომისიის ყველა პარტიული წევრის კონსენსუსით. პრაიმერში გამარჯვებულად კი ის კანდიდატი დასახელდება, რომელიც 50 პროცენტს +1 ხმას დააგროვებს.

წინასწარი არჩევნების - ე.წ. პრაიმერის დებულების პროექტზე მუშაობა სამუშაო ჯგუფმა 24 ნოემბერს დაასრულა. პროექტის საჯარო განხილვა მომავალი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. შეჯერებულ ვარიანტს პრაიმერის მონაწილე პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა 7-8 დეკემბრამდე უნდა მოაწერონ ხელი.

ამ დროისთვის პრაიმერში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა - "კონსერვატორებმა", "ხალხის პარტიამ" და მოძრაობამ "სამართლიანი საქართველოსთვის" გამოთქვეს. კუკავას თქმით, პარტიებთან კონსულტაციები გრძელდება.

მოძრაობას "ალიანსი საქართველოსთვის" პრაიმერში მონაწილეობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიუღია.

როგორც გუშინ ჟურნალისტებს "ალიანსი საქართველოსთვის" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განუცხადა, კონსულტაციების და მსჯელობის შედეგად გირკვევა, რამდენად შესაძლებელია ახალი საარჩევნო კანონმდებლობის ფარგლებში სამართლიანი არჩევნების ჩატარება.

"ეროვნული ფორუმი" პრაიმერში მონაწილეობას არ მიიღებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობენ.

პოლიტიკურ გაერთიანება "მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" პრაიმერში მონაწილეობის საკითხზე ჯერჯერობით ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნია. მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ეკა ბესელიას თქმით, პრაიმერის ჩატარებამდე აუცილებელია სერიოზული ცვლილებები საარჩევნო კოდექსში. **"ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, მიიღებენ თუ არა პრაიმერში მონაწილეობას მსხვილი ოპოზიციური პარტიები ან სრულიად ოპოზიცია. ჩვენთვის მთავარია, როგორი საარჩევნო გარემო იქნება შექმნილი,"** - აღნიშნა მან.

საკუთარი ინფორმაცია

თომას ჰამერბერგი ცხინვალში არ შეუშვეს

მაგდა ლეკიაშვილი

ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი თომას ჰამერბერგი ოკუპანტებმა და მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა ცხინვალში არ შეუშვეს. მათ გადაწყვეტილებას ევროსაბჭოს უმაღლესი კომისარი რამდენიმე საათს ელოდა. სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ჰამერბერგი ტირძნისიდან გატაცებული ოთხი მოზარდის გათავისუფლების საკითხის დაყენებას აპირებდა, თუმცა მას კოკოითის რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლის საშუალება არ მიეცა. გარდა ამისა, ცხინვალის მხრიდან რამდენიმე გასროლაც მოხდა, რის გამოც კომისარმა ცხინვალის ტერიტორია დატოვა. როგორც ჰამერბერგმა აღნიშნა, ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების საკითხი მძიმეა და თან უამრავი პრობლემა ახლავს, მაგრამ მოლაპარაკებები მაინც გაგრძელდება. "ჩემი მიზანია, დაკავებული ბავშვები რაც შეიძლება მალე გათავისუფლდნენ. მოლაპარაკებები გრძელდება, მაგრამ ამ დრომდე გადაწყვეტილი არაფერია. მუშაობას გავაგრძელებ მანამ, სანამ შედეგი არ იქნება," - განაცხადა ევროკომისარმა.

მიუხედავად იმისა, რომ ევროსაბჭოს წარმომადგენელი გუშინ ცხინვალში არ შეუშვეს, ის ტერიტორიის გადალახვას მაინც შეეცდება, რათა ცხინვალის რეჟიმის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები გამართოს. "ცხინვალში აუცილებლად ჩავალ, მაგრამ როდის, ამის თქმა არ შემიძლია," - აღნიშნავს ევროსაბჭოს წარმომადგენელი.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობაში განმარტავენ, რომ ცხინვალში არაფერია ცნობილი იმის შესახებ, რომ თითქოს ჰამერბერგი ქალაქში არ შეუშვეს. დე ფაქტო ომბუდსმენმა დავით სანაკოევმა განმარტა, ევროკომისარს ცხინვალში ხვალ ელოდებიან და ჰამარბერგი რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლებთან გამართავს შეხვედრებს.

ევროსაბჭოში ადამინის უფლებათა დამცველი გუშინვე ერგნეთიდან გორში გადავიდა, სადაც პრეზიდენტის რწმუნებულს შიდა ქართლში ლადო ვარძელაშვილს შეხვდა. შეხვედრა საათზე მეტხანს გაგრძელდა და საუბარი, ძირითადად, ტირძნისიდან გატაცებული ბავშვების გათავისუფლებას ეხებოდა. თომას ჰამერბერგი განმარტავს, რომ ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატი ხანდახან ვერ ამართლებს. ოკუპირებულ ტერიტორიაზე ირღვევა და სათანადოდ არ არის დაცული ადამიანის უფლებები, რისი ნათელი მაგალითიც გატაცებული მოზარდების საქმეა. პირისპირ შეხვედრის დროს შიდა ქართლის გუბერნატორმა ევროსაბჭოს კომისარს სთხოვა, ყველა რესურსი გამოიყენოს გატაცებული ბავშვების გასათავისუფლებლად. ტირძნისიდან გატაცებულების გარდა, ყურადღება გამახვილდა ზაფხულში ოქროყანიდან გატაცებულ 6 ქართველზეც.

შეხვედრის შემდეგ ჰამერბეგმა აღნიშნა, რომ მან წარმოადგინა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ჯგუფების რეკომენდაციები, თუ რა უნდა გაკეთდეს დაზარალებული რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. "დაეხმაროს ინდივიდებს ყოველდღიურ ცხოვრებაში - ეს საერთაშორისო თანამეგობრობის კეთილი ნებაა. რაც შეეხება დაკავებულ ბავშვებს, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ჯერჯერობით რაიმე შედეგი არ არის, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ვიმუშავებთ მანამ, ვიდრე შედეგს არ მივაღწევთ. იმედი მაქვს, ბავშვებს მალე გაათავისუფლებენ," - განაცხადა ევროსაბჭოს კომისარმა.

ევროსაბჭოში ადამიანის უფლებათა დამცველის ვიზიტი იმედის მომცემი აღმოჩნდა გატაცებული მოზარდების მშობლებისთვის. მათი განმარტებით, გაჩნდა რეალური მოლოდინი, რომ შვილებს ტყვეობიდან მალე გაუთავისუფლებენ.

ცნობისათვის - ევროკომისარი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ორი დღის წინ ეწვია.

ბალტიის ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს მხარდაჭერას უცხადებს

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ბალტიის ასამბლეისა და საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომები გაიმართა. მათში სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციაც მონაწილეობდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობდა.

ლიტვის სეიმში ღონისძიება აგვისტოს ომის ამსახველი ფოტოგამოფენით გაიხსნა, რომელიც ბალტიისპირეთის სამივე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეებმა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაათვალიერეს. გამოფენაზე დამსწრე სტუმრებს სიტყვით ლიტვისა და საქართველოს პარლამენტის სპიკერებმა მიმართეს.

სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ცნობით, ბალტიის ქვეყნების 28-ე ასამბლეა ლიტვის სეიმში, საქართველოს პარლამენტის დელეგაციის მონაწილეობით გაიხსნა.

ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე სიტყვით გამოვიდა საქართველოსა და სუამ-ის, როგორც ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის წარმომადგენლის რანგში. საუბრისას ყურადღება ბალტიის ასამბლეისა და სუამ-ის თანამშრომლობის აუცილებლობაზე გამახვილდა. დავით ბაქრაძემ აღნიშნა, რომ სუამ-მა რთული პოლიტიკური გზა განვლო და მისი განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნება ბალტიის ასამბლეასთან ხელმოწერილი ხელშეკრულება.

ცნობისათვის - ბალტიის ქვეყნების 28-ე ასამბლეის ფარგლებში ორი დოკუმენტი გაფორმდა: სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეისა და ბალტიის ასამბლეის ერთობლივი განცხადება და ბალტიის საპარლამენტო ასამბლეის დეკლარაცია საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ბალტიის ასამბლეამ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარი კიდევ ერთხელ დაუჭირა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფარუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ურეპეტიციო თეატრი და "უპრაგონო" კრიტიკა

ნოდარ ლადარია



უილიამ შექსპირს მიეწერება ცნობილი აფორიზმი: "ცხოვრება თეატრია". თუმცა არის ერთი არსებითი განსხვავება: ცხოვრებაში არ არსებობს ორი რამ: წინასწარ დაწერილი სცენარი და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რეპეტიცია. პრემიერა დაბადებიდანვე იწყება...

თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ცოცხალი თავით არ სურთ ამის აღიარება. ცხოვრება მათთვის თეატრია პირდაპირი მნიშვნელობით და როცა მთავარ როლს ვერ ეღირსებიან, სცენაზე სტატისტად ყოფნას ისევ კრიტიკოსობა ურჩევნიათ, თუნდაც ეს სცენის, ესე იგი თვით ცხოვრების გარეთ გამოსვლას ნიშნავდეს — ამას არად დაგიდევენ.

რაზე გამახსენდა ეს ყველაფერი? — 27 ნოემბერს დაიბეჭდა სოფო კილასონიას სტატია "ჯოს... ჯოს... ჯოს... — ვაშა! ვაშა! ვაშა!", რომელიც ეძღვნება სამ მოვლენას: ახალგაზრდა რეჟისორის, სალომე ჯაშის დოკუმენტურ ფილმს "ლიდერი ყოველთვის მართალია", ამ ფილმის პირველ ჩვენებასა და განხილვას, რომელიც გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა 18 ნოემბერს, და ფილმის ობიექტს — პატრიოტთა ბანაკებს.

ჯერ სტატიის სტრუქტურას გავეცნოთ. აქ მნიშვნელოვანია, ასე ვთქვათ, წესების დაცვა — პროფესიონალიზმის ყველაზე ხილული და ამავე დროს ზედაპირული ნიშანი. ჰოდა, სკოლის მერხიდან ვიცით, რაც წერია რიტორიკაში: ყველაფერი შესავლით იწყებაო... შესავალში კი სოფო კილასონია გვამცნობს, რომ ფილმში "ერთმა ალბათ დაინახა სისტემა, რომელიც არ მოსწონს; მეორემ — მთავრობა, რომელიც არ მოსწონს; მესამემ — ხალხი, რომელიც ასევე არ მოსწონს; მეოთხემ — შტერი ახალგაზრდობა, რომელიც არ მოსწონს; მეხუთემ, მასთან ერთად ალბათ სხვებმა და ამ სხვებში მე, დავინახეთ ჩვენი თავი, რომელიც არ მოგვწონს". თავიდანვე ორი რამ გვითხრა ავტორმა: 1) ფილმის ნახვის შემდეგ ყველა იმავე აზრზე დარჩა, რა აზრზეც მანამდე იყო; 2) თვითონ ავტორი კი დარბაზში მყოფთაგან ყველაზე თვითკრიტიკულთა, ყველაზე გულწრფელთა და ღრმათა კატეგორიაში შევიდა და ნუ დავუკარგავთ, რომ მოკრძალებით აღნიშნა, ალბათ სხვებთან ერთადო.

ამის მერე იწყება ფილმის... ფილმის რა? კრიტიკული ანალიზი? — არა... ანალიზს ამას ვერ დავარქმევთ... იმისათვის, რომ სტატიის ამ ფრაგმენტს ზუსტი კვალიფიკაცია მივანიჭოთ, თვით ფილმი უნდა გვქონდეს ნანახი. ამჯერად იმით შემოვიფარგლები, რომ ფილმში, რომელიც სტატიისა არ იყოს, ყველა წესის დაცვითაა გადაღებული, ნაჩვენებია ბანაკის ცხოვრების ერთი თემატური ხაზი (პატრიოტული დღესასწაულის მომზადება), ერთი მონაწილის (პირობითად მას შეიძლება "დისიდენტი" დავარქვათ) სქემატური ისტორია და რამდენიმე მარგინალური ეპიზოდი, რომელმაც უნდა გაამძაფროს ჩვენში იმის შეგნება, თუ რაოდენ საშინელია ვითარება, როცა "ლიდერი ყოველთვის მართალია". ერთი სიტყვით, ფილმი არ მოიცავს ბანაკის ცხოვრების მრავალფეროვნებას, ფილმი წინასწარ დასახული მიზნისკენ მიაქანებს მაყურებელს.

ასევე არის ეს ფილმი აღწერილი სოფო კილასონიას მიერ. სხვა სიტყვებით, თუ სალომე ჯაშმა პატრიოტთა ბანაკის ცხოვრებიდან მისი იდეისათვის სასარგებლო ფაქტები ამოკრიფა და დაალაგა, ასეთივე რედუქცია ჩაუტარა სოფო კილასონიამ ფილმს.

აი, მაგალითად: "ლიდერი ბავშვებს ბანაკში შესვლისთანავე აფრთხილებს, რომ მათზე და მათთვის უამრავი ფული იხარჯება და უნდა დააფასონ!" — ფილმის ნახვისას ეს სცენა არ ტოვებს ეგზომ ცალსახა შთაბეჭდილებას. პირადად მე გამახსენდა ერთ-ერთი გრძნობა, რომელიც სამხედრო სამსახურის პირველივე დღეს გამიჩნდა, როცა ნაწილის ტერიტორია დაგვათვალიერებინეს: ნათლად აღმოვაჩინე, საკუთარ ტყავზე ვიგრძენი, რომ მუქთი არაფერია ამქვეყნად. მართალი გითხრათ, ძალზე სასარგებლო შეგნება იყო. ჰოდა, არც ეკრანზე ნანახ ლიდერს გამოუწვევია ჩემში ის ეფექტი, რომლისკენაც სტატიის სიტყვები მიბიძგებს: ვაიმე, ბავშვებს ამადლიან მათზე გაწეულ ხარჯებს!

არა, ამ ლიდერებს — ქალსა და მამაკაცს — შესაძლოა, მართლაც აკლდათ მომზადება, მაგრამ დასაწყისში ხომ აღვნიშნეთ, რომ ცხოვრებაში რეპეტიცია არ არსებობს. რა კავშირი აქვს მათ კონკრეტულ ნაკლოვანებებს საკუთრივ იდეასთან? — ვერც ფილმმა და, მით უმეტეს, ვერც სტატიის ტექსტმა ეს საკითხი ვერ გაარკვია.

სტატიის ტექსტი ზოგ ადგილას საერთოდ გაურკვეველია: მაგალითად, იქ ვკითხულობთ, რომ თურმე ლიდერი ვიღაცას სრულიად გაუგონარ "ჭეშმარიტებას" ახვევს თავს. ეს "ჭეშმარიტება" კი დასახელებული არ არის. როცა მკითხველს რაღაცაში ვარწმუნებთ, არ უნდა ვაიძულოთ, სიტყვაზე გვენდოს. არც მის მაგიერ უნდა ვმსჯელობდეთ, მაგალითად, ასე: "მაყურებელს უჩნდება კითხვა, სად და როგორ შეარჩიეს ეს ლიდერები?" — მე არანაირი მსგავსი კითხვა არ გამჩენია. ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ასეთებს და ამათზე უარესებსაც ათასობით ჭედავს ჩვენი ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ნეტა რა იყო გასაკვირი...

მახსენდება ჩემი საუბარი პატრიოტთა ბანაკის ერთ მონაწილესთან. მან მითხრა, რომ სწორედ ლიდერების ტაქტიკა მოეწონა, რადგან ვითარების ადეკვატური იყო. სულ რამდენიმე საათი დასჭირდათ იმის ასახსნელად და დასამტკიცებლად, რომ ახლად შეკრებილი ახალგაზრდობის ძველბიჭური წარმოდგენები და ღირებულებები აქ არ გამოდგებოდა.

სხვათა შორის, არც "დისიდენტ" ბავშვთან ლიდერი ქალბატონის საუბარი ყოფილა "სრულიად არაჰუმანური და ყოველგვარ ინტელექტსა და კორექტულობას მოკლებული", როგორც სტატიის ავტორი ახასიათებს თითქმის ყველაფერს, რასაც ლიდერები ამბობენ ფილმში. რაც შეეხება გამოთქმას — "ჩვენში ყოველი წვეთი სისხლი ქართულია" — რომელიც სოფო კილასონიამ რაღაც ბოროტი მანტრის სახით წარმოგვიდგინა, ეს გალაკტიონ ტაბიძის ერთი ლექსის ოდნავ შეცვლილი ციტატაა და ქართული ლიტერატურული კანონის ლოკუსია.

ამგვარი ანალიზის შემდეგ სტატია გადადის რეჟისორის წარდგენაზე და მას ერთგვარ გმირად გვიხატავს. თანაც მისი ყველაზე დიდი მიღწევა არ არის ის, რომ "საინტერესო იდეითა და ქვეტექსტებით დატვირთული რაკურსები შემოგვთავაზა", არც ის, რომ "გაბედა სკეპტიკოსების მხარეს დამდგარიყო და არ შეშინებოდა რომელიმე პოლიტიკური იარლიყის მიკერების". მაშ რა ყოფილა ყველაზე დიდი მიღწევა? — პასუხი გვიპყრობს მოულოდნელობით: "სალომემ ყველაზე მნიშვნელოვანი მაშინ შეძლო, როცა გაგვახსენა ის, რაც ისედაც ვიცოდით". მართალი გითხრათ, ამაზე მხოლოდ გაღიმება შემიძლია, რადგან ფილმის ნახვის შემდეგ არავითარი მორალური ქენჯნა არ განმიცდია.

სხვათა შორის, მორალურ ქენჯნას არც სტატიის ავტორი განიცდის, თუმცა კი ორჯერ თუ სამჯერ ამბობს, რომ საკუთარი თავის გამო შერცხვა. ტექსტი საპირისპიროს გვიჩვენებს.

რეჟისორის ზემოთ უკვე ნაჩვენებ წარდგენას მოჰყვება ავტორის პირადი განცდების გადმოცემა. სოფო კილასონიას ახსენდება მშობლიური უნივერსიტეტი და ამ თბილ მშობლიურ ფონზე განვითარებული საკუთარი ნონკონფორმიზმი. მართალი გითხრათ, ვერაფერი გავიგე — ავტორი გვიყვება, რომ საჯაროდ დასვა საბედისწერო შეკითხვა: "რატომ მისცეს წყალს ათეულობით კურსდამთავრებულის შედეგები და რატომ ფარავდნენ კრიმინალს, თუ არ მონაწილეობდნენ მასში და რით განსხვავდებოდნენ ისინი იმ პედაგოგებისგან, რომლებიც მათვე გაუშვეს?" — მკითხველისათვის უცნობი რჩება, რა შედეგები ჩაყარეს წყალში და სად გაუშვეს პედაგოგები, ან რომელ კრიმინალზეა ლაპარაკი. ეს არ არის მთავარი: მთავარი ისაა, რომ საქმე გვაქვს ავტორთან, რომელმაც იცის იდეისათვის მოწამეობის ფასი.

აქ კი ორი კინემატოგრაფიული მაგალითი გამახსენდა. რაოდენაც უთანაზომოა ეს მაგალითები, მაინც შეიძლება მათი შედარება ერთი რამის გამო — ეს ერთი რამე არის ორივე ფილმში დაახლოებით ერთი და იმავე სტრუქტურული და საპირისპირო შინაარსობრივი დატვირთვის მატარებელი ხმოვანი ნიშანი. პაზოლინის ფილმში "მათეს სახარება" და მიხეილ ბულგაკოვის მიხედვით გადაღებულ რუსულ სატელევიზიო სერიალში "ძაღლის გული" ჟღერს იდეური მოწამეობის სიმბოლოდ ქცეული 1905 წლის რუსული რევოლუციის სიმღერები.

პირველ შემთხვევაში ეს ნიშნავს: ქრისტე ჩვენიანია. ამ შემთხვევაში პაზოლინი მარტო არ არის: ბოლო დროს, მაგალითად, სლავოი ჟიჟეკმა სცადა იგივე: რახან ბულგაკოვისეული ბერლიოზის ტაქტიკა, ანუ რახან ქრისტეს სრული მითოლოგიზაცია და არარსებულ პიროვნებად წარმოჩენა არ გამოვიდა, მისი "მარცხნივ" გადმობირება და ერთგვარ პროტომარქსისტად ჩვენებაა საჭირო. თუმცა ასეთი "გადმობირება" მხოლოდ ერთი პირობითაა შესაძლებელი: თუ უგულებელვყოფთ ისტორიას და მოვახდენთ კონტექსტზე ძალადობას.

რუსული სერიალის შემთხვევაში კონტექსტი ბუნებრივია და სიმღერებიც რეალური ისტორიული მნიშვნელობით წარმოგვიდგება: ეს არის ქაოსის ველური და ვერაგი ძალა, რომანტიკული პოეზიიდან ამოგლეჯილი ტროპებითა და ლიტურგიული გალობიდან მოპარული მელოდიური სვლებით შეიარაღებული უგანაჩენო ბრბო, რომელიც ანგრევს წესრიგს, ცივილიზაციას, თაობათა ნაშრომსა და ნაფიქრს.

ამის მსგავსად, ჩვენი ავტორიც ნაძალადევად ქმნის კონტექსტს: ვთქვათ და მართლაც მოუხდა რაღაც "ბნელ ძალებთან" შეტაკება და მართლაც არ დაუხევია უკან. არა, ახსნა მთლად ცხადად ვერ მოახერხა, მაგრამ დავუშვათ, რომ ასე იყო. ეს სავსებით ჩვეულებრივი პირადი გამოცდილება მაინც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ, მაგალითად, ფილმში ნაჩვენები "დისიდენტი" ბავშვი საკუთარ თავთან, ხოლო პატრიოტთა ბანაკების პრინციპი კი იმ უხსენებელ "ბნელ ძალებთან" გააიგივო. ეს სწორედ რომ ნაძალადევად, ხელოვნურად შექმნილი კონტექსტია, რადგან რაოდენ უბადრუკი არ უნდა იყოს ბავშვების მიერ დადგმული "პატრიოტული" სანახაობა, რომელსაც ფილმში ვხედავთ, მის მიმართ აბსტრაქტული ესთეტიკური მოსაზრებების გამოყენება სრულიად უადგილოა, მასში კი რაღაც აპოკალიფსურ-ნაცისტური ბოროტების დანახვა — ნამდვილად სასაცილო.

მაგრამ სტატიაში ბუნებრივი კონტექსტიც მოიპოვება. მანამდე კი უნდა ვთქვა, რომ სრულიად უსამართლოდ განვაცხადე ზემოთ, თითქოს ავტორი არანაირ მორალურ ქენჯნას არ განიცდის. სტატიის ბოლო ნაწილი, ანუ ბუნებრივი კონტექსტის არე, ნამდვილად ადასტურებს ამ ქენჯნას. ოღონდ ახლავე უნდა განვმარტო, რომ არც პირველ შემთხვევაში ვცდებოდი.

საქმე ისაა, რომ ავტორის მორალური ქენჯნა გამოწვეულია არა ფილმში ნანახი "ტრაგიკული საშინელებებით", არამედ იმით, რომ გოეთეს ინსტიტუტში შეკრებილმა საზოგადოებამ სრულიად უსამართლოდ გაკიცხა და ლამის ჩაქოლა ფილმის ჩვენებაზე მოწვეული რეალური ადამიანები — სწორედ ის "ლიდერები", რომლებსაც რამდენიმე წუთის წინ ეკრანზე ხედავდა.

სოფო კილასონია ასე ამთავრებს სტატიას: "გვაპატიონ სალომე ჯაშის ფილმის ლიდერებმა, რომ ყველა ჩვენი სირცხვილი, ფობია და სისუსტე მათ 'შევაწერეთ'". მართალია, ოღონდ ერთი შენიშვნა მაინც მაქვს: "შევაწერეთ" კი არა, "მივაწერეთ" უნდა ეთქვა.

ცხოვრება მართლაც თეატრია, თანაც ურეპეტიციო — ამის გამო არავინ იცის, საით წაგვიყვანს არჩეული გზა. წინასწარ ამაზე მსჯელობა უაზრობა და ხუთწლედებად დაყოფილი წარსულის გადმონაშთია. ილუზიები არ უნდა გვქონდეს, ამ გზაზე ბევრი შეცდომაც იქნება და არც შეჩერებებისა და უკანდახევებისაგან ვართ დაზღვეულები. ყველაფერს დაფიქრებული რეაგირება სჭირდება და არა კურიოზული განცხადებები პატრიოტთა ბანაკების წინააღმდეგ "საერთო სახალხო მოძრაობის" დაწყებაზე.

მთელი უბედურება ისაა, რომ გოეთეს ინსტიტუტში ატეხილი ვნებათაღელვა სწორედ რომ ფილმის გარშემო ატყდა — ფილმის მიღმა არსებულ ისტორიულ თუ სოციალურ რეალობას ის ვერ მისწვდა, ისევე როგორც თვით ფილმი და, მით უმეტეს, "24 საათში" გამოქვეყნებული სტატია. ამ რეალობიდან მხოლოდ ორმა კონკრეტულმა ადამიანმა მიიღო კრიტიკული "დარტყმა", რომელიც სწორედ თავისი კონკრეტულობისა და განზოგადების შეუძლებლობის გამო პირადი შეურაცხყოფის ფარგლებს ვერ გასცდა.

პატრიოტულ ბანაკებში არა მარტო დაკარგულ აფხაზეთს იხსენებენ, იქ, როგორც უკვე ვთქვით, კრიმინალური მენტალობის გავლენასაც სძლევენ, ნარკომანიასაც გმობენ და ბევრ ისეთ რამესაც აკეთებენ, რისი კრიტიკულად ჩვენება ბევრად უფრო ძნელია.

ასევე ადვილია ყოველგვარი იდეის ძირში მოსპობა. ბევრად უფრო ძნელია მისი განვითარება და სრულყოფა. თუმცა "მოწამეებს" ეს არ აინტერესებთ, მათ ტრაგედია სჭირდებათ.

საქართველოდან უკრაინის მიმართულებით 3 500 ტონა მანდარინი გაიგზავნა

ბათუმის პორტიდან უკრაინის მიმართულებით დღეს მანდარინის მორიგი პარტია გაიგზავნა.

პორტში ბორნის დატვირთვას სოფლის მეურნეობის მინისტრი ბაკურ კვეზერელიც ესწრებოდა.

3500 ტონა მანდარინის რეალიზება უკრაინასა და ბელორუსში უნდა მოხდეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, მთლიანობაში ახლა წლამდე ამ ქვეყნებში 50 ათას ტონამდე მანდარინის გადაზიდვა იგეგმება.

გარდა ამისა, ქართული მანდარინის ექსპორტი დაგეგმილია სომხეთსა და აზერბაიჯანში. საერთო ჯამში ქართული ციტრუსი 6 ქვეყნის ბაზარზე გაიყიდება.

სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, გლეხს მანდარინის გაყიდვასთან დაკავშირებით პრობლემები არ შეექმნებათ.

"ბორნების მოძრაობის განრიგი უკვე შედგენილია და ეს უწყვეტი პროცესი იქნება. როგორც კი ერთი დაიტვირთება და გავა, მეორე შემოვა. ქართულ მანდარინზე მოთხოვნა დიდია. შესაბამისად, მისი რეალიზების საშუალება ყველას ექნება," - განაცხადა ბაკურ კვეზერელმა.

წელს საქართველოს მაშტაბით 125 ათასი ტონა მანდარინის მოსავლის აღება იგეგმება. მოსავლის ძირითადი ნაწილი ექსპორტზე გავა.

ბათუმში ფუნქციონირებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ციტრუსების საკოორდინაციო შტაბი, რომელიც მანდარინის სწრაფ და ეფექტურ გადაზიდვას უზრუნველყოფს.

ინტერპრესნიუსი

ნავთობის ფასები სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა

კომპანია "Dubai World"-ის პრობლემების გამო მსოფლიოს ეკონომიკის აღდგენის პროცესის შეფერხების ფონზე, გუშინდელი ვაჭრობის შედეგად ნავთობის ფასები სხვადასხვა მიმართულებით შეიცვალა.

ნიუ-იორკის ბირჟაზე Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.91 აშშ დოლარით შემცირდა და 76.05 აშშ დოლარი შეადგინა.

ლონდონის ბირჟაზე კი Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.19 აშშ დოლარით გაიზარდა და 77.18 აშშ დოლარი შეადგინა.

კომპანია "Dubai World"-მა ფინანსური პრობლემების გამო კრედიტორებს ვალდებულებების დაფარვის 6 თვით გადავადება სთხოვა.

ინტერპრესნიუსი

სემეკი INOGATE-ს ექსპერტებს უმასპინძლებს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ხვალ და ზეგ ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო ექსპერტები შეხვედრებს გამართავენ.

სემეკის ინფორმაციით, პროექტი ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციის (ERRA) ხელშეწყობით და INOGATE-ს პროექტის ფარგლებში ხორციელდება. ექსპერტები მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე გურამ ჩალაგაშვილსა და კომისიის წევრებს შეხვდებიან.

პროექტის ფარგლებში საქართველოს ეწვევიან ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციისა და უნგრეთის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე გაბორ სორენი, ლიტვის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე ვიდმანტას იანკაუსკასი, უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მარეგულირებელი სააგენტოების წარმომადგენლები, რომლებიც ქართველ კოლეგებს რეგულირების სფეროში გამოცდილებას გაუზიარებენ.

პროგრამა INOGATE ევროკავშირს, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის ქვეყნებს შორის ენერგეტიკის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობას გულისხმობს. აღნიშნულ პროგრამაში, საქართველოსთან ერთად, 11 პარტნიორი ქვეყანა მონაწილეობს. სემეკი რეგულირების რეგიონული ასოციაციის (ERRA) ერთ-ერთი დამფუძნებელია და ამ ორგანიზაციასთან დღემდე აქტიურად თანამშრომლობს. ასოციაცია საკუთარ რიგებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, აზიის ქვეყნებისა და აშშ-ს მარეგულირებელ სტრუქტურებს აერთიანებს. მისი მთავარი მიზანი წევრ ქვეყნებს შორის ენერგეტიკულ სფეროში გამოცდილების გაზიარებაა.

ინტერპრესნიუსი

მოულოდნელი კრიზისი დუბაიში

შეიხი მოჰამედი



ბენ ბერნანკე

მნიშვნელოვანია თვით დუბაის მომავალიც. რა მოელის ამ ახლა აყვავებულ ემირატს დეფოლტის შემდეგ?

რა თქმა უნდა, დუბაის დეფოლტის შედეგად ბევრი საერთაშორისო ინვესტორი, მათ შორის ფინანსური ინსტიტუტებიც განიცდიან გარკვეულ ზარალს. პირველ რიგში ეს ეხება ბრიტანულ ბანკებს, რომლებიც იყვნენ ჰოლდინგის ძირითადი კრედიტორები (დაახლოებით 30 მილიარდი დოლარი). მიუხედავად ამისა, დუბაის კრიზისი მისი მასშტაბებიდან გამომდინარე, ვერ შეუქმნის დიდ პრობლემებს მსოფლიოს ეკონომიკას, რომელმაც უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში გადაიტანა გაცილებით დიდი დარტყმები. თუმცა იქნება გლობალური ეკონომიკის აღდგენის ხელისშემშლელი ფაქტორი.

სიტუაცია შეიძლება გართულდეს, თუ დუბაის კრიზისი გავრცელდება სპარსეთის ყურეში. ცნობილია, რომ "დუბაი მსოფლიო"-ს მსგავსი ფონდები და ჰოლდინგები გავრცელებულია ამ რეგიონის სახელმწიფოებში. მათი მართვის საქმეში გადამწყვეტია ამ სახელმწიფოთა მონარქებისა და მათი ოჯახის წევრების ნება. ასეთი მართვის სტილი არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურად. ცნობილია არაბი მონარქების მისწრაფება ძვირადღირებული პროექტებისკენ, რომელთა კომერციული მიზანშეწონილობა ხშირად საეჭვოა. ნავთობზე მაღალი ფასის პირობებში ნავთობდოლარების ნაკადი, როგორც წესი, ფარავს ასეთ შეცდომებს. მაგრამ აღმოჩნდა რომ არა ყოველთვის. მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით არ ჩანს არავითარი ნიშანი, რომ დუბაის კრიზისს ექნება გაგრძელება სპარსეთის ყურის რომელიმე ქვეყანაში.

დუბაის კრიზისს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რომელიც ბოლო დროს სარგებლობს არაბი ინვესტორების გარკვეული ყურადღებით. მომავალ წელს ჩვენ ველით დიდი რაოდენობის ინვესტიციებს სპარსეთი ყურიდან და ამ ინვესტიციებს შეიძლება სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს ქართული ეკონომიკისთვის. თუ დუბაის კრიზისი დარჩა ლოკალურ მოვლენად, რომელიც მცირე გავლენას მოახდენს მსოფლიოსა და რეგიონის ეკონომიკაზე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის არ შეუშლის ხელს სპარსეთის ყურის ინვესტორების გეგმებს საქართველოში.

რაც შეეხება თვითონ დუბაის, ის უკვე აწარმოებს ინტენსიურ მოლაპარაკებებს დახმარების თაობაზე მეზობლებთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ დუბაი დარჩება მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრად რეგიონში, თუმცა მას ექნება ძალიან მნიშვნელოვანი დანაკარგები, მათ შორის შესაძლოა, რეგიონის ეკონომიკური ლიდერის პოზიციების დაკარგვა და უსათუოდ, ფინანსური რეპუტაციის მნიშვნელოვანი შელახვა.

დუბაის კრიზისი პირველ დღეებში აღმოჩნდა ნამდვილი შოკი ფინანსური ბაზრებისთვის. დოუ ჯონსის საშუალო ინდუსტრიალური მაჩვენებელი პარასკევს დაეცა 154,48 პუნქტით ანუ 1.5%-ით 10,309.92 პუნქტამდე, რაც სარეკორდოა უკანასკნელი თვისათვის, რომლის განმავლობაშიც ეს მაჩვენებელი დამაჯერებლად იზრდებოდა. მნიშვნელოვნად დაეცა ფასები აქციებზე აზიაშიც. სავაჭრო დღის ბოლოს, როდესაც ნათელი გახდა, რომ ძალიან მცირეა ალბათობა იმისა, რომ დუბაის კრიზისი გადავა რეგიონის სხვა ქვეყნებზე, სიტუაცია დასტაბილურდა ევროპის საფონდო ბაზარზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ შემდეგი კვირის დასაწყისში ინვესტორების ოპტიმიზმი მოიმატებს და აქციების ფასები გააგრძელებს ზრდას.

ინვესტორების ოპტიმიზმს ხელი შეიძლება შეუწყოს ფასდაკლებების სეზონის უაღრესად წარმატებულმა დაწყებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სეზონი უაღრესად მნიშვნელოვანია ამერიკული საცალო ვაჭრობისათვის. საცალო და ონ-ლაინ მოვაჭრეები აღნიშნავენ კლიენტების სიმრავლეს და გაყიდვების რიცხვს, რომელიც აღემატება ყველა ოპტიმისტურ პროგნოზს.

დუბაის კრიზისმა და მსოფლიო კრიზისის განახლების საფრთხემ მნიშვნელოვნად, 3 დოლარზე მეტით 74.9 დოლარამდე ბარელზე, დასცა ნავთობის ფასი. ფასები დაეცა აგრეთვე თითქმის ყველა სასაქონლო პოზიციებზე, მათ შორის ძვირფას და ფერად ლითონებზე. უახლოესი დღეები გვაჩვენებენ რამდენად ძლიერი იქნება ეს ტენდენცია. თუ მსოფლიოს ფინანსური ბაზრები მალე მოინელებენ დუბაის კრიზისს, რაც ჩემი აზრით ყველაზე მოსალოდნელია, საქონელზე ფასის ზრდა ალბათ განახლდება. პირველ რიგში ეს ეხება ნავთობს.

სავალუტო ბაზრებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იაპონიის უკმაყოფილება, რომელიც მან გამოთქვა იენის კურსის განუხრელი გამყარების გამო. ექსპორტზე ორიენტირებული იაპონიის ეკონომიკისათვის, რომელიც განიცდის მნიშვნელოვან სიძნელეებს, ეს დიდი დარტყმაა, მაგრამ საეჭვოა რომ რამე შეიცვალოს უახლოეს თვეებში. გრძელდება სუსტი დოლარის ეპოქა. მნიშვნელოვნად შეიძლება შეირყეს ბრიტანული ფუნტის პოზიციები. ბრიტანული ეკონომიკის სიძნელეებს ემატება დუბაის კრიზისი, რომლის შედეგადაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზარალი განიცადოს წამყვანმა ბრიტანულმა ბანკებმა.

დუბაის კრიზისმა გადაფარა წინა კვირის ყველა ახალი ამბავი ეკონომიკაში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინა კვირა არ იყო მდიდარი ეკონომიკის ახალი ამბებით. აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის თავჯდომარის ბენ ბერნანკეს (Ben Bernanke) გამოსვლა, სადაც მან გააფრთხილა ამერიკის კონგრესი არ შეზღუდონ ამერიკის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობა. ამგვარი საშიშროება შეიძლება წარმოიშვას თუ ამერიკის ადმინისტრაცია და კონგრესი ჩათვლის, რომ კრიზისის დროს მიღებული გადაუდებელი ღონისძიებები შეიძლება გადაიქცეს ნორმად კრიზისის დასრულების შემდეგაც. ბერნანკეს ეს გამოსვლა წინ უძღვის სენატის საბანკო კომიტეტის სხდომას, რომელმაც უნდა განიხილოს მისი კანდიდატურა ამერიკის სარეზერვო სისტემის თავჯდომარის პოსტზე ახალი ვადით.

კორპორაციული ახალი ამბებიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ ის რომ უდიდესი ამერიკული ფინანსური კომპანია "City group" აპირებს გაყიდოს "Diners Club International". ეს უკანასკნელი არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ეროვნული ბრენდი ამერიკის შეერთებულ შტატებში. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში მან გამოუშვა პირველი საკრედიტო ბარათი მსოფლიოში. 1981 წელს "Diners Club International" შეიძინა "City Bank"-მა, რომელიც დღეს შედის "City group"-ში. ფინანსური კრზისი ძალიან მწვავედ შეეხო ამ ფინანსურ კომპანიას. მისი აქციები უკანასკნელი წლის განმავლობაში გახდნენ ფასის ვარდნის ლიდერები უმსხვილესი ამერიკული კორპორაციების აქციებს შორის. ფინანსური კრიზისის შედეგად განცდილი ზარალი აიძულებს "City group"-ს დაემშვიდობოს ბევრ აქტივს, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვანს და პრესტიჟულს, როგორიცაა "Diners Club International".

"ჯენერალ მოტორსი" ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გადავიდეს ჩინელების ხელში. ასეთი პარადოქსულია ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრება ამერიკული ავტოგიგანტის მომავალზე. ამის საფუძველს მათ აძლევთ ჩინელების უკიდურესი დაინტერესება ხელში ჩაიგდონ მსოფლიოში ცნობილი ავტობრენდები, აგრეთვე გააკეთონ დიდი ინვესტიციები უცხოურ ავტოსამრეწველო კორპორაციებში. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ ჩინურმა კომპანიამ "სიჩუან ტენგსონგმა" (სრული სახელწოდება ინგლისურად "Sichuan Tengzhong Heavy Industrial Machinery) დაიწყო მოლაპარაკება ჯენერალ მოტორთან" "ჰამერის"

(Hummer unit) შეძენის შესახებ. გიგანტური ჩინური ბაზარი, სახელმწიფოს დახმარება და დიდი ფინანსური შესაძლებლობები ხდის ჩინურ ავტოსამრეწველო კომპანიებს სულ უფრო და უფრო სახიფათო კონკურენტებად მსოფლიოს ძირითადი ავტოსამრეწველო კომპანიებისათვის. ანალიტიკოსების აზრით, ჩინური ავტომრეწველობის ძირითადი სისუსტე არის ის, რომ ამ დარგში მოღვაწეობს 100-ზე მეტი კომპანია. ჩინეთის მთავრობას ესმის ამ კომპანიების გამსხვილების აუცილებლობა და აქტიურად ცდილობს დაეხმაროს მათ კონსოლიდაციაში.

ცნობილი გახდა, რომ "ტოიოტას" მოუწია გამოეწვია 110 000 საბარგო ავტომობილი ამერიკის შეერთებულ შტატებში სამაგისტრალო მოძრაობის უშიშროების ეროვნული ადმინისტრაციის (The National Highway Traffic Safety Administration) მოთხოვნით. ეს არის საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მთავარი რეგულიატორი შეერთებულ შტატებში. მიზეზად დასახელებული იქნა ჭარბი კოროზია, რომელსაც განიცდის ამ ტიპის ავტომობილები ზამთარში მარილების გამო, რომელსაც იყენებენ გზებზე ყინულის საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ "ტოიოტასათვის" ეს არის ავტომობილების მეორე დიდი გამოწვევა წლევანდელი წლის მეორე ნახევარში, რაც დიდი დარტყმაა კომპანიისათვის, რომელიც საყოველთაო აღიარებით დღეს არის ნომერი პირველი ავტოსამრეწველო კომპანია მსოფლიოში.

H1N1 ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაზე საქართველოში მოთხოვნა გაიზარდა

სოფო ჩიხლაძე

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ბოლო კვირის მანძილზე ე.წ. ღორის გრიპით მსოფლიოში 1 000 ადამიანი დაიღუპა. H1N1 ვირუსის აფეთქებიდან დღემდე, ანუ 8 თვის მანძილზე აღნიშნულმა ვირუსმა სულ 7 826 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ბოლო კვირის განმავლობაში ევროპაში გარდაცვლილთა რიცხვი 85 პროცენტით გაიზარდა. თუკი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები ადრე კვირაში 350 ლეტალური შემთხვევის შესახებ საუბრობდნენ, ახლა ეს რიცხვი 650-ს აღწევს... H1N1 ვირუსით გარდაცვალების ყველაზე მეტი შემთხვევა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში გამოვლინდა.

რაც შეეხება საქართველოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, დღეისათვის ლაბორატორიულად H1N1 ვირუსის სულ 147 შემთხვევაა დადასტურებული. საბედნიეროდ, ვირუსის შედეგად საქართველოში არავინ დაღუპულა.

ე.წ. ღორის გრიპის სამკურნალოდ მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით მედიკოსები ორ პრეპარატს გამოიყენებენ, ეს არის: შვეიცარული პრეპარატი "ტამიფლუ" და ინგლისური მედიკამენტი "რელენზა".

აღსანიშნავია, რომ შვეიცარიული ფარმაცევტული კომპანია "ჰოფმან-ლა როშეს" მიერ დამზადებული პრეპარატი "ტამიფლუ" ე.წ. ქათმის გრიპის ვირუსთან ბრძოლის წინააღმდეგაც გამოიყენებოდა და, როგორც მედიკოსები აცხადებენ, საკმაოდ ეფექტური იყო.

რა მდგომარეობაა საქართველოში "ტამიფლუს" მარაგთან დაკავშირებით, რამდენად ეფექტურია ეს პრეპარატი H1N1 ვირუსის წინააღმდეგ, შეიძლება თუ არა მისი პროფილაქტიკური დანიშნულებით მიღება? ამ და სხვა საკითხებზე "24 საათი" "ჰოფმან-ლა როშეს" საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელ გიორგი რამიშვილს ესაუბრა.

- ბატონო გიორგი, რა მდგომარეობაა საქართველოში "ტამიფლუს" მოწოდებასთან დაკავშირებით?

- "ტამიფლუზე" მოთხოვნა იზრდება. შესაბამისად, დიდმა ფარმაცევტულმა ქსელებმა შეკვეთები გააკეთეს და მათ ქსელში ამჟამად "ტამიფლუ" ხელმისაწვდომია.

"როშემ" მაქსიმალურად გაზარდა პრეპარატის წარმოება მიწოდების ჯაჭვის სხვადასხვა ეტაპზე და კვლავ აგრძელდებს პროცესის გაძლიერებას, რაც "ტამიფლუს" უწყვეტ და მზარდ მოწოდებას უზრუნველყოფს. 2010 წლის დასაწყისისთვის "ტამიფლუს" წარმოების მაქსიმალური წლიური მოცულობა 400 მილიონ სამკურნალო კურსს მიაღწევს, რომელსაც იგი საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებს.

თუკი საქართველოში გაყიდვაში არსებული რაოდენობა გამოილევა, ჩვენ ამ რაოდენობას შევავსებთ. თუმცა, წარმოების პროცესის სირთულის გამო, ეს შესაძლოა მალე ვერ მოხდეს. საქართველოში მარაგის ამოწურვის შემთხვევაში დამატებითი რაოდენობის ჩამოტანას, სავარაუდოდ, 3-4 თვე დასჭირდება.

ასევე მოგახსენებთ, რომ მსხვილი კორპორაციები, ბანკები და სხვა კომპანიები თანამშრომლებისათვის მარაგების გაკეთებაზე ზრუნავენ, რათა მათმა ბიზნესმა ეპიდემიის განმავლობაში შეფერხების გარეშე იფუნქციონიროს.

- რამდენად ეფექტურია "ტამიფლუ" ე.წ. ღორის გრიპის ვირუსის წინააღმდეგ?

- "ტამიფლუ" დაავადების ხანგრძლივობას 30%-ით (ეფექტი უკეთესია, რაც უფრო ადრე იწყება მკურნალობა) ამცირებს, 40%-ით მცირდება დაავადების სიმძიმე, 55%-ით მცირდება ქვედა სასუნთქი გზების ბაქტერიული ინფექციების რისკი და 40%-ით - შუა ყურის ანთების რისკი; მცირდება ჰოსპიტალიზაციის რისკი - 61%-ით. აგრეთვე, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მცირდება დაავადებულის მიერ ვირუსის გამოყოფა და, შესაბამისად, გარშემომყოფების დაავადების რისკი.

დღევანდელი პანდემიის პირობებში როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯმო), ისე ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი რეკომენდაციას უწევს "ტამიფლუს", როგორც არჩევის პრეპარატს, პანდემიური H1N1 2009 წლის ვირუსის სამკურნალოდ. ახლახან გამოიცა ჯმო-ს ახალი რეკომენდაცია. კვლავაც დადასტურდა, რომ "ტამიფლუთი" მკურნალობა სიცოცხლის გადამრჩენია და მყისიერად უნდა იქნას დაწყებული გრიპზე ეჭვის შემთხვევაში მის დადასტურებამდე, თუ დაავადება მძიმეა ან პაციენტი მაღალი რისკის ჯგუფებს მიეკუთვნება. ესენი არიან: 65 წელზე მეტი ასაკის პირები, 2 წლამდე ბავშვები, ორსულები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები და სხვა.

- შესაძლებელია თუ არა "ტამიფლუს" პროფილაქტიკურად მიღება?

- "ტამიფლუს" მიღება ნაჩვენებია კონტაქტის შემდგომი პროფილაქტიკისათვის. მაგალითად: ექიმისათვის, რომელიც მკურნალობს გრიპიან პაციენტებს, ან იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახის ერთი წევრია დაავადებული და გვინდა მეორე წევრის დაცვა. მაშინ ეს პრეპარატი ჯანმრთელ ადამიანს ეძლვა ერთხელ დღეში და მნიშვნელონად ამცირებს მისი ინფიცირების რისკს. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო - "ტამიფლუ" გამოიყენება სამკურნალოდ და "კონტაქტის შემდგომი" პროფილაქტიკისათვის. მინდა დავამატო, რომ პროფილაქტიკის ძირითად საშუალებად მიჩნეულია გრიპის ვაქცინა, რომელიც მთელი წელი გვიცავს, თუმცა ეფექტურია მხოლოდ მასში შემავალი შტამების მიმართ; "ტამიფლუ" გვიცავს მხოლოდ მიღებისას, მაგრამ მისი ეფექტურობა A და B გრიპის ნებისმიერი შტამის მიმართ ვლინდება. "ტამიფლუს" პროფილაქტიკური მიღების ფონზე 84-92%-ით მცირდება გრიპის განვითარების რისკი.

- რატომ იმარაგებენ "ტამიფლუს" მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში?

- 100-ზე მეტმა ქვეყანამ შეძლო მოემარაგებინა "ტამიფლუ". და არა მარტო "ტამიფლუ", ასევე "ზანამივირი" (იგივე "რელენზა"), რომელიც ბრიტანული ფარმაცევტული კომპანიის მიერ არის წარმოებული. მოიმარაგეს იმიტომ, რომ რეალურად შეაფასეს ის საფრთხე, რომელიც ჩვენს წინაშე დგას.

აღნიშნული მარაგების შექმნა სახელმწიფოების მხრიდან მოხდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, როგორც გრიპის მოსალოდნელი პანდემიის მზადების გეგმის ნაწილი. მაშინ ე.წ. ფრინველის გრიპის საფრთხე იდგა, რომლის სიკვდილობა ძალზედ მაღალი იყო - არანამკურნალებ შემთხვევაში პაციენტთა 88% იღუპებოდა, ხოლო "ტამიფლუთი" მკურნალობის ფონზე მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალი იყო. ეს უაღრესად საშიში ინფექცია ღმერთმა აგვარიდა, მაგრამ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და ქვეყნების მთავრობების მზადებას უკვალოდ არ ჩაუვლია და ახლა მსოფლიო ბევრად უფრო მომზადებული ხვდება პანდემიურ 2009 წლის H1N1 - ე.წ. ღორის გრიპის ვირუსს.

- რას ურჩევთ საზოგადოებას, შევიძინოთ "ტამიფლუ"?

- რა გითხრათ... აქამდე რაც მოგახსენეთ, ეს ოფიციალური ინფორმაციაა, რასაც ინტერნეტშიც ნახავთ, აშშ საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სააგენტოს (FDA) და ევროპის წამლის სააგენტოს (EMEA) ვებ გვერდებზე. ახლა თქვენ ფარმაცევტული ფირმის წარმომადგენელს ეკითხებით - წამალი ვიყიდო თუ არაო, და ალბათ ვერავინ დაიჯერებს, რომ მე პასუხის გაცემისას მიკერძოებული არ ვიქნები. მაგრამ მაინც გეტყვით: მე, როგით მოქალაქეს, ის ინფორმაცია რომ მქონდეს ზოგადად გრიპის გართულებებისა და სიკვდილიანობის შესახებ, რაც საყოველთაოდ ცნობილია და, უბრალოდ, რასაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა, 1 კოლოფს აუცილებლად შევიძენდი და ჩემი ოჯახის აფთიაქში შევინახავდი. აუცილებლად მივიღებდი "ტამიფლუს" გრიპის პირველი სიმპტომების დადგომისთანავე.

მე ეს მედიკამენტი უკვე მიღებული მაქვს, ისევე როგორც ჩემს შვილებს, რომლებიც მაშინ 2 და 4 წლის იყვნენ. 2 წლის წინ მათ გრიპი შეეყარათ და ორივემ მიიღო "ტამიფლუ".

ზოგადად, მსოფლიოში 65 მილიონი ადამიანი უკვე ნამკურნალებია და ვერავინ იტყვის, ეს არასაკმარისი რიცხვიაო; ახალი გრიპის გამო ეს რაოდენობა ალბათ საგრძნობლად გაიზრდება.

დიახ, მე ჩემს ახლობლებს და მეგობრებს ამ მედიკამენტის მომარაგებას ვურჩევდი, მედიკამენტის მიღებას კი - გრიპის არსებობის საფუძვლიანი ეჭვის დროს.

- თქვენ აღნიშნეთ, რომ "ტამიფლუ" ინიშნება მაღალი რისკის პირებში ან მძიმე დაავადების დროს. რას იტყვით იმ ადამიანებზე, რომლებიც რისკისჯგუფებს არ მიეკუთვნებიან?

- ჯმო-ს და აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიმდინარე რეკომენდაციებით, თუ ინფიცირებული რისკისჯგუფებს არ მიეკუთვნება, მკურნალობა სავალდებულო არ არის. თუმცა, კლინიცისტებს აფრთხილებენ, რომ გართულებების მქონე ჰოსპიტალიზებულ ბავშვთა 40% და მოზრდილთა 20% სწორედ ისეთები არიან, რომელთაც არავითარი რისკის ფაქტორი არ აღენიშნებათ და ეს არ ნიშნავს, რომ ანტივირუსული თერაპია არ უნდა ჩატარდეს. გადამწყვეტი ამ შემთხვევაში კლინიცისტის მსჯელობაა, ვინაიდან ადრე დაწყებული მკურნალობა უფრო ეფექტურია.

- "ტამიფლუს" გვერდით ეფექტებზე რას გვეტყვით?

- "ტამიფლუს", ისევე, როგორც ყველა მედიკამენტს, გარკვეული გვერდითი მოვლენები აღენიშნება. ყველაზე ხშირია გულისრევა და ღებინება, რაც იშვიათად - 7-8%-ში ვლინდება და "ტამიფლუს" საჭმელთან ერთად მიღების შემთხვევაში თავისით გადის. ისევე, როგორც სხვა ყველა სოლიდური კომპანია, ჩვენი კომპანია მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუდმივად ახდენს თავისი მედიკამენტების მიღებისას გამოვლენილი გვერდითი მოვლენების აღნუსხვას - ჩვენ მთელი მსოფლიოს მარეგულირებლებს რეგულარულად ვაწვდით ინფორმაციას ახალი ან მოულოდნელი გვერდითი მოვლენების შესახებ. "ტამიფლუს" უსაფრთხოება და ეფექტურობა აღიარებულია აშშ საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების სააგენტოს (FDA) და ევროპის წამლის სააგენტოს (EMEA) მიერ.

- ბატონო გიორგი, საქართველოში საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში შემოტანილია ვადაგასული "ტამიფლუ". რას იტყოდით ამის შესახებ?

- ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. ამის გადამოწმება ნებისმიერ მსურველს ძალიან მარტივად შეუძლია იმ აფთიაქებში, სადაც "ტამიფლუ" იყიდება. ამ პრეპარატს 5-წლიანი მოქმედების ვადა აქვს. ყველა კოლოფს ამოტვიფრული აქვს ვადა - 11.2010, ანუ კოლოფზე მითითებული ვადის გასვლამდე მინიმუმ ერთი წელია დარჩენილი.

გარდა ამისა, მინდა გაცნობოთ, რომ რიგ ქვეყნებში (აშშ, ევროპის ქვეყანები, ავსტრალია, კანადა და ჰონგკონგი), ამ ქვეყნების ფარმაცევტული ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების ინიციატივითა და გადაწყვეტილებით "ტამიფლუს" კაფსულების ვადა 7 წლამდე გაიზარდა. საქართველოში "როშეს" მიერ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც შეიცავდა პრეპარატის ხარისხის, სტაბილურობის ანალიზის მონაცემებს და ა.შ. სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი სააგენტოს გადაწყვეტილებით მოხდა სახელმწიფოს ხელთ არსებული პანდემიური მარაგის ნაწილის, "ტამიფლუს" კაფსულების ვარგისიანობის ვადის გახანგრძლივება 5-დან 7 წლამდე. პანდემიური მარაგის ძირითად ნაწილს, რომელიც 2006 და 2007 წლებშია შემოტანილი, ვარგისიანობის ვადა 2011 და 2012 ნლებში ეწურება. აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე სპეკულაციები საფუძველს მოკლებულია.

KOR STANDARD BANK

პრეს რელიზი 27.11.2009

კორ სტანდარტ ბანკი

ინოვაცია, როგორც ტრადიცია!

ამა წლის **27 ნოემბერს,** კორ სტანდარტ ბანკის სათავო ოფისში (ჭავჭავაძის N43, გაიმართა ანაბრების აქციის ბოლო, მეექვსე გათამაშება. გათამაშებას ესწრებოდა ბანკის მენეჯმენტი, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი.

მეექვსე გათამაშების გამარჯვებული გახდა ქალბატონი **მანანა დიასამიძე**, რომელმაც მოიგო სუპერ პრიზი, **- ტოიოტა ლენდ კრუიზერ პრადო!** გამარჯვებულს, გამოვლენიდან რამოდენიმე დღეში, საზეიმო ვითარებაში გადაეცემა პრიზი.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.korstandardbank.com

საკონტაქტო პირები:

კორ სტანდარტ ბანკის მარკეტინგის განყოფილება:
მარკეტინგისა და PR ჯგუფის უფროსი: ანა სხილაძე
55 00 00 (შიდა 1229)
a.skhiladze@korstandardbank.com

მედიისა და PR სპეციალისტი: გვანცა გუშარაშვილი
55 00 00 (შიდა 1238)
g.gusharashvili@korstandardbank.com

როდესაც ასე ახლოა გრემი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება მეუღლესა და მამას, რომელიც იმ დროს უკვე ცოცხალი აღარ იყო, ის გიორგი შტეინი გახლდათ, უფრო სწორად - გეორგ ფონ შტაინი. მისი წინაპრები კახეთში, როგორც ჩანს, შემთხვევით მოხვედრილან. რომელიღაც მათგანი რუსეთის იმპერატორთან ყოფილა დაახლოებული, მეფის კარზევე დაწინაურებულმა ქართველმა დიდგვაროვანმა გრემში მოიპატიჟა და ისიც სამუდამოდ დარჩა აქ. ადრე, მგონი, არავის უკვირდა, სოფლის ექიმი კარგი ადამიანი რომ უნდა ყოფილიყო. ასეც იყო: გიორგი შტეინი კარდაკარ დადიოდა, ყველას კურნავდა, ვისაც წამლის ფული არ ჰქონდა, იქით ეხმარებოდა. რასაკვირველია, ბოლშევიკებმა დაიჭირეს და გააციმბირეს, თუმცა გადასახლებიდან მაინც დაბრუნდა. აი, ამ შტეინების სახლში მდებარეობს გრემის თემი, სადაც უსახლკაროდ დარჩენილმა ადამიანებმა შეაფარეს თავი. დამთხვევების არ მჯერა, მაგრამ როგორც მითხრეს, ფონ შტაინები გერმანიაში ქველმოქმედებით არიან ცნობილი. თემის მაცხოვრებლებს სოფლელები დღემდე ასე მოიხსენიებენ: შტეინები.

მცდარი შეხედულება

სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავდი "შტეინებს", მეგონა, რომ იქიდან დაბრუნებული დიდხანს ვიქნებოდი ცუდ ხაისათზე, რადგან შშმპ-ებთან შეხვედრა, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც ცუდ გუნებაზე მაყენებს. შშმპ-ს არაფერი არა აქვს საერთო შსსსთან და ეს აბრევიატურა ასე იშიფრება: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. არის ერთი საერთაშორისო სიტყვა - ინვალიდი, მაგრამ რატომღაც ეს სიტყვა ვიღაცას დამამცირებლად მოეჩვენა და ამიტომაც ისმის გაუთავებლად დერეფნებსა თუ კაბინეტებში: შშმპ-ებს ვაუჩერები დაურიგდათ, შშმპ-ების დახმარება, შშმპ-ებით უცხოელები დაინტერესდნენ .... გრემში მოხვედრამდე მეც მქონდა შშმპ-ების ჩემეული კლასიფიკაცია: სადაც კარგად უვლიან, სადაც ცუდად უვლიან და საერთოდ არ უვლიან. ბოლო ორზე ლაპარაკიც არ ღირს, პირველზე - რამდენიც გნებავთ, თუმცა რაც მეტს ვილაპარაკებთ მათზე, მით უფრო გაგვიმყარდება აზრი, რომ ერთ სივრცეში თავმოყრილი რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ძნელი საყურებელია. თუ მათ კარგად მოვუვლით და თანამედროვე ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების გამოცდილებას პრაქტიკაშიც დავნერგავთ, ისინი, რასაკვირველია, სასრგებლო უნარ-ჩვევებს შეიძენენ. მაგრამ რა ემართებათ იმ ბავშვებს, რომლებიც ჯანსაღი ადამიანების გვერდით ცხოვრობენ? ისინი იმ ოჯახში გაზრდილებს ემსგავსებიან, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვი უფრო უყვართ, ვიდრე ჩვეულებრივი განვითარების შვილები. სამწუხაროდ, ჩვენ ისიც ვიცით, რომ ბევრ ასეთ მოზარდსა თუ მოზრდილს ან საერთოდ არა აქვთ ოჯახები, ან აქვთ, მაგრამ მათთვის იქ ყოფნა უფრო საშიშია, ვიდრე ღია ცის ქვეშ დარჩენა. სწორედ ასეთი ადამიანებისთვის დაარსდა გრემის თემი.

ნიკა პაპა მეც ერთი ბერიკაცი მეგონა და სანამ შევხვდებოდი, ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მეც უნდა მომესმინა პათეტიკური მონოლოგი სიკეთესა და ბოროტებაზე. მერე ისიც გამოვიდა - როგორც დედაჩემი იტყოდა, "ნასტაიაშჩი ინწილიგენტ, ვროდე იონა პავლოვიჩა", თანაც შუახნის და სპორტული აღნაგობის. მას არ უყვარს საკუთარ თავზე ლაპარაკი, ის კი ყველას უყვარს, ვინც ერთხელ მაინც მოხვედრილა გრემში. რადგან უყვართ და პატივს სცემენ, არც მე მოვყვები ბანალურ ისტორიას, რა უბიძგებს ადამიანს კეთილი საქმეების კეთებისკენ. კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს, საიდან გაჩნდა საჭირო თანხა, რამაც ნიკა კვაშალს შტეინების სახლის ყიდვის საშუალება მისცა. იმ დროს, როცა რუსთაველზე სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, პლეხანოვზე კი "მარლბოროს" გაძვირებაზე წუხდნენ, ჯერ კიდევ ნიკა კვაშალი, რომელსაც მოგვიანებით ყველა პაპას დაუძახებს, გონებრივად შეზღუდულ ხუთ ახალგაზრდასთან ერთად გრემში დასახლდა. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა აქაურების რეაქცია, მაგრამ დამოკიდებულება რომ აშკარად შეიცვალა, ეს ფაქტია: ხუთ გაჭირვებულს კიდევ რამდენიმე მოჰყვა, რამდენიმეს - რამდენიმე და დღეს გრემს 100-ზე მეტი ადამიანი აფარებს თავს. აქ რეკლამისთვის არ სცხელათ, მაგრამ მათ შესახებ ბევრმა იცის, მეტადრე - საქართველოს ფარგლებს გარეთ. მერაბ კოკოჩაშვილმა ფილმიც კი გადაიღო გრემის თემზე ("ნუცას სკოლა"), მაგრამ ეს მხატვრული ფილმია და მთავარი გმირების პროტოტიპები, როგორც წესი, კადრს მიღმა რჩებიან. როცა "კაბირიას ღამეებს" ვუყურებთ, ნაკლებად ვდარდობთ გზასაცდენილ გოგოებზე, მაგრამ ასეთ გოგოებს ქუჩებში თუ ვხედავთ, დროდადრო მათი დახმარების სურვილი გვიჩნდება.

თემი და არა თავშესაფარი

რადგან თავშესაფარი ვახსენეთ, ბოლომდე მივყვეთ. მე თუ მკითხავთ, საუკეთესო ინსტიტუციაც კი, სადაც ერთი "სტანდარტის" ადამიანები იმყოფებიან, სწორედ რომ თავშესაფარია, ოღონდ ისეთი არა, როგორც კომუნისტების დროს იყო. ამ თავშესაფრებშიც არაფერია ცუდი, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა სახელმწიფოს სოციალურად დაუცველი ფენებისთვის მაინცდამაინც ბევრი არ ემეტება. თემში კი ცხოვრება საკუთარი კანონებით იმართება - არა გარედან, კაბინეტებში შემუშავებული დირექტივებით, არამედ შიგნიდან, თემისავე მაცხოვრებლების მხრიდან. თუ უფრო ღრმად ჩავეძიებით, შესაძლოა, ბერძნულ პოლისამდეც მივიდეთ და შედარებით ადვილად წარმოვიდგინოთ, რა ხდებოდა საუკუნეების წინ აგორაზე: ვინ როგორ იქცეოდა, ვინ რას ამბობდა, ვინ ვის უსმენდა ... გრემის თემში შშმპ-ები მობინადრეების დაახლოებით მესამედია, დანარჩენებს რაც შეეხება, შეხვდებით ყველას, ვისაც კი ოდესმე გადაყრიხართ ცხოვრების მანძილზე: ახალგაზრდა ქალს, რომელიც ოჯახმა იმიტომ მოიძულა, რომ მას უქმროდ ეყოლა შვილი; ჩვილ ბავშვს, თვალით რომ არ უნახავს საკუთარი მშობლები; რამდენიმე მასწავლებელს, რომლებიც ოჯახებით ცხოვრობენ გრემში და იმდენად კარგად ასწავლიან ერთ მომცრო ოთახში, რომ ახლომახო მოსახლეებს, მგონი, შურთ კიდეც მათი; დარბაისელ ქალბატონს, რომელიც სტუმრებთან იშვიათად ჩნდება; სოფლელებს, რომლებსაც იქვე სახლიც აქვთ, კარიც, მაგრამ გული მაინც აქეთკენს მოუწევთ. აქ ვერ შეხვდებით ახალ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანებს და არც უნდა შეხვდეთ, რადგან გამოპრანჭული მუშაობა სიბრიყვეა. ისინი კი მთელი დღის განმავლობაში ისევე ფუსფუსებენ თავიანთ კარ-მიდამოში, როგორც გლეხები - საკუთარ ბაღ-ბოსტნებში.

პასტორალი

რომ არ ყოფილიყვნენ მათი უცხოელი პარტნიორები, წარმოადგენა არა მაქვს, რა იქნებოდა, მაგრამ ისინი, საბედნიეროდ, არსებობენ და ასევე არსებობს ვენახი და იქ დაწურული, უკვე გასაყიდად გამოტანილი არაჩვეულებრივი ღვინო; ბოსტანი და იქ მოწეული ეკოლოგიურად სუფთა ბოსტნეული; საკუთარ საცხობში გამომცხვარი უგემრიელესი პური; სამხერხაო საამქრო და იქვე მიწყობილი გარანდული ფიცრები; თითქმის დამთავრებული ახალი ორსართულიანი შენობა, სადაც შტეინების ძველ სახლში შეკედლებულების ნაწილი გადაბარგდება; სამრეცხაო, სადაც მთელი დღის განმავლობაში სარეცხი ირეცხება და უთოვდება; იქვე, შემაღლებულზე აშენებული წყლის რეზერვუარი და დიდი სამზარეულო, დღეში სამჯერ 100 კაცზე გაშლილი სუფრით. ძროხები - ცოტა; ქათმები - საერთოდ არ დამინახავს; ქვევრები - ბევრი; ყვავილები - საკმარისი; საპირფარეშოები და ონკანები - ორიგინალური; სისუფთავე - და არა სხვის დასანახად დანერგილი წესრიგი. თუ მუსიკის ჰანგები ჩაგესმათ, იცოდეთ, ეს გერმანელი მოხალისე უკრავს ფორტეპიანოზე შოპენის ნოქტიურნებს, თუმცა აქ მამაპაპურ ტაშფანდურსაც მოისმენთ. ეს გერმანელი ბიჭი სხვა დროს დანარჩენ მოხალისეებთან ერთად, რომლებიც ასევე უცხოელები არიან, კარტოფილსაც ფცქვნის და მინასაც ჩიჩქნის და, რაღა თქმა უნდა, ეუფლება მისთვის სრულიად უცხო ქართულს, რომელსაც აუცილებლად ისწავლის. Sic: აქაურმა ბავშვებმა, ვისაც შედარებით მსუბუქი მენტალური პრობლემები აწუხებთ, სწორედ მოხალისეებთან მჭიდრო ურთიერთობის გამო, Headway-ის სახელმძღვანელოების გარეშე დაძლიეს ელემენტარული ინგლისურის კურსი. ჩვენდა სამწუხაროდ, გრემსაც და მის მსგავს თემებსაც მოხალისეების სტატუსით (და ისედაც) სათოფეზე არ ეკარებიან ფსიქოლოგია-ფსიქიატრიის ფაკულტეტების ქართველი სტუდენტები. გულწრფელად მიკვირს: უკეთეს პრაქტიკას, ნეტავ, სად გაივლიან?

გრემში არც დიდები და არც პატარები სახლობანას არ თამაშობენ, ისინი უბრალოდ იმ სახლში ცხოვრობენ, სადაც მეზობლებთან ხან კარგი ურთიერთობა აქვთ, ხანაც - ცუდი. აქ არც გრძნობების მოთოკვას ცდილობენ, თუმცა ვნებების პროვოცირებას არ ესწრაფვიან. სხვა დროს რომ გამეგო, როგორ გააჩინა გრემის ორმა "სტაჟიანმა" მაცხოვრებელმა შვილები, აუცილებლად აღვშფოთდებოდი და კონტრაცეფციის რეკლამირებას მოვიწონებდი. მაგრამ აქ ესეც უმტკივნეულოდ ხდება, მაშინაც კი, თუ ბიოლოგიურ დედას მარტოხელა ქალი ჩაანაცვლებს. გრემში ვერც ბევრ ხატს წააწყდებით და ვერც ათ მცნებას ამოიკითხავთ კედლებზე, თუმცა აუცილებლად გაგახსენდებათ სიტყვები სახარებიდან: "რაჟამს იქმოდე ქველის საქმესა, ნუცა ჰქადაგებ წინაშე შენსა".

კანონი ხალხისთვის იწერება

რითი არსებობს მთელი ამ ხნის განმავლობაში გრემის თემი? უმთავრესად უცხოელი დონორების ხარჯზე პლუს ის 15 ლარი, რაც სახელმწიფომ შშმპ-ებს დღიურად დაუდგინა. ახლახან ვწერდი, რომ ეს თანხა ამ კატეგორიის ადამიანებისთვის, რომლებიც მუდმივად იღებენ ძვირადღირებულ მედიკამენტებს, საკმარისი არ არის, რადგან ინვალიდს გამოკვებაც სჭირდება, გათბობაც და საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაც. ზემოთ დავწერე, რომ გრემის თემის მობინადრეთა მხოლოდ მესამედი არის შეზღუდული შესაძლებლობის, შესაბამისად, ფულად დამხარებას სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ისინი იღებენ. კანონის თანახმად ყველაფერი წესრიგშია, რადგან ჩათვალეს, რომ თუ კაცი გაჭირვებულია, მაგრამ არ არის შშმპ და გრემს აფარებს თავს, მას ფულადი დახმარება არ ეკუთვნის. უცნაურია, ღმერთმანი, რადგან ჩვეულებრივ, ვისაც სახლიც აქვს, კარიც და მშობლებიც ჰყავს, მაგრამ სოციალურად დაუცველთა სიაში მოხვდნენ, მათ ვაუჩერის სახით დღეში 5 ლარი ეძლევათ. სიმართლე გითხრათ, ვერ ვხვდები, რა პრინციპით დარჩნენ თემს შეკედლებული სოციალურად დაუცველი ადამიანები ამ სიების მიღმა, მაგრამ ვიცი, რომ კანონი ხალხისთვის იწერება. თუ პირიქით ხდება, ანუ კანონი უნდა მოვარგოთ ხალხს, იქ ყველაფერი რიგზე არ არის. და თუ ჩვენი პრობლემები მუდმივად უცხოელი დონორების მოსაგვარებელი გვგონია, მაშინ საქმე იმაზე ცუდად გვქონია, ვიდრე წარმოდგვედგინა.

წინასწარ ვიცი, რა პასუხს მოვისმენ ჯანდაცვის სამინისტროდან: თემში მხოლო შშმპ-ები უნდა ცხოვრობდნენ! მაინც, ვინ, სად და როდის დაადგინა, რომ თემი მაინცდამაინც შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებისთვის, ან მაინცდამაინც ნარკომანებისთვის, ან მაინცდამაინც ერთი რელიგიური კონფესიის ადამიანებისთვის უნდა შეიქმნას და ისიც წინასწარ, სახელმწიფოს მიერ დაწესებული კვოტებით თითოეული ამ ჯგუფისათვის? მე, მაგალითად, ერთი თემი ვნახე პოლონეთში, სადაც ნარკომანები და ალკოჰოლიკები ცერებრალური დამბლით დაავადებულებს უვლიდნენ - და მერე როგორ უვლიდნენ! მაგრამ ჩვენთან, როგორც ჩანს, დეინსტიტუციონალიზაციის არსი ყველას არ ესმის და საკუთარ მიდრეკილებებზე დაყრდნობით მოქმედებს. რის საფუძველზე შეიმუშავეს ეს მიდრეკილებები, ძნელი სათქმელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა აღმოაჩენ, რომ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელე, ვისაც ამ ტიპის ინსტიტუციების კურირება ევალება, საერთოდაც არ არის გრემში ნამყოფი. არადა, სულ საათნახევრის გზაა, თანაც ახლადდაგებული. წამომყევით, არ ინანებთ.

სურვილიც და ოცნებაც

"როდესაც ასე ახლოა გრემი, მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი, რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით, რაღაც ახალი, სულმთლად ახალი".

თავის დროზე ოთარ ჭილაძეს ეს მშვენიერი ლექსი, რა თქმა უნდა, სხვა გრძნობამ დააწერინა. ეს გრძნობა ჩვენს დროში უფრო მძაფრდება: აქეთ "ბებერი გრემი", იქით - შტეინების ძველი სახლი. ორივეს შემყურეს, მეც მინდა, რაღაც განსაკუთრებული მოვიმოქმედო - მაგალითად, მივბაძო უცხოელ მოხალისეებს და გრემში დავსახლდე; ან სახელმწიფო მოხელეები დავარწმუნო, ხშირ-ხშირად ჩავიდნენ იქ (და სხვაგანაც) და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ; ან ჩემს კოლეგებს შევახსენო, რომ ცხოვრება ყოველთვის მშვენიერი არ არის და დღენიადაგ პრობლემის ლამაზად შეფუთვას ამაოდ ცდილობენ. კიდევ ბევრი რამ მინდა, ძალიან ბევრი, მაგრამ ერთმა სურვილმა თუ ოცნებამ მოსვენება დამიკარგა: რა იქნება, ეს წერილი ბევრმა შეძლებულმა ადამიანმა წაიკითხოს და მათ შორის ისეთიც გამოერიოს, რომელიც გრემის თემს გვერდში დაუდგება?

საია "სასამართლოს მეგობრის" სტატუსით

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" პირველი ორგანიზაციაა, რომელმაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს "სასამართლოს მეგობრის" სტატუსით მიმართა და წარუდგინა წერილობითი მოსაზრება სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით.

საქმე ისაა, რომ საქართველოს პარლამენტმა დამატებები შეიტანა "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ" კანონში, რომლის მიხედვითაც, საკონსტიტუციო სამართალწამოებაში ამოქმედდა "სასამართლოს მეგობრის" ინსტიტუტი, რაც უფლებას აძლევს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს საკონსტიტუციო სასამართლოს კონკრეტულ საქმეთან დაკავშირებით წერილობითი მოსაზრება წარუდგინოს. ამ უფლებით პირველად "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" ისარგებლა, რითაც სახალხო დამცველის სარცელი გაამყარა.

სახალხო დამცველი ითხოვს "საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის "სხვა ფიზიკური პირის წინ" სიტყვები "საქართველოში მცხოვრებ" და სიტყვების "იურიდიული პირის" წინ სიტყვა "საქართველოს" არაკონსტიტუციურად ცნობას.

აღნიშნული ნორმა შესაძლებლობას ართმევს, საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა ქვეყნის მოქალაქეს და სხვა ქვეყნის იურიდიულ პირს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს.

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ეთანხმება საქართველოს სახალხო დამცველს და მიიჩნევს, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების დასაცავად საკონსტიტუციო სასამართლო ხელმისაწვდომი უნდა იყოს საქართველოს იურიდიქციის ქვეშ მყოფი იმ უცხოელისათვის, რომელიც არ ცხოვრობს საქართველოში და უცხოური იურიდიული პირისათვის. "სასამართლოს მეგობრის" წერილობით მოსაზრებაში დეტალურად არის მიმოხილული საქართველოს ის ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ იმ უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებრივ მდგომარეობას, რომლებიც არ არიან დაკავშირებული საქართველოს ტერიტორიასთან, ასევე საქართველოს მიერ რატიფიცირებული ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც საქართველოს აკისრებს ვალდებულებას, თავისი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოს ყველა ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

საკუთარი ინფორმაცია

ადვოკატთა ახალი გაერთიანების მიზანი - აპოლიტიკურობა, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა

"საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის", - ასეთი სახელწოდება აქვს ახლად შექმნილ გაერთიანებას, რომელიც ადვოკატების გარკვეული ნაწილის ინიციატივით დაფუძნდა. "ახალი ორგანიზაციის მიზანია, პროფესია ადვოკატის გადარჩენა და დამოუკიდებელ ადვოკატთა ძლიერი კორპუსის შექმნით, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ხელშეწყობა," - განმარტავენ გაერთიანების წევრები.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ადვოკატები დავით ასათიანი, დიმიტრი გაბუნია, მანანა კობახიძე, დავით ლანჩავა, როინ მიგრიაული, რუსუდან პიტავა, ზურაბ ტაბიძე, ირაკლი ყანდაშვილი, აკაკი ჩარგეიშვილი და სხვები.

ადოკატთა ახალი გაერთიანების დამფუძნებლებმა კოლეგებს უკვე გააცნეს ორგანიზაციის მიზნები, პრინციპები და პრიორიტეტები, რის შემდეგაც, 100-ზე მეტმა მოქმედმა ადვოკატმა გაწევრიანების გადაწყვეტილება სასწრაფოდ მიიღო და მემორანდუმზე ხელისმოწერით დაადასტურა, რომ იზიარებს ორგანიზაციის საერთო პრინციპებსა და ფასეულობებს.

საქმე ისაა, რომ უკვე კარგა ხანია "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში" გაურკვეველი სიტუაციაა. ადვოკატთა კორპუსის ორ ნაწილად გაყოფის მიზეზი ასოციაციის ორხელისუფლებიანობა გახდა. დაცვის ინსტიტუტის შიდა პრობლემები მას შემდეგ გახმაურდა, რაც პარლამენტში "ადვოკატთა ასოციაციისგან" ერთი და იგივე ბლანკით ორი სხვადასხვა წერილი შევიდა. ერთი, რომელსაც ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა სვანიძე აწერდა ხელს და "ადვოკატთა შესახებ კანონში" ცვლილებების შეტანას მოითხოვდა და მეორე - ასოციაციის თავმჯდომარე კახა ასლანიშვილის მიმართვა, რომლითაც ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

ადვოკატთა ასოციაციაში ორხელისუფლებიანობა მას შემდეგ დაიწყო, რაც ასოციაციის ოფიციალური თავმჯდომარე კახა ასლანიშვილი აშშ-ში სასწავლებლად გაემგზავრა, ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად კი გოჩა სვანიძე დაინიშნა. როგორც ასლანიშვილი ირწმუნება, 2009 წლის 6 აგვისტოდან, როცა იგი საქართველოში დაბრუნდა, კვლავ თავად ასრულებს ამ უფლებამოსილებას და ამიტომ ცვლილების შეტანის აუცილებლობა აღარ არსებობს.

ერთი სიტყვით, ადვოკატთა ასოციაციაში ხელმძღვანელთან დაკავშირებით, დღემდე გაურკვეველი სიტუაციაა. შექმნილი დაპირისპირების ფონზე საქართველოში ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პრობლემები კიდევ უფრო აქტუალური გახდა და ზოგადად, ადვოკატებისადმი პრეტენზიებმაც იმატა.

დიდი ხანია ადვოკატები ასოციაციის ხელმძღვანელის ვინაობის გარკვევას ითხოვენ, თუმცა საკანონმდებლო პრობლემის გამო ამ ამ გაურკვევლობის მოგვარება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. საუბარია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების კვორუმის დაწევის საკითხზე. ცვლილების ავტორის გოჩა სვანიძის განმარტებით, ამჟამად ასოციაციაში დაახლოებით 4000 წევრია, კვორუმი კი დაახლოებით 2 ათასია. მაღალი კვორუმის გამო, კრების ჩატარება ჭირს, საჭიროა არსებულ კანონში ცვლილებები, რაც, საბოლოოდ მოხსნის ასოციაციაში ორხელისუფლებიანობის პრობლემას.

"ადვოკატთა ახალი ორგანიზაციის დაფუძნება განაპირობა საქართველოში არსებულმა ობიექტურმა რეალობამ. ცნობილია, რომ ადვოკატთა ასოციაციამ ვერ შეძლო ადვოკატთა კორპუსის გაძლიერების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა ადვოკატთა ახალი გაერთიანების შექმნა, რომლის მთავარი პრინციპი იქნება აპოლიტიკურობა, სამართლიანობა, დამოუკიდებლობა და გუნდური მუშაობა. მიგვაჩნია, რომ დამოუკიდებელ პროფესიონალ ადვოკატთა გაერთიანებით, საერთო ფასეულობების და პრინციპების პატივისცემით, ჩვენ შევძლებთ ერთ გუნდად მოვიდეთ ადვოკატთა ასოციაციაში და ადვოკატთა ასოციაცია გავხადოთ სტრუქტურა, სადაც მთავარი პრიორიტეტი იქნება ადვოკატთა პრესტიჟის ამაღლება, და სამართლებრივი სისტემების პატივისცემა, გადაწყვეტილებების გამჭვირვალე, გუნდური და დემოკრატიული პრინციპების დაცვით მიღება," - აცხადებენ გაერთიანება "საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის" დამფუძნებლები.

ორგანიზაციის წევრები მოუწოდებენ კოლეგა ადვოკატებს, ახალ ორგანიზაციაში გაწევრიანდნენ.

საკუთარი ინფორმაცია

დიპლომატების ვიზიტი საპყრობილესა და იურიდიული დახმარების ბიუროებში

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიისა და უნგრეთის საელჩოს წარმომადგენლებმა ქუთაისის № 2 საპყრობილე მოინახულეს. გარდა ამისა, უცხოელი სტუმრები ქუთაისისა და ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროების საქმიანობასაც გაეცნენ.

ვიზიტი სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საქმიანობის გამჭვირვალობის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა.

ახლად გარემონტებული №2 დაწესებულება, რომელიც 4 კორპუსისგან შედგება და 1900 მსჯავრდებულზეა გათვლილი, სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. დაწესებულებაში თანამედროვე აპარატურით, მათ შორის მინი ქირურგიული, სტომატოლოგიური კაბინეტებითა და ყველა საჭირო მედიკამენტით აღჭურვილი სამედიცინო განყოფილება მოქმედებს. ნარკოტიკებზე დამოკიდებული მსჯავრდებულებისთვის კი ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო პროგრამა "ატლანტისი" მუშაობს.

პროგრამაში ჩართული მსჯავრდებულებისთვის ჯგუფური თერაპიის, ინდივიდუალური გასაუბრებისა და სპორტული ოთახებია მოწყობილი, ცალკეა საშხაპე და საეკლესიო კუთხე. მორწმუნე მსჯავრდებულებისთვის დაწესებულებაში ეკლესია მოქმედებს, ხოლო ხატწერით დაინტერესებული პატიმრებისთვის სპეციალური ოთახია გამოყოფილი. მუშაობს მაღაზია, ბიბლიოთეკა, უახლოეს მომავალში კი კომპიუტერის შემსწავლელი კურსები გაიხსნება.

დაწესებულების გარდა, სტუმრებმა ქუთაისსა და ზესტაფონში იურიდიული დახმარების სამსახურის იმერეთის რეგიონული ბიუროები მოინახულეს. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ და ბიუროების თანამშრომლებმა სტუმრებს მათი საქმიანობის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. გარდა ამისა, გააცნეს სტატისტიკური მონაცემები ბიუროების თანამშრომლების მიერ გაწეული უფასო საადვოკატო მომსახურების, იურიდიული კონსულტაციისა და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენასთან დაკავშირებული მომსახურების შესახებ.

როგორც დიპლომატებს განუმარტეს, იმერეთის ბიუროების ადვოკატები და კონსულტანტები გასვლით ღონისძიებებს რეგულარულად მართავენ, რითაც ხელს უწყობენ საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას და სამსახურის შესახებ ინფორმირებულობის ზრდის პროცესს.

ინტერპრესნიუსი

ჟურნალისტი ობამას გამოსახულებიანი მაისურის ტარებისთვის დააკავეს

ამერიკული ტელეარხის CNN-ის კორესპონდენტი ემილი ჩანგი ჩინეთის დაცვის პოლიციის თანამშრომლებმა იმ მაისურის დემონსტრირებისთვის დააკავეს, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას სახე იყო დახატული. ჩინელი პოლიციელები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდერის მაო ძედუნის გამოსახულებით დახატულმა ობამას სურათმა აღაშფოთა. სამართალდამცველებმა ჟურნალისტი მაო ძედუნის შეურაცხყოფისთვის დააკავეს.

ჩანგმა ძედუნის "ანტურაჟში" მოქცეული ობამას გამოსახულებიანი მაისური შანხაის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა. ეს მაისურები სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჩინეთში ვიზიტისთვის გამოუშვეს. მაისურის ერთ მხარეს წითელი არმიელის ფორმაში გამოწყობილი ბარაკ ობამა ეხატა, მეორე მხარეს კი, ობამას ფოტოს, რომელიც მაო ძედუნსაა მიმსგავსებული წარწერა - "ემსახურე ხალხს" ამშვენებდა.

სამართალდამცველებმა CNN-ის კორესპონდენტი გადამღებ ჯგუფთან ერთად პროვოკაციაში დაადანაშაულეს.

ყველაფერი კი შემთხვევით მოხდა, როდესაც ემილი ჩანგი შანხაის ერთ-ერთ ბაზარზე სატელევიზიო სიუჟეტს ამ ცნობილი მაისურით აკეთებდა, სამართალდამცველებმა მუშაობის გაგრძელების უფლება აღარ მისცეს და კატეგორიულად მოსსთხოვეს მაისურის გახდა.

ინციდენტი ჟურნალისტის გამარჯვებით დასრულდა. მან მაისური არ დათმო, თუმცა მუშაობის გაგრძელების უფლება სამართალდამცველებმა აღარ მისცეს.

რაც შეეხება გახმაურებულ მაისურს, ბარაკ ობამას ფოტოთი დამშვენებული მაისურები ამერიკის შეერთებულ შტატებში მის გაპრეზიდენტებამდე, წინასაარჩევნო პერიოდში იმდენად პოპულარული იყო და ისე კარგად იყიდებოდა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, თეთრი სახლის ადვოკატებმა იმაზე ფიქრი დაიწყეს, რომ ობამას გარეგნობის კომერციული გამოყენება შეეზღუდათ.

ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ცოლ-ქმრის მკვლელობაში ბრალდებულს

უშიშროების ყოფილი მინისტრის თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის ერთერ ნინუას მკვლელობაში ბრალდებულ თამაზ გოგიას თბილისის საქალაქო სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. შსს-მ თამაზ ნინუასა და მისი მეუღლის ეთერ ნინუას მკვლელობის საქმე გახსნილად სამი დღის წინ გამოაცხადა.

გამოძიება მიმდინარეობს ორი მუხლით. განზრახ მკვლელობა და იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარება - ასეთია ნინუების ოჯახის ახლობლისთვის, თამაზ გოგიასთვის წარდგენილი ბრალდებები.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განმარტავენ, სამართალდამცველები მკვლელობასთან დაკავშირებულ დამატებით დეტალებს გამოძიების მიმდინარეობისას გაახმაურებენ.

გავრცელებული ინფორმაციით, თამაზ გოგია ყოფილი ფეხურთელია. მკვლელობის სავარაუდო მოტივად კი ვალი სახელდება, რომელიც, თითქოს გარდაცვლილს მართებდა. საუბარია დაახლოებით 600 ათას დოლარზე.

საკუთარი ინფორმაცია

მიმართვა პარლამენტს

"ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი", რომელიც 15 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, პარლამენტს იმ კანონპროექტის განხილვისკენ მოუწოდებს, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელთა დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს. ორგანიზაციის ინფორმაციით, დღეისთვის საქართველოში შიდსის 2200 შემთხვევა არის რეგისტრირებული. მისი 60 პროცენტი კი ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით არის გამოწვეული. ორგანიზაციის წევრების განმარტებით, ეპიდემიის ეფექტური პრევენცია სწორედ ამ ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფთან მუშაობით არის შესაძლებელი. თუმცა, ასეთ ადამიანებთან კონტაქტის დამყარებასა და მათთვის სათანადო დახმარებას მოქმედი კანონმდებლობა ართულებს.

"წამალდამოკიდებულებით დაავადებულ ადამიანს მეტი შანსი აქვს, აღმოჩნდეს ციხეში, ვიდრე - სამკურნალო დაწესებულებაში. წელიწადზე მეტია, პარლამენტში შეტანილია და არ განხილულა კანონპროექტი, რომელიც ქსელის მიერ არის შემუშავებული. მოვუწოდებთ პარლამენტს, განიხილოს კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ნარკოტიკების მოხმარებისა და შიდსის გავრცელების წინააღმდეგ მიმართულ რესურსებს არაეფექტური ძალოვანი ღონისძიებებიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებისკენ გადაიტანს", - ნათქვამია "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის" განცხადებაში.

ამავე ინფორმაციით, აღნიშნული ორგანიზაცია გაერო-ს მოწოდებას უერთდება და მიიჩნევს, რომ შიდსის პრევენცია და მკურნალობა საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ნარკოტიკების მომხმარებელთა დეკრიმინალიზაციის გარეშე ვერ მოხერხდება.

საკუთარი ინფორმაცია

ცოტნე გამსახურდია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში რჩება

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი ცოტნე გამსახურდია ციხის საავადმყოფოში რჩება. როგორც მისი ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

"ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი აგრძელებს შიმშილობას და უარს აცხადებს ამ აქციის შეწყვეტაზე. თუმცა ის ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმების ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება," - აცხადებს ბრალდებულის ინტერესების დამცველი. რაც შეეხება გამსახურდიას სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში გადაყვანას, რომელსაც ადვოკატი დაჟინებით მოითხოვდა, ბექაური განმარტავს, რომ ამაზე უარი თავად მისი დაცვის ქვეშ მყოფმა განაცხადა. "ცოტნე გამსახურდიას არ გამოუთქვამს პროტესტი იმის გამო, რომ ის ციხის საავადმყოფოში იმყოფება," - განმარტავს ადვოკატი. ცოტნე გამსახურდია თვეზე მეტია შიმშილობს. ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმების გამო, ციხის საავადმყოფოში ის 27 ნოემბერს გადაიყვანეს.

ჯი-ეიჩ-ენი

გია არსენიშვილი ინტენსიურ შეხვედრებს იწყებს

ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილი საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობასთან დაკავშირებით ინტენსიურ შეხვედრებს იწყებს. კომიტეტის თავმჯდომარე დღეს პარლამენტში შსს-ს ადამიანის უფლებათა დაცვისა და მონიტორინგის მთავარი სამმართველოს უფროსს, იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის წარმომადგენელს, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის თანაშემწეს და ლტოლვილთა და გნსახლების მინისტრის მინისტრის პირველ მოადგილეს შეხვდება.

როგორც კომიტეტის თავმჯდომარე აცხადებს, აუცილებელია კოორდინირებული მუშაობა დაიწყოს პარლამენტსა და აღმასრულებელი ხელისუფლების ცალკეულ წარმომადგენლებს შორის, რომელთა უშუალო მიმართულება სწორედ ადამიანის უფებათა დაცვაა. გია არსენიშვილი მომავალი წლიდან მსგავსი ურთიერთობების ჩამოყალიბებას არასამთავრობო სექტორთანაც გეგმავს. უახლოეს მომავალში კი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს სახალხო დამცველის ანგარიშის ფარგლებში დაიწყებს. კერძოდ, კომიტეტის წევრები მოუსმენენ ყველა იმ უწყების ხელმძღვანელ პირებს თუ წარმომადგენლებს, რომელთა მიერ ადამიანის უფლებების დარღვევებზე სახალხო დამცველის ანგარიშშია საუბარი.

ინტერპრესნიუსი

ბერლინს მინსკის ბედი ელის

ევროპის მმართველმა წრეებმა, როგორც ჩანს, არასწორად გაიგეს "აღმოსავლური პარტნიორობის" პროგრამის იდეა ან მიზანმიმართულად მოახდინეს მისი შესწორება. მათ, უბრალოდ, მთელი მოქმედების არეალი ოდნავ აღმოსავლეთით გადასწიეს (სულ რაღაც, 1000 კმ-ით და ერთი სასაათო სარტყელით). ძირითადი სარგებელი უკრაინის და ბელარუსის საზოგადოებას უნდა მიეღო, თუმცა სარგებლის მიმღები ხდება პუტინი.

ყველაფერი დანარჩენი ადრინდელივით იქნება. მსგავსი დასკვნების გაკეთების საფუძველია რუსეთთან რბილი პოლიტიკა, კრემლის წინაშე მლიქვნელობა და მოწოდებები ასეთ სტილში - ჯობია ის "არ გავაღიზიანოთ". ეს დასავლეთის მხრიდან არა მარტო ბავშვური აღტაცების გამოხატულებაა მამაკაცური პუტინის წინაშე, რომელიც ეკოლოგიურად ნადირობს ვეფხვებზე და მზურველობას იჩენს პატარა სელაპების მიმართ, არამედ ეს არის პრეფერენციების შეუნიღბავი პოლიტიკა რუსეთის მიმართ მისი მეზობლების ხარჯზე.

ევროკავშირის ლიდერები რუსეთს ვიზების გაუქმებას შეჰპირდნენ, უკრაინას და ბელარუსს კი ამაზე ჯერ ოცნებაც არ შეუძლიათ. პუტინის უპირატესობა, ცხადია, მათსას გადაწონის. ჩვენი მიდგომა ევროპის აღმოსავლეთ პოლიტიკასთან ეფუძნება ნათელ წარმოდგენას, რომ შვედეთის, პოლონეთის და მთლიანად ევროკავშირის ინტერესები ემთხვევა იმ უკრაინელებისა და ბელარუსების ინტერესებს, რომლებსაც საკუთარ ცივილიზებულ ქვეყანაში ცხოვრება სურთ.

ევროკავშირი მათ უნდა დაეხმარებოდა: განეხორციელებინა ინვესტიციები, ცოტათი მაინც გაეხსნა საზღვრები, რომლებიც ბოლო დროს უფრო იხურება. ევროკავშირმა ასევე ხელი უნდა შეუწყოს ამ ქვეყნებში ცვლილებების განხორციელებას, დადებით ძვრებს ამ ქვეყნების მოქალაქეების ყოფაში, რომ ერთი და იგივე სამართლებრივი ნორმები ყველაზე თანაბრად ვრცელდებოდეს. მათ უნდა იცოდნენ, რომ მათი შვილები ნორმალურ, უსაფრთხო ქვეყანაში იცხოვრებენ, რომ პატიოსან ხალხს შესაძლებლობა მიეცემა, საკუთარი ბედი მართოს და მონაწილეობა მიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა, ეს თამამი გეგმები, რომლებიც უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანებით და ბელარუსის დემოკრატიზაციით უნდა დაგვირგვინებულიყო, ამჯერად შეჩერებულია. ეს ყველაფერი ხომ მეფე პუტინს აღიზიანებდა. მეფე კი ევროპელებისთვის უფრო გასაგებ რიტორიკას იყენებს: მაგიდაზე მუშტს აბრაგუნებს და მოითხოვს.

სამწუხაროდ, გასულ საუკუნეში მსგავსი ტიპის გზავნილებს ევროპა ყველაზე სწრაფად იგებდა და ჩანს, რომ არაფერი შეცვლილა. როგორც წესი, ევროპის დემოკრატიული ლიდერები საკუთარ სიმხდალეს პასუხისმგებლობის ან პრაგმატიზმის ნიღბით ფარავენ.

რაღა დარჩენიათ მიტოვებულ უკრაინელ და ქართველ ხალხს, აგრეთვე ბელარუსის ოპოზიციას? შებრუნდნენ პუტინისკენ, მოინანიონ, შეეცადონ ასიამოვნონ და მისცენ რაკეტების განლაგების უფლება. და თუკი მეფე კვლავაც დაარტყამს მუშტს მაგიდაზე, ევროკავშირი მაშინვე გახსნის საზღვრებს და მათ მიიღებს მეფესთან ერთად. თუმცა, დასავლეთს თავისი დღევანდელი გადაწყვეტილება, რომ მინსკში არასდროს იქნება ისე, როგორც ამჟამად ბერლინშია, ბუმერანგივით მოუბრუნდება: ერთ მშვენიერ დღეს ბერლინი შესაძლოა ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როგორშიც ამჟამად მინსკია.

"პოლსკას" (პოლონეთი) მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკა ავღანეთში დამატებით ძალებს გზავნის

28 ნოემბერს მედიისთვის ცნობილი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ ავღანეთში დამატებითი სამხედრო შენაერთების გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღო. ჯერჯერობით ლაპარაკია 9 ათას საზღვაო ქვეითზე, რომლებიც ავღანეთის სამხრეთში, გილმენდის პროვინციაში განთავსდებიან, მალე მათ უკან მიჰყვება ათასი სამხედრო ინსტრუქტორი. ჯარისკაცების გაგზავნის სავარაუდო თარიღი 1 თებერვალია, გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" ცნობით, რამდენიმე დღეში ეს ინფორმაცია ოფიციალურად გამოქვეყნდება ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

დღეს ავღანეთში იმყოფება 68 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ნატო-ს სხვა ქვეყნებიდან 30 ათასზე ცოტა მეტი სამხედრო მოსამსახურე. დამატებითი ძალების - დაახლოებით, 35-40 ათასი კაცის გაგზავნას რამდენიმე თვეა, დაჟინებით ითხოვს ამერიკის ჯარების სარდალი ავღანეთში, გენერალი სტენლი მაკ-კრისტალი. ის ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, "თალიბანთან" ომის წაგებაც კი არ არის გამორიცხული. თუმცა ქვეყანაში უცხოელი სამხედროების ყოფნა ავღანეთის მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებას იწვევს, ამის მთავარი მიზეზი კი ის არის, რომ "თალიბანის" წინააღმდეგ განხორციელებული ოპერაციებისას მშვიდობიანი მოსახლეობაც იღუპება. თალიბებთან სერიოზული შეტაკება გუშინაც მოხდა. ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, პაკისტანის საზღვართან, პროვინცია ჰოსტში თალიბები თავს დაესხნენ სასაზღვრო პუნქტს, მაგრამ ავღანეთის უშიშროების ძალებმა თავდასხმა წარმატებით მოიგერიეს. სხვადასხვა მონაცემებით, ბრძოლაში "თალიბანის" 13-დან 26-მდე მებრძოლი დაიღუპა. ამ შეტაკებაში კოალიციის ძალების მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ივა შილაკაძე

მატარებლის აფეთქების ადგილზე ბომბი იპოვეს

მარიკა იაშვილი

"ნევის ექსპრესის" კატასტროფის ადგილზე ნაპოვნია ბომბის ნარჩენები. ამის შესახებ ინფორმაციას რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელი ვლადიმირ მარკინი ავრცელებს. ის ადასტურებს, რომ ამჟამად, მართლაც, ტერაქტის ვერსია განიხილება. გავრცელებული ინფორმაციით, აფეთქების სიმძლავრემ ტროტილის ეკვივალენტით 7 კილოგრამი შეადგინა. ოფიციალური მონაცემებით, შემთხვევის შედეგად 26 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 100-მდე დაიჭრა. კიდევ 18 ადამიანი ამ დრომდე დაკარგულად მიიჩნევა.

მარკინი აცხადებს, რომ მოსკოვი-სანკტ-პეტერბურგის N166 მატარებლის - "ნევის ექსპრესის" აფეთქების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ტრაგედიის გამოძიება პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანა რუსეთის გენერალურმა პროკურორმა იური ჩაიკამ.

სააქციო საზოგადოება "რუსეთის რკინიგზის" ხელმძღვანელ იაკუნინის სიტყვებით, ლიანდაგებზე ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, მეორის აფეთქებას არც ხალხისთვის და არც ინფრასტრუქტურისთვის ზიანი არ მიუყენებია. რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ცნობით, შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც გვამების ამოცნობაზე მუშაობს. ამოცნობა ტვერის კლინიკურ საავადმყოფოში ხდება, სადაც მოსკოვიდან სასამართლო ექსპერტთა ჯგუფი გაემგზავრა. გარდაცვლილთა ახლობლების დიდი ნაწილი ტვერში უკვე ჩავიდა, ხოლო მათთვის, ვინც ჩასვლას ფინანსური პრობლემების გამო ვერ ახერხებს, რუსეთის სარკინიგზო სამსახური საგანგებო რეისს დანიშნავს.

ტრაგედიის მომენტში მატარებელში, დაახლოებით, 600 მგზავრი და ეკიპაჟის 21 წევრი იმყოფებოდა. იმ ვაგონებით, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა, 130 ადამიანი მგზავრობდა.

გადარჩენილი, მაგრამ დაშავებული მგზავრების დიდ ნაწილს თავის ტრავმები აქვს მიღებული, ასევე კიდურების მოტეხილობები, ხერხემლის დაზიანებები ან შინაგანი სისხლდენა აღენიშნებათ. რუსეთის ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, დაზარალებულთა უმეტესობა მძიმე მდგომარეობაშია. მისი მტკიცებით, საავადმყოფოები, სადაც დაშავებულები გადაიყვანეს, ყველა საჭირო მედიკამენტით არიან უზრუნველყოფილნი.

რუსეთის სარკინიგზო სამსახურის მონაცემებით, ავარიამ თითქმის 60 მატარებელი რამდენიმე საათით შეაფერხა.

გარცელდა ინფორმაცია, რომ აფეთქებულ მატარებელში იტალიის, ფინეთისა და ინდოეთის მოქალაქეებიც იმყოფებოდნენ, ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროები ამჟამად ინფორმაციის გადამოწმებას ახდენენ.

რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ უკვე ამოცნობილ გარდაცვლილთა სიები გამოაქვეყნა. დაზარალებულთა და დაღუპულთა ნათესავებისთვის ცხელი ხაზები მუშაობს.

აფეთქების დროს დაღუპულთა შორის რამდენიმე ყოფილი და ამჟამინდელი თანამდებობის პირია. მათ შორის არიან სახელმწიფო კომპანია "რუსეთის საავტომობილო გზების" თავმჯდომარე, სანკტ-პეტერბურგის ყოფილი გუბერნატორი და სახელმწიფო რეზერვების ფედერალური საგენტოს ხელმძღვანელიც.

მატარებელი მოსკოვის ლენინგრადის სადგურიდან 19:00 საათზე გავიდა და სანკტ-პეტერბურგში განრიგის მიხედვით 23:30 საათზე უნდა ჩასულიყო.

მსგავსი შემთხვევა "ნევის ექსპრესისთვის" პირველი არ არის. 2007 წლის 13 აგვისტოს მატარებლის ელმავალი და 12 ვაგონი რელსებიდან გადავიდა. ოფიციალური ინფორმაციით, შემთხვევის მიზეზი ლიანდაგის აფეთქება გახდა. მაშინ მომხდარის შედეგად არავინ დაღუპულა, თუმცა ტრავმა 60-მდე ადამიანმა მიიღო. ჰოსპიტალიზაცია 25 მათგანს დასჭირდა.

რკინიგზაზე მომხდარი ტრაგედიის გამო მწუხარება გამოთქვეს სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელებმა, მათ შორის ამერიკის ადმინისტრაციამაც.

შვეიცარიაში მინარეთების ასაკრძალად რეფერენდუმი ჩატარდა

თამთა კახაძე

კვირას შვეიცარიაში ქვეყნის მასშტაბით მინარეთების მშენებლობის აკრძალვის საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდა. იმ კოშკების მშენებლობის აკრძალვის წინადადება, საიდანაც მუსლიმებს სალოცავად უხმობენ, ულტრამემარჯვენე "სახალხო პარტიამ" წამოაყენა, რომელსაც შვეიცარიის პარლამენტის ერთ-ერთ პალატაში უმსხვილესი ფრაქცია აქვს. პარტიის აზრით, მინარეთები შესაძლოა, შვეიცარიის ისლამიზაციის პირველ ნიშნებად იქცეს.

ქვეყანაში 400 000 მუსლიმია, რის გამოც ისლამი შვეიცარიაში ქრისტიანობის შემდგომ ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგიაა. თუმცა, ქვეყანაში მყოფ მუსლიმთა ურავლესობა ცდილობს, ყურადღება არ მიიქციოს. შვეიცარიაში სულ ოთხი მინარეთიანი მეჩეთია.

მართალია, "ხალხის პარტია" მთავრობის შემადგენლობაში შედის, თუმცა მთავრობა გაემიჯნა ამ ინიციატივას და მოსახლეობას მოუწოდა, აღნიშნული აკრძალვის წინააღმდეგ მისცეს ხმა. პარტიამ საკითხის რეფერენდუმზე გატანისთვის საჭირო ხელმოწერები დამოუკიდებლად შეაგროვა. ხალხის თანხმობის შემთხვევაში, ქვეყნის კონსტიტუციაში შევა მცირე ცვლილება და ქვეყანაში მინარეთების მშნებლობა აიკრძალება.

აკრძალვის მომხრეები აცხადებენ, რომ მინარეთები იდეოლოგიის და სამართლებრივი სისტემის - შარიათის სიმბოლოა, რაც შვეიცარიის დემოკრატიასთან შეუთავსებელია. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, მინარეთების აკრძალვის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების რაოდენობა თითქმის თანაბარია, თუმცა აკრძალვის მოწინააღმდეგეთა რიცხვი მცირედით მაინც მეტია. ქვეყნის მთავრობა შიშობს, რომ აკრძალვის შესახებ კანონის მიღებას შეიძლება მუსლიმი შვეიცარიელების მხრიდან არეულობები მოჰყვეს, ამასთან მოსალოდნელია მუსლიმურ სამყაროსთან ურთიერთობის გაუარესებაც.

ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ "ამნესტი ინტერნეიშენალმა" განაცხადა, რომ შვეიცარიის მხრიდან მინარეთების აკრძალვა გულისხმობს ქვეყნის მიერ უარის თქმას იმ საერთაშორისო ვალდებულებაზე, რომელიც აღმსარებლობის თავისუფლებას ეხება.

მუსლიმების უმრავლესობა ყოფილი იუგოსლავიიდან არის შვეიცარიაში ჩასული და ქვეყანაში ისლამური ექსტრემიზმის გამოვლინებები არასდროს ყოფილა. მიუხედავად ამისა, მთავრობა მუსლიმებს უმეტესწილად მინარეთების მშენებლობის თხოვნაზე უარს ეუბნება და მუსლიმებიც სალოცავად, ძირითადად, არაოფიციალურ სამლოცველოებში იკრიბებიან.

შვეიცარიელი მუსლიმი ელჰამ მანეა აცხადებს, ბოლო დროს ქვეყანამ სერბ მართლმადიდებლებს და სიკჰებს მონასტრების მშენებლობის უფლება მისცა, და აქედან გამომდინარე, მხოლოდ მინარეთების მშენებლობის აკრძალვა დისკრიმინაციის ფორმაა. **"თუ მეტყვით, რომ აკრძალვა ყველა რელიგიურ შენობას შეეხება, ეს ჩემთვის პრობლემა არ არის. თუმცა, თუ აკრძალვა მხოლოდ მუსლიმებს ეხებათ და არა ქრისტიანებს, ებრაელებს ან სიკჰებს - ასეთი რამ ჩემთვის უკვე გაუგებარია, ვინაიდან ეს დისკრიმინაციაა,"** - აღნიშნა მანეამ.

რევიუ

მათზე, ვისაც K.P. უყვარს

სტალინი, როგორც სპორტსმენი - ეგზოტიკური კიჩი

სოფო კილასონია

სტალინის გამოსახულება და მისი ერთგვარი შარჟი, რომელიც ისედაც კიჩად ქცეულ ბელადს, უფრო მეტად ეგზოტიკურს ხდის, მათ ხელოვნებაში იმაზე ადრე გაჩნდა, სანამ საზოგადოება მისი ძეგლის გორის ცენტრიდან გატანის საკითხს დღის წესრიგში დააყენებდა, ანუ სანამ სტალინისადმი ჩვენი ავადმყოფური გრძნობები და ფობიები გამოიღვიძებდნენ. ბესა ქართლელიშვილი დღეისთვის პოლიტიკურად ანგაჟირებულ ქართველ მხატვრებს შორის ერთ-ერთი პირველია, მასვე უთანაგრძნობს მისი კოლეგა - კოკა ვაშაკიძე, იგივე ლალოსელი. მაგრამ ვითვალისწინებ რა იმას, თუ რას ნიშნავს დღეს საქართველოში პოლიტიკურად ანგაჟირება, დავსძენ, რომ ისინი არც ერთ პარტიას არ ეკუთვნიან და საერთოდ, იმ მხარეს დგანან, რომელსაც საკუთარი აზრი და პოზიცია ჰქცია.

"ნიუარტ კაფე" - კაფეც არის და გალერეაც. ამ სივრცეში ძირითადად იკრიბებია მხატვრები, თუმცა ისინიც კი, ვინც ხელოვნებისგან შორს არიან, მაგრამ აღნიშნულ გალერეაში დროს ატარებენ, თანამონაწილენი ხდებიან იმ სახელოვნებო პროცესებისა, რომლებიც კაფეს დინამიკას და განსაკუთრებულ ხასიათს სძენს. ასე ხდება იმიტომ, რომ სივრცის მეპატრონეთაგან ერთ-ერთი არტკურატორი რუსიკო ოატია.

პარასკევ საღამოს, "ნიუ არტში" ბესა ქართლელიშვილისა და კოკა ვაშაკიძის, ანუ ბესასა და ლალოსელის ნამუშევრებით აივსო სივრცე. მათი პროექტი "White Territory" მესამე ფაზაში გადაიზარდა. თავიდან კი ყველაფერი ასე დაიწყო:

"პროექტის პირველ ნაწილში ავსტრიელ მხატვართან, ედ გფრერერთან ერთად ვიპოვნეთ შავსა და კასპიის ზღვებს შორის მეტ-ნაკლებად ზუსტი გეოგრაფიული წერტილი, რომელიც შეიძლება კავკასიის ცენტრადაც მივიჩნიოთ, კავკასია კი ყოველივე დასავლურ-აღმოსავლურის გზაგასაყარკვეთა- გზაჯვარედინად. კავკასიისა და ზოგადად თეთრი ლაქების საპატივსაცემოდ ადგილმდებარეობას, როგორც გაურკვეველს "თეთრი ტერიტორია" ვუწოდეთ და ჩვენი მისიის პირველი ფაზის წარმატებით დასრულება ინსტალაციებით აღვნიშნეთ. რადგან ცენტრი ფიზიკურად საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა, გვინდა ორიოდ ნამუშევრით აბორიგენული საზოგადოების მენტალური პოზიციონირების სისტემას შევეხოთ." - მიხსნიდნენ მხატვრები და ამ დროისთვის კაფეში მთლიანად განფენილი გახლდათ მათეული შეხედულება ჩვენი, ანუ აბორიგენების მენტალური სისტემების შესახებ, თანაც კომენტარებით პოლიტიკურ-სოციალურ საკითხებზე.

ამ სისტემაში ტერიტორიას სახელწოდებით საქართველო მეორე სახელიც აქვს - K.P.-ის რესპუბლიკა. ვინც ვერ მიხვდა ავუხსნი, რომ ნახატებში ამოკითხული ინიციალები სხვა არაფერია თუ არა **ქეიფი**, რომლისადმი ქართველური ტრფობა ბესასთვის უკვე თითქმის აუტანელია. აქტუალურ ხელოვნებასთან მისაწვდომად ბრძოლაც ეს არის, რაც შეიძლება ბევრი აუტანელი და მტკივნეული თავმოყრილი ერთად და ხელოვნების ენით შეფუთული. ნამუშევრებში ჩანან ადამიანები ჭიქით ხელში, თუ არ ჩანან, ახალი ლოგოებისა და პლაკატების მიღმა, იგრძნობა ღიპიანი მამაკაცების აჩრდილების არსებობა. აქვე იქნება სლოგანი, მაგალითად ასეთი: I LOVE K.P. ანდა QLESA Kakebeshniki. და აი, მივედი იქ, სადაც ქეიფის სიყვარული, სიზანტე და ყველა ქართული სისუსტე, ბესას აზრით, სათავეს იღებს...

ბევრი იყო თანამედროვე პოლიტიკური პროცესების ალუზიები. ბესას ერთ-ერთ ნახატში ვხედავთ ძაღლს, ღორს, მაიმუნს, ვის და რას აღარ და ამ ნახატს ოპოზიცია აწერია. იქვე ლალოსელის, ანუ კოკა ვაშაკიძის ობიექტია. მოედანზე ერთი სპორტსმენი დგას, იქვე ჯოისტიკი კიდია... მათი კონცეპტუალური სლოგანები მეტისმეტად ცხადია და მგონი ჩემს კომენტარებს აღარ საჭიროებს.

მხატვრებს აქტიურად უმუშავიათ თემაზე, რასაც მე სტალინის თანამედროვე ვინაობას დავარქმევდი. ეს არის მთელი სერია სტალინის პორტრეტებისა. ამ გრაფიკებს აქვთ თავიანთი კონტექსტი, რომელიც შეკითხვით იწყება: მაინც რატომ და როგორ გვიყვარს ქართველებს სტალინი? ბესამ და ლალოსელმა აღმოაჩინეს რომ სტალინი, რომელსაც ქართველებისთვის არაფერი გაუკეთებია გვიყვარს ისე, როგორც ქართველი სპორტსმენი, რომელიც საზღვარგარეთ მოღვაწეობს. მაგალითად როგორც კახი კალაძე. ბესა ამბობს, რომ სტალინი ქართველებს გვეამაყება იმიტომაც, რომ მან გაიტანა ქართველის სახელი და რომ მხოლოდ ამით "დაგვეხმარა". სწორედ ამ იდეის გამო მხატვრებმა სტალინის ბიუსტი გააკეთეს და მას ზუსტად ისე მიახატეს საქართველოს დროშის წითელი ჯვარი, როგორც ფეხბურთის გულშემატკივარი ქართველები იხატავენ სახეზე.

ნიუ არტ კაფეში მხოლოდ ჩანახატები და სპორტსმენი სტალინის ახალი პორტრეტული ქანდაკება არ გახლდათ წარმოდგენილი. აქვე იყო ორი ვიდეო ინსტალაცია. ერთი, რომელიც პროექტის პირველი ფაზის, ანუ თეთრი ტერიტორიის ძიებას ასახავდა (ფილმი ედუარდ მარშალის გადაღებულია) და მერეც - პირდაპირი ჩართვა გრაციდან, სადაც გალერეაში "ფრედის გარაჟი" ედ გფრერერი პროექტს აგრძელებდა. შესაბამისად შეგრძნება იმისა, რომ კაფე-გალერეის ერთი კედელი ფანჯარა გახლდათ, რომელიც პირადპირ ევროპაში იყურებოდა, ძალიან მძაფრი იყო. ტერიტორიის ძიება არ ვიცი, მაგრამ საზღვრის თემის განვითარებას ბესა და ლალოსელი ისევ აპირებენ და აუდიტორიას სულ ცოტა ხნით ემშვიდობებიან.

თბილისის მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი წარმოგიდგენთ სემინარებსა და შეხვედრებს

2 დეკემბერი, სემინარი თემაზე კნუტ ჰამსუნი კინოში, 16:00, კ/თ "რუსთაველი" სემინარს წარუძღვება ნორვეგიის კინოცენტრის ხელმზღვანელი,ბატონი იან ერიკ ჰოლსტი

3 დეკემბერი, 11:30, ნორვეგიული კინოცენტრის პრეზენტაცია, კ/თ "რუსთაველი"

ნორვეგიის კინოცენტრს წარმოადგენს მისი ხელმძღვანელი, ბ-ნი იან ერიკ ჰოლსტი. როგორ მუშაობს ორგანიზაცია, რა პრიორიტეტები და სამუშაო მიმართულებები აქვს. როგორ უწყობს ხელს ეროვნულ კინოწარმოებას და ა.შ. ბ-ნი ჰოლსტი დაინტერესებულთა კითხვებს უპასუხებს.

3 დეკემბერი, 14:00, ფრენკ როდამის "კვადროფენია", კ/თ რუსთაველი

ცნობილი ბრიტანელი რეჟისორი მოგვითხრობს თავისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის შესახებ, რომელიც დღემდე ინარჩუნებს საკულტო სტატუსს ბრიტანელ ახალგაზრდებს შორის.

3 დეკემბერი, 20:00, შეხვედრა მარიამ დ'აბოსთან, რუსთაველის თეატრი

რუსთაველის თეატრი უმასპინძლებს დოკუმენტური ფილმის, "ბონდის გოგონები სამუდამოდ ჩვენებას და შეხვედრას მარიამ დ'აბოსთან, ფილმის ერთ-ერთ ავტორთან. სანახევროდ ქართული წარმომავლობის მსახიობი მაყურებელს ესაუბრება თავისი გამოცდილებისა და საქართველოსთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმების შესახებ. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს რობერტ სტურუა.

4 დეკემბერი, ფრენკ როდამი წარადგენს პროექტს "არია", 11:30; კ/თ "რუსთაველი"

ფესტივალის სტუმარი, ცნობილი ბრიტანელი რეჟისორი, ფრენკ როდამი წარმოადგენს კინო-პროექტს, "არია" (1987), 10 ცნობილი რეჟისორის (მათ შორის: კენ რასელის, ჟან-ლუკ გოდარის, დერეკ ჯარმენის, რობერტ ალტმანის, ფრენკ როდამის და სხვათა) მოკლემეტრაჟიან კინო-ფანტაზიებს ცნობილი საოპერო არიების თემაზე. ფილმის შემდეგ გაიმართება მაყურებელთა შეხვედრა ფრენკ როდამთან.

5 დეკემბერი, 12:00, ლონდონის კინო სკოლის პრეზენტაცია, რუსთაველის თეატრი

ლონდონის კინო სკოლის (London Film School) პრეზენტაცია, რომელსაც გაუძღვება სკოლის რექტორი, ბენ ჯონსონი. შეხვედრაზე ბ-ნი ჯონსონი მოგვითხრობს კინო სკოლის მუშაობის პრინციპებისა და სტრუქტურის შესახებ. ასევე განხილული იქნება საქართველოსთან შესაძლო თანამშრომლობის პერსპექტივები. ხელი მოეწერება მემორანდუმს საქართელოს კულტურის სამინისტროს, ლონდონის კინოსკოლასა და სს "ქართულ ფილმსძ შორის, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტების დახმარებას ბრიტანეთში განათლების მისაღებად. შეხვედრის შემდეგ ლონდონის კინოსკოლის სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთი სასწავლო ფილმების პროგრამის პირველ ნაწილს.

5 დეკემბერი, 20:00, ლონდონის კინოსკოლის კინოპროგრამის გაგრძელება, კ/თ "ამირანი"

ლონდონის კინოსკოლის სტუდენტები წარმოადგენენ თავიანთი ფილმების კოლექციის მეორე ნაწილს. ნაჩვენები იქნება მათი საკუსრპ/სადიპლომო ნამუშევრები.

6 დეკემბერი, 11:30 და 14:00, მაიკ ლის ფილმის ჩვენება და მასტერკლასი, კ/თ "რუსთაველი"

ფესტივალს სპეციალური მოწვევით ესტუმრება სახელგანთქმული ბრიტანელი რეჟისორი, მაიკ ლი, რომელიც ჩაატარებს მასტერკლასს ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის. კინოთეატრ რუსთაველში ნაჩვენები იქნება მაიკ ლის ფილმი "Naked" (11:30), რომელიც წარმოადგენს მასალას მასტერკლასისთვის. მასტერკლასი 14:00-ზე დაიწყება.

ART - ექსპერიმენტები

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში

1 დეკემბერს, 16.00საათზე წარმოგვიდგენენ ვახუშტი კოტეტიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ და სამეცნიერო თარგმანის კვირეულის პრეზენტაციას. მოეწყობა 2008-2009წლებში გამოსული ნათარგმნი ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა. ნაჩვენები იქნება ვახუშტი კოტეტიშვილისადმი მიძღვნილი დოკუმენტური ფილმი.

ორგანიზატორები არიან ელექტრონული ბიბლიოთეკის LIB.GE ჯგუფი (ქეთი თუთბერიძე, დიანა ანფიმიადი, ანი კოპალიანი); ქალაქ თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილება (სალომე ბენიძე).

მხარდამჭერები: მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი; კავკასიური სახლი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი GIPA; ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი; გამომცემლობა "დიოგენე".

ყოველ ორშაბათს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და გაზეთი "24 საათი" წარმოგიდგენთ პროექტს, რომელიც ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებული სხვადასხვა მუზეუმის გამორჩეული ექსპონატების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.



ზოოლოგიური კოლექციებიდან

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში უნიკალური ზოოლოგიური კოლექციები გახლავთ დაცული. ამჟამად მკიტხველის ყურადღებას რამოდენიმე გადაშენებულ სახეობაზე შევაჩერებთ.

კავკასიური დომბა (Bison bonasus caucasicus Satunin) ფაუნის ერთ-ერთი ავტოქტონური ქვესახეობაა. ამჟამად კავკასიური დომბა გადაშენებულია და აღარ გვხვდება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში ევრაზიის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში დომბის ორი ქვესახეობა იყო გავრცელებული: ევროპული - Bison bonasus და კავკასიური - Bison bonasus caucasicus Turkin et Satunin.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ევროპული ფორმა შემორჩენილია მხოლოდ ბელოვეჟის ნაკრძალში (ბელორუსია), კავკასიური ფორმა კი პირველი მსოფლიო ომის დროს განადგურდა კავკასიის ნაკრძალში. კავკასიური დომბა ტებერდის სათავესთან და იალბუზის მიდამოებში ბინადრობდა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხერხემლიან ცხოველთა ფონდში დაცულია კავკასიური დომბისფიტული და ჩონჩხი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში, ურუშტეკის მიდამოები 1909 წელს არის მოპოვებული.

თურანული ვეფხვი (Panthera tigris virgata Illiger) პალეარქტიკის ფაუნაში გავრცელებული ვეფხვის ორი ქვესახეობიდან ერთ-ერთი ქვესახეობაა. თურანული ვეფხვი გავრცელებული იყო სამხრეთ ყაზახეთში, შუა აზიაში, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, მდ.ამურის დელტაში და ტალიშში.

ვეფხვის საბინადროს დაბლობი და მთისწინა ადგილები წარმოადგენს. ბუჩქნარიან ბარდებში და მაღალი ლერწმით დაფარულ ადგილებში, მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე ამ ცხოველთთავის მეტად ხელსაყრელი საარსებო პირობები იყო.

სასოფლო-სამეურნეო მიწების ათვისებამ თურანული ვეფხვების საბინადრო ადგილების ლერწმებისა და ტუგაის ტყეების გაჩანაგება გამოიწვია. დროთა განმავლობაში ეს ცხოველი თანდათანობით გაქრა-გადაიხვეწა. რაც შეეხება საქართველოს, ვეფხვი აქ არ გვხვდება, თუმცა 1922 წელს ჩვენს ტერიტორიაზე შემთხვევით შემოვიდა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ვეფხვი ტალიშიდან (აზერბაიჯანი) შემოიჭრა. გარდაბნის ტყისა და მანგლისის გავლით სოფელ ლელობში თბილისიდან 23 კმ-ზე შემოაღწია. ეს საქართველოში ვეფხვის შემოჭრის მეორე შემთხვევა გახლავთ. პირველი შემთხვევა აღნიშნული აქვს დავით რექტორს მე-18 საუკუნეში, როდესაც მონადირეებმა ვეფხვი მოკლეს კახეთში და მოკლული მტაცებელი მეფე ერეკლეს მიართვეს.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია თურანული ვეფხვის ერთადერთი ფიტული და ჩონჩხი.

თურანული ვეფხვის სუფთა სისხლის ეგზემპლარი 1959 წლის დასაწყისამდე ჯერ კიდევ ბინადრობდა ჰამბურგის ზოოპარკში. იშვიათი მტაცებლის დაცვა თავის დროზე არ ჩატარებულა და სწორედ ამან გამოიწვია მისი გაქრობა-გადაშენება, რაც ჩვენი ფაუნისათვის უდაოდ ტრაგიკული პრეცენდენტია.

იზო სხირტლაძე
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

აზრის სიმწიფით გამორჩეული პოეტი

თამარ კიკნაველიძე



დღეს, 18 საათზე, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" შედგება პრეზენტაცია წიგნისა, რომელიც ფართო საზოგადოებას პოეტ გრიგოლ მეგრელიშვილის ლექსებსა და ღვაწლს გააცნობს. ახალი გამოცემა იმითაც გამოირჩევა, რომ ის გრივერ ფარულავამ და ზაურ მეძველიამ შეადგინეს.

წიგნში მითითებულია, რომ გრიგოლ მეგრელიშვილი 1898-1919 წლებში ცხოვრობდა. თუმცა, პოეტის ასაკთან დაკავშირებით არსებობს აზრთა სხავდასხვაობა და ზოგი მიიჩნევს, რომ 19 წლის ასაკში გარდაიცვალა, სხვები კი აცხადებენ, მხოლოდ 20 წლის იყო...

გამოცემა, სახელწოდებით "ბედის მდევარი", იწყება წერილით, რომელიც 1919 წელს, პოეტის გარდაცვალების წელს, გიორგი ლეონიძემ მასზე დაწერა. იქ აღნიშნულია: "ყრმობაში მას უყვარდა ეროსები, ალბათ მისთვის, რომ თვითონაც ეროსს ჰგავდა. ...მისი სული თრთოდა ღელვისაგან და ხმა ჰქონდა რბილი, ძვირფასი, მისი სიტყვის ფორმა მის ნათელ გრძნობას მისდევდა და ხელოვნება მისთვის ფუნქციად იქცეოდა. ვნება და ენერგია უჩქეფდა მუდამ, ინტუიცია გონს უნათებდა აშლილ სტიმულით". გიორგი ლეონიძემვე დაწერა "ჭაბუკი პოეტის სიკვდილის ორმოცი წლისთავის გამო", საიდანაც ვგებულობთ, რომ პოეტი "ახალციხის ბრძოლებში, სოფ. უდესთან, თურქი ასკერების ტყვიით დაცხრილული, უთანასწორო ბრძოლაში დაეცა".

ის ჩოხატაურელი გლეხის ოჯახში დაიბადა. 1914 წელს ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდა და ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა. "ახლაც კარგად მახსოვს მისი ღიმილიანი სახე: ჟღალ თვალებზე გრძელი, შავი წამწამები, ზედ ჩიტები დასხდებოდნენ. რბილი, ცოცხალი, კეთილშობილი ჭაბუკი იყო. დიდად მგრძნობიარე. ახალგაზრდობაში გამოირჩეოდა როგორც დაფიქრებული, მრავალმხრივ განათლებული მკითხველი. მალე ჩვენი საუკეთესო იმედი გახდა", - წერს ლეონიძე.

აქვე ვგებულობთ, რომ გრიგოლ მეგრელიძემ წერა 1914 წელს დაიწყო. მისი პოეზია აზრის სიმწიფით გამოირჩეოდაო... ჰქონდა ლირიკული და პატრიოტული ლექსები და პოემები, რომელთაგან მოასწრო და გამოაქვეყნა "შუქურვარსკვლავი", "იოანე ნათლისმცემელი და სალომეა", "გალაათიდე", "ქებათაქება".

ახალ გამოცემაში თავმოყრილია მისი ლექსები, პოემები, პროზა ("გრძნეული სარკე და მარგალიტის კრიალოსანი"), თარგმანები (ედგარ პოს "ყორანი", ა. მკურნალის "გოგოლის ხსოვნას"), ფრაგმენტები პირადი წერილებიდან, წერილები და ლექსები პოეტის დაღუპვისა და ხსოვნის შესახებ, ნარკვევები, სადაც საინტერესოდ არის წარმოჩენილი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედება და ნიჭი. მაგალითად, თავად რედაქტორი, გრივერ ფარულავა ნარკვევში, სახელწოდებით "პოეტი - მხედარი - ზვარაკი" აღნიშნავს: "გრიგოლ მეგრელიშვილის სიცოცხლე, მეომრული ღვაწლი და სიკვდილი, თავისთავად ერთი დიდი კანდელია, საქართველოს სულიერი ცხოვრების ტაძარი საკურთხეველზე რომ დაანთო და დაწვა 20 წლის ჭაბუკმა. აი, რას წერდა მთის ნიავის ქუთაისელი მეგობარი ნიკო ასათიანი პოეტის დაღუპვასთან დაკავშირებით 1919 წლის 4 თებერვალს გამოქვეყნებულ წერილში: "მახსოვს ორი კვირის წინად გრიშა თბილისს რომ გაემგზავრა ლეგიონსი ჩასაწერათ, - სამშობლოს მსხვერპლად უნდა შევეწიროო", - მითხრა გრიშამ გამომშვიდობებისას. გიმნაზიის მერხს მოშორდა თუ არა, სტუდენტი გრიშა ჯარში ჩაეწერა. იგი ყველა ფრონტზე გმირულად იბრძოდა. მისი გულმკერდი დამშვენებული იყო გიორგის ჯვრებით. ამხანაგ ჯარისკაცებში მისი სახელი ლეგენდარულ გმირად იყო მონათლული. ოფიცრებს იგი ისე უყვარდათ, როგორც მგოსნებს თავისი ლექსები. იგი აჩქარებული მებრძოლი იყო და სწყუროდა, თავისი სახელი ყველა ფრონტზე დაექცია". ...ჩანს, თანამედროვენი უკვე გრძნობდნენ, რომ რაღაც არაჩვეულებრივი, დროთა სამანების გადამლახველი, იყო გრიგოლ მეგრელიშვილის სიცოცხლესა და სიკვდილში. ...ჩვენ იმის თქმაც შეგვიძლია, რომ მთის ნიავის პათოსი არ იყო იმპულსური. პოეტის-მხედრის-მარტვილის პიროვნული მთლიანობა სოლიდურ ინტელექტუალურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველზე ყოფილა დამყარებული. ... ქართული ლიტერატურის ისტორიაში არის მაღალი აზრით შთაგონებული ტანჯვა-სიკვდილის უმშვენიერესი პოეტური სურათები (უპირველესად ჰაგიოგრაფიული ძეგლების ფურცლებზე), მაგრამ გრიგოლ მეგრელიშვილი ალბათ ერთადერთი პოეტია, ვინც ამ იდეალის მისტიური ბრწყინვალებით თავად შეიმოსა თავისი ცხოვრების დასასრულით"...

დღეს მთის ნიავის ფსევდონიმით ცნობილი პოეტის შესახებ ბევრს იტყვიან, გაიხსენებენ იმას, რაც ძალიან ახალგაზრდამ მოასწრო და მკითხველსაც საშუალება მიეცემა გადაფურცლოს წიგნი, რომელიც გრიგოლ მეგრელიშვილზე ინფორმაციას ამომწურავად მიაწვდის.

მიუძღვით თუ არა წვლილი პოლონელებს?

ბრიტანელი მსახიობი, ტელეწამყვანი და მწერალი - სტივენ ფრაი დიდ ბრიტანეთში განთავსებულ პოლონეთის საელჩოში გამოიძახეს იმისათვის, რომ განემარტა კომენტარი, რომელიც ნაცისტურ ბანაკებში ებრაელების განადგურებაში პოლონელების როლზე გააკეთა. ამის შესახებ ინფორმაციას The Telegraph-ი ავრცელებს.

ბრიტანელი კონსერვატორებსა და პოლონეთის კანონისა და მართლმსაჯულების პარტიას შორის არსებულ პოლიტიკურ კამათზე საუბრისას, ფრაიმ მიანიშნა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში პოლონელი კათოლიკეების მონაწილეობაზე ებრაელების განადგურებაში. მსახიობმა საზოგადოებას შეახსენა, რომ სიკვდილის ბანაკად მონათლული ოსვენციმი სწორედ პოლონეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა, მისი მაცხოვრებლების ნაწილს კი წვლილი მიუძღვის საქმეში, რომელიც ნაცისტების მიერ ებრაელების სრულ მოსპობას, სახელწოდებით "ფინალური გადაწყვეტილება", ისახავდა მიზნად.

ნაცისტების გეგმის ფარგლებში, პოლონეთის ტერიტორიაზე ააშენეს რამდენიმე გეტო და ბანაკი სიკვდილის, სადაც ომის მსვლელობისას, დაახლოებით, 6 მილიონი ებრაელი მოკლეს.

აღნიშნული გეგმის რეალიზებაზე საუბრისას, სტივენ ფრაიმ აღნიშნა, რომ ებრაელების განადგურებაში პოლონელების დადანაშაუება "არასწორი და შეურაცმყოფელია". მიუხედავად ამისა, პოლონეთის საელჩომ საწიროდ ჩათვალა ფრაის გასაუბრებოდა და მისი კომენტარები განეხილა.

როგორც The Telegraph-ი აღნიშნავს, ფრაი თამამი განცხადებების გაკეთების უფლებას საკუთარ თავს ხშირად აძლევს. ის აზრს, ძირითადად, 2009 წლის გაზაფხულზე გაღვივებულ სკანდალთან დაკავშირებით გამოთქვამს. საქმე დეპუტატების მიერ ბიუჯეტის გაფლანგვის საკითხს ეხება. თუმცა, მსახიობმა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლებს ურჩია, ამაზე ყურადღება არ გაემახვილებინათ, რამდენადაც ეს ნაკლებად მნიშვნელოვანიაო...

როგორ შენდებოდა ტაჯ მაჰალი

ბენ კინგსლი ინდოეთში ბრუნდება

თუ ინდოეთში გამგზავრებას და ამ ერთობ ეგზოტიკური ქვეყნის დათვალიერებას აპირებთ, ალბათ ტურისტული მარშრუტის შედგენაზე წინასწარ იზრუნებთ. ნომერ პირველი სანახავი კი ცხადია ტაჯ მაჰალის მავზოლეუმი იქნება - თეთრ მარმარილოში გაცოცხლებული არქიტექტურული საოცრება, რომელიც ინდოეთის იმდროინდელი მართველის შაჰ ჯაჰანისა და მისი საყვარელი მეუღლის, მუმთაზ მაჰალის სამუდამო განსასვენებელს წარმოადგენს. თანამედროვე მეცნიერები დღემდე იკვლევენ მავზოლეუმის არქიტექტურას, უახლოეს მომავალში კი მისი აშენების პროცესის კინო ვერსიასაც ვიხილავთ - ფილმის მთავარი გმირი კი შაჰ შაჰანის როლის შემსრულებელი ბენ კინგსლი იქნება.

ფილმს სახელწოდებით "ტაჯ" 2010 წლის დასაწყისიდან გადაიღებენ. დევიდ ეშტონის სცენარი უკვე მზადაა და ახლა მხოლოდ ფილმის რეჟისორია შესარჩევი. როგორც უცხოური პრესა იუწყება, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და მდიდრული პროექტი, რადგან რეჟისორს არა მხოლოდ ტაჯ მაჰალის მშენებლობის პროცესის, არამედ იმდროინდელი ინდოეთის გაცოცხლებაც მოუწევს.

რაც შეეხება ბენ კინგსლის მონაწილეობას, ეს არჩევანი პრაქტიკულად უალტერნარივო იყო, რადგან გარდა იმისა, რომ ის ძალიან კარგი მსახიობია, მისი კინოკარიერა და ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება სწორედ ინდოეთთანაა დაკავშირებული. 1982 წელს მან ამერიკის კინოაკადემიის ჯილდო რიჩარდ ატენბოროს ფილმ "განდიში" მაჰათმა განდის როლისთვის მიიღო. "ინდოეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს, ტაჯ მაჰალით კი აღფრთოვანებული ვარ. "განდიზე" მუშაობისას მის მოსანახულებლად ხშირად დავდიოდი, საათობით ვათვალიერებდი ამ საოცრებას და კიდევ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს ქვეყანა უდიდეს ტრადიციებსა და კულტურას აერთიანებს. ცხადია ერთი წუთითაც არ ვწყვეტდი ფიქრს, თუ როგორ შენდებოდა იგი - სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცდებით ჩვენს ფილმში", - ამბობს ბენ კინგსლი.

შაჰ ჯაჰანი ინდოეთის მონღოლური წარმოშობის მმართველთა (1526-1858 წლები) წარმომადგენელი გახლდათ. როგორც ლეგენდა მოწმობს, მან მშვენიერი მუმთაზ მაჰალი ბაზარში დაინახა და მაშინვე შეუყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონა ღარიბი ოჯახიდან იყო, შეყვარებული პრინცისთვის ამას არ შეუშლია ხელი იგი ცოლად მოეყვანა და თავისი ცხოვრების თანამგზავრად გაეხადა. როგორც წყაროები მოწმობენ, მუმთაზი ერთადერთი იყო მისი ცოლებიდან, ვისაც შაჰის ბრძოლაში გაყოლის უფლება ჰქონდა და ხანდახან რჩევებსაც აძლევდა. 17-ნლიანი თანაცხოვრების განმავლობაში მათ 13 შვილი გაუჩნდათ, თუმცა მე-14 ბავშვის გაჩენისას მუმთაზი გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა შაჰი იმდენად დაამწუხრა, რომ გადაწყვიტა საყვარელი მეუღლისთვის განსაკუთრებული სამუდამო განსასვენებელი აეგო. ამისთვის 20 ათასი ოსტატი მშენებელი 22 წლის განმავლობაში შრომობდა. თეთრი მარმარილოს მავზოლეუმის მშენებლობა 1653 წელს დასრულდა და შაჰმა მაშინვე მის მოპირდაპირე მხარეს შავი მარმარილოს სრულიად იდენტური სასახლის აგება ბრძანა, რომლებიც ერთმანეთს რუხი მარმარილოთი უნდა დაკავშირებოდნენ. თუმცა ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან 1658 წელს შაჰი მისმა შვილმა ტახტიდან ჩამოაგდო და სიცოცხლის ბოლომდე მაღალ კოშკში გამოამწყვდია, რომლის პატარა ფანჯრიდანაც მხოლოდ ტაჯ მაჰალი მოჩანდა. გარდაცვალების შემდეგ შაჰი საყვარელი მეუღლის გვერდით დაკრძალეს.

მავზოლეუმის ცენტრალურ დარბაზში ორი აკლდამაა, თუმცა სინამდვილეში შაჰი და მისი ცოლი ღრმად მიწისქვეშ არიან დაკრძალული, რაც საფლავების მძარცველებისგან თავდაცვის მიზნითაა გაკეთებული. მავზოლეუმი საოცართან ერთად, ძალიან ძვირფასს ნაგებობასაც წარმოადგენს. კედლები 300 კილომეტრის სიშორიდან ამოზიდული ნახევრად გამჭვირვალე თეთრი მარმარილოთია ნაგები და ფირუზით, აქატით, მალაქიტით და სხვა ძვირფასი მასალითაა მოჭედილი. მთავარი ნაგებობის გარშემო ოთხი მინარეთია აღმართული, რომლებიც ოდნავ მავზოლეუმის საპირისპირო მხარესაა გადახრილი - დანგრევის შემთხვევაში მავზოლეუმი რომ არ დააზიანონ. სხვათა შორის, მინარეთების უმაღლესი წერტილიდან თვითმკვლელობის მიზნით დღემდე ხტებიან იმედგაცრუებული შეყვარებულები, ამიტომ მათ გარშემო დაცვა გაძლიერებულად მუშაობს. თუმცა თვითმკვლელი შეყვარებულების რიცხვი მაინც არ იკლებს - ტაჯ მაჰალის მავზოლეუმი ხომ დაკარგული სიყვარულის უდიდეს სიმბოლოს წარმოადგენს.

ახალი წინადადება სარკოზის

ფრანგმა ჟურნალისტმა და საფრანგეთში შოპენის წლის კომისარმა, ალენ დიუომ (Alain Duault) ნიკოლა სარკოზის შოპენის ნაშტის პარიზის პანთეონში გადატანა შესთავაზა. ამის შესახებ ინფორმაცია პორტალმა, სახელწოდებით Qobuz, გაავრცელა. დიუოს ღია წერილი პრეზიდენტისადმი ჟურნალ Classica-ს უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნდა.

დიუოს მიაჩნია, რომ პოლონელი კომპოზიტორი საკუთარ ნაწარმოებებში სხვადასხვა ერის მუსიკალურ მემკვიდრეობას ასახავდა. მაზურკების შესაქმნელად შთაგონებას პოლონური მუსიკიდან იღებდა, პრელუდიებისთვის მიმართავდა გერმანულ, ძირითადად ბახის, ნაწარმოებებს, ნოქტიურნებისთვის - ირლანდიურ, ხოლო ბალადებისთვის - ფრანგულ მუსიკას და ა.შ. ამ თვალსაზრისით, კომპოზიტორის ნეშტის გადატანა პანთეონში, ჟურნალისტის აზრით, ევროპული კულტურისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. ამის გარდა, - აღნიშნა დიუომ - შოპენის გადასვენება გახდებოდა ნიშანი კომპოზიტორის მემკვიდრეობის პატივისცემისა მისი დაბადებიდან 200 წლის თავზე.

ცოტა ხნის წინათ სარკოზი გამოვიდა წინადადებით პანთეონში ალბერტ კამიუს ნეშტის გადასვენების შესახებ, მაგრამ პრეზიდენტის ამ ინიციატივას ფრანგული ინტელიგენციის წარმომადგენლები შეეწინააღმდეგნენ. მწერლის გადასვენების იდეა მისი შვილისთვის - ჟან კამიუსთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა.

ფრედერიკ შოპენი პოლონეთში, 1810 წელს დაიბადა. 1930 წელს, უკვე ცნობილმა კომპოზიტორმა და შემსრულებელმა, მიატოვა სამშობლო და გაემგზავრა ავსტრიაში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში. შოპენი არ იმყოფებოდა პოლონეთში იმ დროს, როდესაც ეს ქვეყანა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ აჯანყდა. პოლონეთი დამარცხდა და რუსეთს შეუერთდა, ხოლო შოპენი დარჩა პარიზში, სადაც ცხოვრების დარჩენილი ნაწილი გაატარა. ის 1849 წელს გარდაიცვალა. ანდერძის თანახმად, კომპოზიტორი პარიზის პეტ ლაშეზის სასაფლაოზე დაასაფლავეს, ხოლო მისი გული ჩაიტანეს ვარშავაში და წმინდა ჯვრის ეკლესიის კოლონებიდან ერთ-ერთში განათავსეს.

30 ნოემბერი

თეატრი

კინო

რუსთაველი
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12.00; 13.45; 15.30; 17.15; 19.00; 21.00;
"ამანათი"
დასაწყისი: 12.00; 13.45; 15.30; 17.15;
"2012"
დასაწყისი: 13.00; 16.00; 19.00; 22.00;
"ყველაფერი კარგად იქნება"
დასაწყისი: 12:15; 14:15; 20:15;
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15;
"ჯაყოს ხიზნები"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 22.15;

ამირანი

"2012"
დასაწყისი: 12.20; 15.40; 19.00; 22.15;
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 12.00; 15.00; 17.00; 20.00; 22.30

საქართველო

"მომღერალი თახვები"
დასაწყისი: 13.45
"ჭიანჭველის რისხვა"
დასაწყისი: 12.00
"გაღმა ნაპირი"
დასაწყისი: 15.30;
"2012"
დასაწყისი: 17.20; 20.40;

თელავის ადგილობრივი არქივი ეროვნული არქივის ელექტრონულ პროგრამაში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში დღეიდან თელავის ადგილობრივი არქივი ჩაერთო.

პროგრამის პრეზენტაცია ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გამართა.

მომსახურების ელექტრონული პროგრამით ამ დროისათვის სარგებლობს თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივი, თბილისის არქივი, ასევე, ქუთაისისა და სამტრედიის ადგილობრივი არქივები. ამ სისტემაში, ეტაპობრივად, ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება.

ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამის დანერგვით მოქალაქეთა მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. სპეციალური პროგრამა ერთი მხრივ, მოქალაქეს უმარტივებს მომსახურების მიღებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდა პროცედურებს.

ეროვნულ არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ უწევს. მათ მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრონულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში იღებს.

სპეციალური პროგრამა ეროვნულმა არქივმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით შეიმუშავა.

საინფორმაციო ცნობა

ქ. თბილისის მთავრობა აცხადებს აუქციონს ქ. თბილისის ტერიტორიაზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და ქონების საკუთრებაში გაცემაზე

ლოტი N 1

მიწის ნაკვეთის მისამართი - სოფელი დიღომი, ქოშგორა მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.72.14.006.515).

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 800 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საცხოვრებელი ზონის ფუნქციით.

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 30 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 9600 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 2

მიწის ნაკვეთის მისამართი -Gბელიაშვილისა და ჩაჩავას მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.03.008.071)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 421კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 240 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 40416 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.(რზ-2)

ლოტი N 3

მიწის ნაკვეთის მისამართი -Gპეტრიწის ქუჩა N16-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.19.17.011.073)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 449კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 35 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 6286 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება საცხოვრებელი ზონის ფუნქციით (სზ-2) და სპეციალური ზონის ფუნქციით.

ლოტი N 4

მიწის ნაკვეთის მისამართი - მასივი III კვარტ. VII ქუჩა, კალოუბანი კორპუსი 5-ის მიმდებარედ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.19.20.024.061).

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 142 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საზოგადოებრივ საქმიანი ზონის ფუნქციით.(სსზ-1)

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 160 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 9088 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 5

მიწის ნაკვეთის მისამართი - შანდორ პეტეფის ქუჩის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.17.10.002.085).

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 491 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ საქმიანი ზონის ფუნქციით (სსზ-1)

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 120 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 23568 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 6

მიწის ნაკვეთის მისამართი - ნავთლუღის ჩიხი N9-ის მიმდებარედ მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.17.13.050.087).

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 268 კვ.მ.

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 105 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 11256 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთთან გაერთიანებისა და ერთობლივი განაშენიანების შემთხვევაში საცხოვრებელი ზონის ფუნქციით(სზ).

ლოტი N 7

მიწის ნაკვეთის მისამართი -Gსანაპიროს N1-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.15.03.022.061)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 45კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 980 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 20 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 17640 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და ერთობლივი განაშენიანების შემთხვევაში საზოგადოებრივი-საქმიანი ზონის ფუნქციით.

ლოტი N 8

მიწის ნაკვეთის მისამართი -Gბელიაშვილიას ქუჩა მიონის ქარხნის მოპირდაპირედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.02.003.055)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 305კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 400 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 48800 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.(რზ-2)

ლოტი N 9

მიწის ნაკვეთის მისამართი - გმირ კურსანტთა ქუჩა N4-ის მიმდებარედ(მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.12.20.052.016)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 4552კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 35 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 63728 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.

ლოტი N 10

მიწის ნაკვეთის მისამართი - დასახლება ვაშლიჯვარი მებაღეობის ინსტიტუტის ტერიტორია ნაკ. N8-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.10.11.001.140)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 100კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 90 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 3600 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და ერთობლივი განაშენიანების შემთხვევაში სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.(რზ-2)

ლოტი N 11

მიწის ნაკვეთის მისამართი - დასახლება ვაზისუბანი N40 სკოლის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.01.17.06.012.001)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 1407კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 25 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 14070 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.(რზ-3)

ლოტი N 12

მიწის ნაკვეთის მისამართი - ბელიაშვილის ქუჩაზე კინოსტუდიის ღობის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.02.008.064)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 421კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 90 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 10 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 15156 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). სამშენებლო განვითარება სარეკრეაციო ზონის ფუნქციით.(რზ-2)

ლოტი N 13

მიწის ნაკვეთის მისამართი - ბაღდადის ქუჩის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.17.13.056.050)

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 72კვ.მ;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები -

ა). მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 100 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 2880 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ე). მომიჯნავე მიწის ნაკვეთთან გაერთიანება და ერთობლივი განაშენიანების შემთხვევაში მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციით.(სსზ-2)

ლოტი N 14

მიწის ნაკვეთის მისამართი - გამზირი ვაჟა-ფშაველა, კვარტალი NVII, კორპუსი N2-ის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.14.04.018.012)

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 481 კვ.მ;

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის ფუნქციით(სზ-6)

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 140 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 26 936 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 15

მიწის ნაკვეთის მისამართი - გამზირი ვაჟა-ფშაველა, კვარტალი V, (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.14.05.007.035)

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

მიწის ნაკვეთის ფართობი - 465 კვ.მ.

მიწის ნაკვეთის ფუნქცია - საშუალო ინტენსივობის საზოგადოებრივ საქმიანი ზონის ფუნქციით(სსზ-1)

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. - 95 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 17 670 ლარით. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ლოტი N 16

მისამართი - წინამძღვრიშვილის ქN77-ში მდებარე ბN35 ფართით 36 კვ.მ. და შესაბამისი

გაგრძელება A15 გვერდზე

სპორტი

"ლელოს" დუბლი

"ლელომ" დუბლი შეასრულა

საქართველოს თასის მე-11 გათამაშების ფინალით დასრულდა სეზონი რაგბიში. ფინალში ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი "ლოკომოტივი" "ლელოს" დაუპირისპირდა. მეორენაირად ამ დაპირისპირებას ბენდიაშვილი-მაისაშვილის დუელად ნათლავდნენ.

მაისაშვილის "ლელომ" წელს წაუგებლად მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და მივიდა თასის ფინალამდე. შესაბამისად, აღნიშნულ შეხვედრაში სწორედ ის მიიჩნეოდა ფავორიტად (თუკი ფინალს ფავორიტი გააჩნია). თუმცა "ლელოს" თამაშის წინ გარკვეული პრობლემები ჰქონდა. ვირუსული სურდოს გამო გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. ამან მატჩის დებიუტში თავისი დაღი დაასვა "ლელოს" თამაშს და თემურ ბენდიაშვილი "ლოკომოტივმა" პირველ ტაიმში სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. გუნდები შესვენებაზე გავიდნენ ანგარიშით - 19:10 "ლოკომოტივის" სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ლევან მაისაშვილმა თამაშში კორექტივები შეიტანა და "ლელოს" შეტევებმაც სულ სხვა ელფერი მიიღო. საკმარისია ითქვას, რომ "ლოკომოტივმა" მეორე ნახევარში ერთადერთი ჯარიმა გამოიყენა და საკუთარ აქტივში მხოლოდ 3 ქულა მიიღო. ლელომ კი თავისი ხაზის სანაქებო თამაშის წყალობით მოახერხა ლელოსა და ჯარიმების გამოყენება და თამაშში გარდატეხის შეტანა, რაც საბოლოო ჯამში გამარჯვებაში აისახა. "ლელომ" საქართველოს თასიც მოიგო და წლევანდელ სეზონში დუბლი შეასრულა.

ირაკლი ყიასაშვილი ("ლელოს" მორაგბე): ძალიან გახარებულნი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის თასი მოვიგეთ და დუბლი შევასრულეთ. თავიდან არეულად გამოვიყურებოდით და პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ მეორე ტაიმში გონზე მოსვლა შევძელით და თამაში ჩვენთვის სასურველ რიტმში გადავიყვანეთ. ვულოცავ ყველა ჩემს თანაგუნდელს ამ გამარჯვებას".

ლევან მაისაშვილი ("ლელოს" მთავარი მწვრთნელი): "ძნელია ყოველ თამაშზე გუნდს დამატებითი მოტივაცია გამოუჩინო. ამიტომ პირველ ნახევარში ჩვენთვის უაღრესად რთული ბრძოლა წარიმართა. ბიჭები თითქოს მოდფუნებულნი იყვნენ და სათანადო პასუხიც მიიღეს ამისთვის. "ლოკომოტივი" ის გუნდი არ არის, რომ ასეთი მოდუნება გაპატიოს. ამიტომაც მოხდა, რომ 19:10 წავაგეთ, მაგრამ მეორე ტამში მოვახერხეთ გადაწყობა და ჩვენთვის სასურველი თამაშის წარმართვა, რაც შედეგშიც აისახა. ვულოცავ მთელ გუნდს ამ წარმატებას. ჩვენ დუბლი შევასრულეთ".

საქართველოს თასი. ფინალი "ლელო" 23:22 "ლოკომოტივი"

ბრინჯაოსწონოსანი

გიგა გურასაშვილი

ოლიმპიური სახეობის წარმომადგენელთათვის მსოფლიოს ჩემპიონატებზე ასპარეზობას პეკინის ოლიმპიური თამაშების მონაწილე ალბერტ კუზილოვმა ბრინჯაოს მედლით დაუსვა წერტილი, რომელმაც გოიანგის (კორეა) უმთავრეს ფიცარნაგზე 105 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ატაცში 187, შემდეგ კი აკვრაში დაძლეული 221 კილოგრამით ჯამში 408 კილოგრამს მოუყარა თავი. კუზილოვზე წინ 421 კილოგრამით პოლონელ მარჩინ დოლეგა და რუსი დმიტრი ლაპიკოვი (416 კგ.) გავიდნენ, რომლებმაც შესაბამისად ოქრო ვერცხლი დაისაკუთრეს.

კუზილოვმა მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაო აწია

გუშინ დასრულებულ სეზონის უმთავრეს ასპარეზს საქართველოს ნაკრები ლონდონის ოლიმპიური თამაშებზე მოხვედრის შესაძლებლობად განიხილავდა, მაგრამ იმის გამო, რომ ძალოსნობის საერთაშორიო ფედერაციამ კორეულ ფიცარნაგს სალიცენზიო სტატუსი შეუწყვიტა და ის ანტალიის საგაისო და 2011 წლის პარიზის მსოფლიო ჩემპიონატებს გადაულოცა, საქართველოს ნაკრებმა კორეაში შეთხელებული შემადგენლობით იასპარეზა.

"იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიო ჩემპიონატი სალიცენზიო აღარაა, გადავწყვიტეთ, კორეაში შეთხელებული შემადგენლობა წავიყვანოთ. ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიებისთვის ბრძოლას კი შევუდგებით 2010 წლის ანტალიის და 2011 წლის პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატებზე. აი, კორეაში კი ჩვენი მიზანი მინიმუმ ერთი მედლის მოპოვებაა", - კორეაში გამგზავრებამდე აცხადებდა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ალეკო ნოზაძე.

მინიმუმ ერთი მედალიო ამბობდა სამწვრთნელო შტაბი და მისი დაუფლების რეალურ კანდიდატად სწორედ ალბერტ კუზილოვი მოიაზრებოდა. კარგი ისაა, რომ ამგვარი პროგნოზი გამართლდა.

ალეკო ნოზაძის შეგირდთაგან მსოფლიო ფიცარნაგზე პირველმა საკუთარი ძალები თეიმურაზ გოგიამ (94 კგ.) მოსინჯა. ეგაა, მედლისთვის ბრძოლის შანსი პირველივე მოძრაობის შემდეგ დაკარგა.

23 წლის გოგიამ ატაცი 160 კილოგრამით დაიწყო, მაგრამ მისი დაძლევა მხოლოდ მეორე ცდაზე შეძლო. მესამეზე შტანგა ხუთი კილოგრამით დაამძიმა და ესეც დაძლია. აი, აკვრაში უქულოდ დარჩენას მხოლოდ ბოლო მისვლაზე გადაურჩა. ორი უშედეგო მცდელობის შემდეგ შეკვეთილი 192 კილოგრამი მესამეშიღა დაიმორჩილა. ერთი სიტყვით, ორჭიდის ჯამში (165+192) დაძლეული 357 კილოგრამით გოგიამ მსოფლიო ჩემპპიონატი მე-15 ადგილით დაასრულა.

ქართველის წონაში საუკეთესო შედეგი პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, ყაზახ ვლადიმირ სედოვს აღმოაჩნდა - 402 კგ. მეორეზე 387 კილოგრამით აზერბაიჯანელი ნიზამი ფაშაევი გავიდა, ხოლო მესამეზე 384 კილოგრამით სამხრეთ კორეელი მინ-ჯაე კიმი.

...105 კილოგრამში კუზილოვთან ერთად გია მაჭავარიანიც ასპარეზობდა, რომელმაც ორჭიდის ჯამში (180+210) 390 კილოგრამს მოუყარა თავი. შედეგად საქართველოს ნაკრების ლიდერს ალბერტ კუზილოვს 18 კილოგრამით და ხუთი საფეხურით (მე-8 ადგილი) ჩამორჩა.

ჩემპიონატის დასკვნით დღეს მძიმეწონოსანი ირაკლი თურმანიძეს ჯერიც დადგა, რომელმაც ორჭიდის ჯამში დაგროვილი 380 (175+205) კილოგრამით მე-13 ადგილი დაიკავა. ცნობისთვის, ამავე წონაში კანადის სახელით ასპარეზობდა გიორგი კობალაძე, რომელიც 378 კილოგრამით სწორედ თურმანიძეს ჩამორჩა. აქვე ჩემპიონი გახდა სამხრეთკორეელი ან იონ ქვონი (445 კგ), ხოლო მეორე მესამე ადგილები დაიკავეს უკრაინელებმა არტიომ უდაჩინმა (445 კგ.) და იგორ შიმეჩკომ (427 კგ.). სხვათა შორის ან იონ ქვონსა და უდაჩინს ტყუპისცალი შედეგები აღმოაჩნდათ, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ კორეელი უკრაინელზე პირადი წონით უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, ოქრო ჩემპიონატის მასპინძელს დარჩა.

კარლიტოს აღიარება

კარლო ანჩელოტის სახელი მჭიდროდ უკავშირდება "მილანს". კარლიტო ფეხბურთსაც "როსონერიში" თამაშობდა და მწვრთნელობითაც ამ კლუბში გაითქვა სახელი. ახლა ანჩელოტი "ჩელსის" უდგას სათავეში და ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას ერთი "ცოდვა" აღიარა. თურმე ნუ იტყვით, ანჩელოტი ბავშვობიდან ქომაგობდა "მილანის" მთავარ კონკურენტ "ინტერს". მეტიც, ბავშვობაში კარლიტოს "ინტერის" გამო უტირია კიდეც.

"უნდა გამოგიტყდეთ, ბავშვობაში "ინტერს" ვგულშემატკივრობდი. ჩემი კერპი სანდრო მაცოლა იყო. ბიძაშვილმა "ინტერის" მაისური მაჩუქა და მას შემდეგ ამ გუნდის ნამდვილ ფანად ვიქეცი. რა თქმა უნდა, ახლა ჩემთვის ძნელია "ინტერის" მიმართ გულშემატკივრობის გამოხატვა, მაგრამ წლების წინ ამ გუნდისთვის მიტირია კიდეც. მაშინ "ნერაძური" "მანტოვას" ეთამაშებოდა. მატჩზე დასასწრები ბილეთი არ მქონდა. ამიტომ სტადიონის სიახლოვეს ვიდექი და ვისმენდი, თუ როგორ ყვიროდნენ ქომაგები. ერთ-ერთ სტიუარდს შევეცოდე და მეორე ტაიმისთვის სტადიონზე შემიშვა. მახსოვს, "ინტერმა" 6:1 მოიგო. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ცოცხლად ვნახე, თუ როგორ თამაშობდნენ ჩემი კერპები", - თქვა ანჩელოტიმ.

ტონის "რომაში" იწვევენ

თითქმის გადაწყვეტილი ამბავია, რომ ლუკა ტონი ზამთარში მიუნხენის "ბაიერნს" დატოვებს. იტალიელმა ფორვარდმა ლუი ვან გაალთან საერთო ენა ვერ გამონახა, რის გამოც კლუბის შეცვლა მოუწევს.

იტალიური მედიის ინფორმაციით, შესაძლოა, ტონი "რომაში" გადავიდეს. "ბაიერნმა" ტონი მასსა და ვან გაალს შორის არსებული დაპირისპირების შესახებ ჟურნალისტებთან საუბრის გამო 25 000 ევროთი დააჯარიმა. გარდა ამისა, კლუბის ხელმძღვანელობა ფეხბურთელისგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

გატუზო "მილანს" დატოვებს

სულ რაღაც ერთი წლის წინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ჯენარო გატუზო ოდესმე "მილანიდან" წასვლას გადაწყვეტდა, მაგრამ ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რინოს "როსონერის" მთავარ მწვრთნელთან ლეონარდოსთან დაეძაბა ურთიერთობა და ამის გამო გადაწყვიტა გუნდიდან წასვლა.

გატუზო პარასკევ საღამოს შეხვდა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის. "როსონერის" ხელმძღვანელს სურდა პირადად ფეხბურთელისგან მოესმინა, თუ რა პრეტენზია ჰქონდა მას გუნდის მწვრთნელ ლეონარდოსთან, რომელიც ბოლო დროს "რინოს" ძირითად შემადგენლობაში არ აყენებს.

როგორც იტალიური გამოცემა იტყობინება, მოლაპარაკების შედეგად გაირკვა, რომ გატუზოს "როსონერიდან" წასვლა 99 პროცენტით გადაწყვეტილია.

31 წლის ფეხბურთელი, სავარაუდოდ, კარიერას გააგრძელებს ინგლისში, სადაც მისი ხილვა ლონდონის "ჩელსის" თავკაცს კარლო ანჩელოტის და "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელებს სურთ.

ბეკენბაუერი ჰიონესმა შეცვალა

30 წლის განმავლობაში ული ჰიონესი მიუნხენის "ბაიერნის" მენეჯერად მუშაობდა. ახლა კი დაწინაურდა და გერმანული გრანდის პრეზიდენტის პოსტზე თავად ფრანც ბეკენბაუერი შეცვალა.

ჰიონესი "რეკორდმაისტერის" პრეზიდენტად კლუბის დირექტორატის ყოველწლიურ შეკრებაზე აირჩიეს. კენჭისყრის შედეგებმა დარბაზში ოვაცია გამოიწვია.

ბავარიელთა ახალი გენერალური მენეჯერი იქნება აქამდე კლუბის სპორტული დირექტორი კრისტიან ნერლინგერი. რაც შეეხება ბეკენბაუერს, ლეგენდარული გერმანელი "ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტი გახდა.

ბილიჩმა სქოთები უარით გაისტუმრა

ხორვატიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა უარი განაცხადა სათავეში ჩაუდგეს შოტლანდიის ნაკრებს. ამის თაობაზე მედიასთან ბილიჩის აგენტმა რუდი ვატამ განაცხადა.

"ბილიჩს მართლაც ჰქონდა შეთავაზება შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციისგან, მაგრამ ამ წინადადებით ის არ დაინტერესებულა. ხორვატიის ნაკრებთან ერთად სლავენი სრულად დაიხარჯა და ახლა დასვენება სჭირდება," - განაცხადა ვატამ.

რომაულ-სიცილიური გაცვლა

ზამთრის სატრანსფერო პერიოდის გახსნისთანავე შესაძლოა "რომამ" და "ნაპოლიმ" ფეხბურთელები გაცვალონ. სიცილიიდან დედაქალაქისკენ გეზს აიღებს 23 წლის ნახევარმცველი ლუკა ჩიგარინი, საპირისპირო მიმართულებით კი არგენტინელი ნახევარმცველი კრისტიან ლედესმა გაემგზავრება.

როგორც ცნობილია, ლედესმას რომაელებთან კონტრაქტის გაწყვეტა სურს, რადგან კლუბის პრეზიდენტ კლაუდიო ლოტიტოსთან კონფლიქტის გამო სამი თვეა სათამაშო პრაქტიკის გარეშეა.

ფეხბურთელები დააპატიმრეს

ჩინეთის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს განცხადებით, ამ ქვეყნის ეროვნული ჩემპიონატის გარიგებულ მატჩებში მონაწილეობის ბრალდებით რამდენიმე ყოფილი ფეხბურთელი დაკავეს.

უცხოური მედიის ინფორმაციით, სულ 16 ფეხბურთელია დაკავებული.

ერთ-ერთი ასეთი მატჩი 2006 წელს გაიმართა. ჩინეთის მეორე დივიზიონის წარმომადგენელმა "გუანჯოუმ", რომლის გენერალური მენეჯერი მეტოქის მოსყიდვაშია ეჭვმიტანილი, კლუბი "შანსი" 5:1 დაამარცხა. პოლიციის მონაცემებით, "შანსის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს შეხვედრის წინ დიდი ანგარიშით წაგება დაავალა.

ამ ცოტა ხნის წინ ასეთივე გამოძიება გერმანიის პოლიციამ და უეფამ ევროპაში დაიწყეს.

მოურინიოს წყალი შეუდგა

ჩემპიონთა ლიგაზე "ბარსელონასთან" მარცხის შემდეგ ჟოზე მოურინიოს გათავისუფლებაზე ალაპარაკდნენ. იტალიური მედია ამტკიცებს, რომ მასიმო მორატი პორტუგალიელის მოსაცილებლად ნებისმიერ მიზეზს გამოიყენებს. ჯერჯერობით კი მოურინიოს თითქმის ულტიმატუმი წაუყენეს. "ინტერის" მთავარი მწვრთნელი თანამდებობას დაემშვიდობება, თუ გუნდი ჩემპონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბარიერს ვერ დაძლევს.

ქველმოქმედი დროგბა

ლონდონის "ჩელსისა" და კოტ დ`ივუარის ნაკრების ფორვარდმა დიდიე დროგბამ 2.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიღო სამშობლოში საავადმყოფოს ასაშენებლად. დროგბას დაფინანსებით საავადმყოფო კოტ დ`ივუარის დედაქალაქ აბიჯანში აშენდება.

"ამ ქალაქიდან ორი მილის მოშორებით გავიზარდე და მინდოდა ამეშენებინა საავადმყოფო, რომელშიც ჩემი თანასოფლელები მივლენ და სამედიცინო დახმარებას მიიღებენ. აქაურები მართლაც ძალიან ღარიბები არიან. სიღატაკეში ვიზრდებოდი მეც და მინდა მადლობა გადავუხადო იმ ხალხს, ვინც ჩემს მიმართ სიკეთეს იჩენდა. მე დავამტკიცე, რომ, სიღარიბის მიუხედავად, თითოეულ ადამიანს რაღაცის მიღწევა შეუძლია. ჯერჯერობით აქ საავადმყოფოს წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. როდესაც ამ ჰოსპიტლის კარს გავაღებ, ჩემი ბავშვობის ყველაზე დიდი ოცნება ახდება," - ამბობს დროგბა.

"არსენალი" ვან პერსის გარეშე დარჩა

ჰოლანდიისა და იტალიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში რობინ ვან პერსი სერიოზულად დაშავდა. ახლა მას მუხლის ოპერაციას გაუკეთებენ და ოთხ-ხუთ თვეს ვერ ითამაშებს.

"შოკირებული ვარ, რადგან რამდენიმე თვე მომიწევს ფეხბურთის გარეშე ყოფნა. მიმდინარე სეზონში საუცხოოდ ვთამაშობდი. ვფიქრობ, წინა წლებთან შედარებით, მოედანზე გაცილებით უკეთ ვმოქმედებდი. ვგრძნობდი, რომ თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდი და ხელს ვერაფერი შემიშლიდა. ძალიან საწყენია, რომ ჩემი საუცხოო სტარტი ამხანაგურ მატჩში მიღებულმა ტრავმამ შეაჩერა," - განაცხადა ვან პერსიმ.

"ოლიმპი" მდევრებს მოწყდა

მიხეილ აბაიშვილი

თემურ მახარაძის ხელში რუსთავის "ოლიმპი" სულ უფრო საფუძვლიან პრეტენზიას გამოთქვამს ჩემპიონის ტიტულის დასაკუთრებაზე და შემჩერებელიც არავინ ჩანს. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც რუსთაველებმა გასვლით მატჩში ჩემპიონი - თბილისის "ვიტ ჯორჯია" დაამარცხეს, 4 ქულით გაუსწრეს უახლოეს მდევარს და თითქმის გაინაღდეს შემოდგომის ჩემპიონის ტიტული.

ეს მატჩი გორში გაიმართა, სადაც "ვიტ ჯორჯია" ბოლო სეზონნახევრის განმავლობაში საშინაო შეხვედრებს მასპინძლობს. თუმცა, მალე ვეტერინარები "მდგმურის" როლში აღარ იქნებიან: უეფას საგრანტო პროგრამა "ჰეთთრიკის" ფარგლებში დასასრულს უახლოვდება მცხეთის "არმაზის" სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სადაც 2010 წლიდან გადაინაცვლებს და მესამე წრის მატჩებს უკვე ახალ, ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩაატარებს. მანამდე კი, როგორც უკვე ვთქვით, სეზონის ერთ-ერთ ყველაზე პრინციპულ მატჩში კოჭლაშვილის შეგირდებმა "ოლიმპს" გორში უმასპინძლეს. "ვიტ ჯორჯიას" ქომაგთათვის სამწუხაროდ, ამ თამაშში მონაწილეობა ვერ მიიღეს გუნდის წამყვანმა ფეხბურთელებმა ვახტანგ კვარაცხელიამ და ალექსანდრე კვახაძემ. ამის გამო გუნდის დაცვას აკლდა დამაჯერებლობა, შეტევას კი - სიმწვავე. საპირისპიროდ, "ოლიმპი" უდანაკლისოდ შეხვდა ჩემპიონატის ეკვატორს. მახარაძეს შემადგენლობაში პრობლემები არ ჰქონია. პირიქით, როდესაც გუნდს იმის ფუფუნება აქვს, რომ "ატლეტიკო პარანაენსედან" მოწვეული ორი ბრაზილიელი ლეგიონერი სათადარიგოთა სკამზე დატოვოს, ნათელია, რომ "ოლიმპი" ეროვნულ ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე უკეთ დაკომპლექტებული გუნდია.

მატჩი მასპინძელთა მცირე უპირატესობით წარიმართა, რაც, როგორც ჩანს, არ ეწინააღმდეგებოდა თემურ მახარაძის ჩანაფიქრს. რუსთაველები განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან და სწორედ კარის უსაფრხოებაზე ზრუნვას უთმობდნენ ყურადღებას, თუმცა, ეს სულაც არ უშლიდათ ხელს, მეტოქის კართან დაეძაბათ ვითარება. ანგარიში სწორედ სტუმრებმა გახსნეს, როცა მასპინძლებს ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნა არ გამოუვიდათ და ჭედია მეკარე მიქაბერიძესთან პირისპირ დარჩა. "ოლიმპისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელს გოლის გატანა არ გასჭირვებია. ეს 26-ე წუთზე მოხდა. ხუთიოდე წუთში მასპინძლებმა პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვეს - "ოლიმპის" დაცვამ საკუთარ საჯარიმოში ლიპარტია მოცელა და მთავარმა არბიტრმა კვარაცხელიამ უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. ლუკა რაზმაძემ ზუსტად შეასრულა პენალტი და ანგარიში გათანაბრდა.

მატჩის მეორე ნახევარიც ანალოგიური სცენარით წარიმართა. გოლის გატანის უფრო მეტი შანსი მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ჭედიამ კი არც მეორე შანსი გაუშვა ხელიდან და 70-ე წუთზე ზუსტი თავური დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა "სპარტაკისა" და "ზესტაფონის" შეხვედრაში, რომელიც უხვგოლიანობით გამოირჩა და საბრძოლო ყაიმით დასრულდა. როგორც ერთი, ისე მეორე გუნდის ფეხბურთელებმა სტაფიონზე მისულ ქომაგს მოწყენის საშუალება არ მისცეს და 3-3 გოლი გაიტანეს. შეხვედრა 3:3 დასრულდა. ამ შედეგით ყველაზე მეტად იხეირა რუსთავის "ოლიმპმა", რომელმაც "ზესტაფონის" წაბორძიკებით სატურნირო ცხრილში კომფორტული - 4-ქულიანი ჰანდიკაპი მიიღო.

საინტერესო მატჩი გაიმართა თბილისში, მიხეილ მესხის არენაზე. "დინამომ" ზუგდიდის "ბაიას" უმასპინძლა. ერთადერთი გოლი ბოლო წლებში "დინამოს" საუკეთესო ფეხბურთელის გიორგი მერებაშვილის ანგარიშზეა. "ბაიამ" ამ თამაშში ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და, უიღბლობა რომ არა, სულ მცირე, ქულას მაინც აიღებდა. ზუგდიდელთათვის სამწუხაროდ, რამდენჯერმე ხელსაყრელი სიტუაციიდან გოლი ვერ გაიტანა ჯიქიამ. ორჯერ ძალამიძე იყო მიზანთან ახლოს, მაგრამ დამაგვირგვინებელი დარტყმა ვერ მოახერხა.

მე-16 ტური

ვიტ ჯორჯია - ოლიმპი	1:2
სპარტაკი - ზესტაფონი	3:3
სიონი - ლოკომოტივი	0:0
გაგრა - სამტრედია	1:1
დინამო - ბაია	1:0

ოლიმპი - 39 ქულა, ზესტაფონი - 35, ვიტ ჯორჯია - 29, დინამო - 23, სამტრედია - 21, სპარტაკი - 20, სიონი - 15, გაგრა - 13, ბაია - 12, ლოკომოტივი - 8.

ქართველთა წარმატებული ბაშო

ტოჩინოშინმა სეზონი ტრიუმფით დაასრულა

სუმოისტთა სეზონის უკანასკნელი ბაშო ქართველებმა ცუდად დაიწყეს. პირველ დღეს სამივე ქართველი ათლეტი დამარცხდა, თუმცა მერე ვითარება გამოსწორდა. გუშინ კი 2009 წლის ბოლო სუპერტურნირი დასრულდა. სამივე ქართველს დადებითი ბალანსი აქვს, მეტიც, ახალგაზრდა მცხეთელმა რიკიშიმ ლევან გორგაძემ კარიერის საუკეთესო შედეგით დაასრულა ბაშო, ვირტუალურ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი დაიკავა და ტურნირის შედეგებით საბრძოლო სულისკვეთების პრიზიც მოიგო. ეს ტოჩინოშინის პირველი ჯილდოა ელიტურ დივიზიონში. იმედი ვიქონიოთ, რომ ის ტიტულების კოლექციას უფრო გაამრავალფეროვნებს.

ამ ბაშოზე გაიმართა თეიმურაზ ჯუღელის დებიუტი ელიტის რანგით მეორე ძუროს დივიზიონში. გაგამარუმ ბაშო არც ისე დამაჯერებლად ჩაატარა და 11 დღის შემდეგ 7 მარცხი ჰქონდა, რაც ტურნირის დადებითი ბალანსით დასრულების შანსს არ აძლევდა. თუმცა თეიმურაზმა შეუძლებელი შეძლო - დარჩენილ ოთხ დღეში ერთხელაც არ წაიფორხილა და ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა. ასევე მოხდა ლევან ცაგურიას შემთხვევაში მაკუჩი დივიზიონში. კოკაიმ ზედიზედ მოიგო ბოლო ოთხი ბრძოლა და დადებითი ბალანსით დაასრულა სუპერტურნირი, რაც ვეტერან ქართველს სარეიტინგო წინსვლის გარანტიას აძლევს.

რაც შეეხება ტოჩინოშინს, მან დადებითი ბალანსი ბაშოს დასრულებამდე კარგა ხნით ადრე გაინაღდა. გორგაძემ არც ამის შემდეგ მოადუნა ყურადღება და ტურნირი 12 გამარჯვებით დაასრულა. შედარებისთვის: სუმოს ცოცხალმა ლეგენდამ ასოშორიუმ ამ ბაშოზე ოთხი ბრძოლა წააგო და სატურნირო ცხრილში ტოჩინოშინს ჩამორჩა. იმპერატორის თასს კი დაეუფლა იოკოძუნა ჰაკუჰო, რომელმაც ასპროცენტიანი მაჩვენებლით დაასრულა ბაშო.

სუმოისტთა რეიტინგი დეკემბრის ბოლოს გამოქვეყნდება, თუმცა ახლავე შეიძლება ითქვას, რომ მერვე მაეგაშირას რანგში მყოფი ტოჩინოშინი საგრძნობლად დაწინაურდება. იმის თქმა, თუ რომელ საფეხურზე ავა ქართველი, ძნელია, თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლევან გორგაძე კომუსუბის ტიტულით დაასრულებს სეზონს.

მე-12 გვერდიდან

წილობრივი მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.16.01.020.015.01.035).

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

კომისიის მიერ დადგენილი საწყისი ფასი - 50 000 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი -1000 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 20000 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.

ლოტი N 17

მისამართი - წერეთლის გამზირი N77-ში მდებარე შენობა ნაგებობები N1 N2 N3 N4 N6 საერთო ფართით 3622კვ.მ. და შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N01.13.06.004.023).

გაცემის ფორმა - აუქციონი პირობებით

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის სააუქციონო პირობები

ა). Qქონების საწყისი ფასი - 735000 ლარი;

ბ). აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 5000 ლარი.

გ). აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 294000 ლარით.

დ). აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს.

ე). საგანმანათლებლო ან სააღმზრდელო საქმიანობის განხორციელელება.

ლოტი N 18

მისამართი - დაბა კოჯორი 20064 კვმ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი N81.01.06.317) და მასზე განთავსებული შენობა ნაგებობები N1-დან N9-მდე

გაცემის ფორმა - აუქციონი;

სარგებლობის ფორმა - საკუთრება;

კომისიის მიერ დადგენილი საწყისი ფასი - 823000 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი - 2000 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 329200 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 500 ლარს. სამშენებლო განვითრება საცხოვრებელი ზონის ფუნქციით (სზ-1).

ლოტი 19

N70 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების
ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი

შავი ლითონი 0.4 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 40 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი

აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N70 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა ჯართის წონის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

Lლოტი: 20

N155 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების
ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი

შავი ლითონი 0.13 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 13 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი

აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N155 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა ჯართის წონის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

Lლოტი: 21

N67 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების
ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი

შავი ლითონი 1.22 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 122 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი

აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N67 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა ჯართის წონის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

Lლოტი: 22

N4 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების
ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი

შავი ლითონი 0.305 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 30.5 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი

აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N4 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა ჯართის წონის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

ლოტი: 23

N196 ბაგა-ბაღის ბალანსიდან ძირითადი საშუალებების
ჩამოწერის შედეგად მიღებული ჯართი

შავი ლითონი 0.18 ტ (სავარაუდო წონა)
საწყისი საპრივატიზებო ფასი: 1 ტონაზე გაანგარიშებით - 250 ლარი
"ბე"-ს ოდენობა 18 ლარი;
აუქციონის მონაწილის ბილეთის საფასური 5 ლ.
აუქციონის ბიჯი - 1 ტონაზე გაანგარიშებით - 5 ლარი

აუქციონის პირობებად განისაზღვროს:

- მაქსიმალური ღირებულების გადახდა;
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს N196 ბაგა-ბაღის და მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ზუსტი წონის დადგენა 21 დღის ვადაში.
- აუქციონში გამარჯვებულმა, საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ჯართის დაჭრა, გატანა ან სხვა შესაბამისი ხარჯების გაღება.
- მთლიანი ღირებულების გადახდა ჯართის წონის დადგენიდან 30 დღის განმავლობაში.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად განცხადებები მიიღება საინფორმაციო ცნობის პრესაში პირველივე გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, 2009 წლის 30 ნოემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით 18:00 საათამდე, აუქციონი გაიმართება 2009 წლის 30 დეკემბერს 18:00 საათზე.

აუქციონში მონაწილეობისათვის ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა "დედაქალაქის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას" უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

იურიდიული პირისათვის:

— ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
— ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა (რწმუნება), თუ პირი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
— სადამფუძნებლო დოკუმენტაციის (წესდების) დამოწმებული ასლი;
— კრების ოქმის (გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის შეძენაზე) დამოწმებული ასლი;
— "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
— ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
— პირადობის მოწმობის ასლი.

Fფიზიკური პირისათვის:

— "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბუთი (დედანი ასლთან ერთად);
— ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (დედანი ასლთან ერთად);
— პირადობის მოწმობის ასლი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გარდა იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთაც სამშენებლო განვითარების პირობად აქვთ მომიჯნავე ნაკვეთთან გაერთიანება და განვითარება, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ ასევე მომიჯნავედ არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან) ან მომიჯნავედ არსებული უძრავი ქონების მესაკუთრის თანხმობა შემდგომში ნაკვეთების გაერთიანებისა და ერთობლივი განაშენიანების შესახებ.

P მიწის ნაკვეთზე პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში იხდის საბოლოო თანხას, ხოლო პირობებით გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი აუქციონის პირობებით გამოცხადებულ ვადაში შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773390.

Mმიწის ნაკვეთზე სარგებლობის ფორმით გადასაცემ (იჯარა) მიწის ნაკვეთზე გამარჯვებული პირი გადასახდელ თანხას (ქირას) იხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773047.

A ადგილობრივი თვითმმართველი ერთულის საკუთრებაში არსებული ქონების (შენობა-ნაგებობები შესაბამისი მიწის ნაკვეთით) გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773313.

A ადგილობრივი თვითმმართველი ერთულის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773332.

A ადგილობრივი თვითმმართველი ერთულის საკუთრებაში არსებული სხვა მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773344.

A ადგილობრივი თვითმმართველი ერთულის საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლებით გაცემის აუქციონში გამარჯვებული პირი იხდის თანხას შემდეგ საბანკო რეკვიზიტზე: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ანგარიშის N200122900; ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773231.

ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს:P
მიზნობრივი "ბე"-ს ანგარიში N145532300
მერიის ს/კ 204521794
მიმღები ქ. თბილისის მერია
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი 220101502.
აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს:
მიმღები: ერთიანი ანგარიში (არასაგადასახადო)
საინდენტიფიკაციო კოდი: 206160606
ანგარიში: 200122900
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 300773282.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ქ. თბილისის მერიას შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, 0160, ჟ. შარტავას ქ. N7, ტელ: (832) 37-81-27; (832) 37-83-65.

ოდო ორ თვეს დაისვენებს

"მილანის" მარჯვენა მცველი მასიმო ოდო ორ თვეს დაისვენებს. ფეხბურთელმა "მარსელისა" და "მილანის" მატჩში მიიღო ტრავმა.

"მომავალ კვირაში ფეხბურთელს სამედიცინო ტესტები ჩაუტარდება, მაგრამ, წინასწარი პროგნოზით, ის 40-60 დღის შემდეგ შეძლებს მოედანზე დაბრუნებას," - ნათქვამია მილანური კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

"ღამურები" ბენ არფას ყიდულობენ

ესპანურ "ვალენსიაში" ფინანსური კრიზისი გრძელდება და ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გუნდი ალბათ რამდენიმე წამყვან ფეხბურთელს შეელევა.

პირველ რიგში საუბარია დავიდ ვილიას ან დავიდ სილვას გაყიდვაზე. "ღამურებისთვის" იდეალური გამოსავალი იქნება, თუ მათ ორივე ვარსკვლავის გაყიდვა არ მოუწევთ.

ესპანური მედიის ვარაუდით, უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ გაიყიდება დავიდ სილვა. კლუბის მესვეურები ახლა სწორედ მისი შემცვლელის ძიებით არიან დაკავებულნი. თავიდან საუბარი იყო "სტანდარდის" სერბ ნახევარმცველ მილან იოვანოვიჩზე, თუმცა, ახლა "ღამურებმა" ჰატემ ბენ არფაზე შეაჩერეს არჩევანი.

22 წლის ბენ არფა "მარსელის" საუკეთესო ფეხბურთელად ითვლებოდა, თუმცა ბოლო დროს უფრო შეცვლაზე ათამაშებენ.

ბენ არფას საფრანგეთის ყველა ასაკობრივ ნაკრებში უთამაშია. მთავარ ნაკრებში კი 7 მატჩი აქვს ჩატარებული და ერთი გოლიც გაიტანა. "მარსელამდე" ის "ლიონში" იყო და ძალიან კარგადაც გამოიყურებოდა. სპეციალისტებმა პროვანსულ კლუბში მისი გაყიდვა სენსაციად მონათლეს.

ჩევანტონი "ატალანტაში" ითამაშებს

"სევილიას" ურუგვაელი ფორვარდი ერნესტო ჩევანტონი იანვრიდან იტალიურ "ატალანტაში" ითამაშებს. კლუბებს შორის უკვე გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვით, ჩევანტონი აპენინის ნახევარკუნძულზე იჯარის წესით გააგრძელებს ასპარეზობას. 29 წლის ფეხბურთელმა "სევილიას" თავკაც მანოლო ჰიმენესის ნდობა ვერ დაიმსახურა. ჩევანტონს ლუის ფაბიანუსთან, ფრედერიკ კანუტესთან და ალვარო ნეგრედოსთან უხდება კონკურენცია.

"ატალანტას" ურუგვაელი ფორვარდის გამოსყიდვის უფლება ექნება. შეთანხმება მომავალი წლის იანვრიდან შედის ძალაში, თუმცა, ჩევანტონს ახალ გუნდთან ერთად ვარჯიშის ნება უკვე მისცეს.

"პატარა ბუდა" კარიერას ამთავრებს

ერთ დროს ესპანური ფეხბურთის მთავარ იმედად მიჩნეული, კატალონიური "ბარსელონას" აკადემიის აღზრდილი ივან დე ლა პენია კარიერას ამთავრებს. "პატარა ბუდა" ახლა "ესპანიოლში" ირიცხება, მაგრამ მუდმივი ტრავმების გამო თამაშს ვერ ახერხებს. "ახლა კარიერის დასრულების შესახებ უფრო ხშირად ვფიქრობ, ვიდრე ეს ოდესმე ყოფილა. ვარჯიში არ შემიძლია, ძლიერ ტკივილს განვიცდი, მაგრამ თამაში მინდა. თუ ეს არ გამომივა, ფეხბურთს თავს დავანებებ", - ამბობს დე ლა პენია.

ჟაკეს რჩევა

ფეხბურთის ცნობილ ფრანგ სპეციალისტს ემე ჟაკეს მიაჩნია, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას "სამფეროვანთა" თავკაცი რაიმონ დომენეკი ევრო 2008-ის შემდეგ უნდა გაეთავისუფლებინა თანამდებობიდან. "ნაკრების სათავეში ოთხი წელიწადი ყოფნა საკმარისზე მეტია. უფრო დიდი ხნის განმავლობაში ეს ტვირთი ძალიან მძიმდება. ბევრი ფაქტორი ჩნდება, რაც მწვრთნელს ნაყოფიერად მუშაობაში ხელს უშლის", - ამბობს ჟაკე.

ემე ჟაკეს თავკაცობით ფრანგებმა მათივე სამშობლოში გამართული მუნდიალის ფინალში ბრაზილიის ნაკრები დაამარცხეს და პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

"პორტსმუთი" ზამთარში გაძლიერდება

ინგლისის ჩემპიონატის აუტსაიდერ "პორტსმუთის" მესვეურები იმედოვნებენ, რომ პრემიერლიგის ხელმძღვანელობა კლუბს იანვრის სატრანსფერო პერიოდში ახალი ფეხბურთელების შეძენის აკრძალვას მოუხსნის. "პორტსმუთის" მფლობელმა ალი ალ-ფარაიმ უკვე განაცხადა თანხმობა შემადგენლობის გასაძლიერებლად საჭირო თანხის გამოყოფაზე.

პრემიერლიგამ "პორტსმუთი" საფეხბურთო ოპერაციების დროს სხვა გუნდებისადმი დავალიანების გამო დასაჯა და დროებით ახალ მოთამაშეებთან ხელშეკრულებების გაფორმება აუკრძალა.

ცოტა ხნის წინ გუნდის სამწვრთნელო შტაბს სათავეში ჩაუდგა ფეხბურთის ებრაელი სპეციალისტი ავრაამ გრანტი, რომელმაც ლონდონის "ჩელსიში"

დავიდ AND CO

ზურაბ თალაკვაძე

ლონდონში ძალიან მაგარი ამბები დატრიალდა. არაოფიციალურ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩოგბურთში ვისაც უნდა მოეგო, ვერ მოიგო, ფავორიტებმა მთლად თუ არ "დაიკიდეს" მთელი ტურნირი, ბოლომდეც არ დახარჯულან. მოკლედ, ერთი ხატაბიჩიღა აკლდა ნისლიან ალბიონს და ტურნირი იქნებ ფერნანდო ვერდასკოსაც მოეგო. საბოლოოდ კი...

ერთ ჯგუფში მსოფლიოს პირველი ჩოგანი და დიდი სლემის 15 ტურნირის მომგები როჯერ ფედერერი, მაგარ ჯანზე მოსული სქოთი ენდი მარეი, ამერიკის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონი ხუან მარტინ დელ პოტრო და წელს კარიერაში საუკეთესო ფორმაში მყოფი ვერდასკო იყვნენ, მეორეში კი წილისყრამ ნოვაკ ჯოკოვიჩი (ანუ მოქმედი ჩემპიონი), რაფაელ ნადალი (ანუ ყველგან და ყოველთვის ფავორიტი), რობინ სოდერლინგი (ანუ წელს ფედერერის გარდა ყველას მომგები) და კოლია დავიდენკო (ანუ საკუთარ თავზე ყველაზე მაგარი მეფსონე) შეყარა ერთად.

მერე მაგარი ამბები დატრიალდა. მარეიმ ვერდასკოს ისე ვერ მოუგო, რომ ფედერერსა და დელ პოტროს გეიმები ეთვალათ და საბოლოოდ, სქოთი ჯგუფში ჩატოვეს. მაგარი ბოღმიანი კაცი გამოდგა როჯერი - შარშანდელი წყენა არ დაავიწყდა, როდესაც მარეიმ არაფრისმომცემ (მისთვის) შეხვედრაში შვეიცარიელს მაინც აჯობა და ჯგუფში ჩატოვა.

მეორე ჯგუფიდან ნახევარფინალში დავიდენკო და სოდერლინგი გავიდნენ, სკანდინავიელს კი ბოლო მატჩში, რუსის წინააღმდეგ, ერთადერთი სეტის მოგება დასჭირდა. ორი შეხვედრის მომგები ჯოკოვიჩი სტატისტად იქცა. ნადალმა კი გაიგულავა ბრიტანეთში, ალბად ბლომად ჩიფსი, თევზი და ლუდიც მიარტყა და დევისის თასის ფინალისთვის მზადებასაც მშვიდად დაიწყებს.

ნახევარფინალში როჯერი კოლიას შეხვდა, დელ პოტროს ოპონენტი კი რობინ სოდერლინგი იყო.

რაც დავიდენკო ჩოგბურთს პრო-ტურზე თამაშობს, მას მერე რამდენჯერაც შეხვდა როჯერს, იმდენჯერ შვეიცარიელმა მოიგო, ანუ წინა 12 შეხვედრიდან ყველაში ფედერერი იყო ძლიერი. თავისთავად, ულაპარაკო ფავორიტიც მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ. მეორე ჯახში კი ელემენტარული სათამაშო კლასის გამო, უპირატესობა ამერიკის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონის, ანუ დელ პოტროს მხარეს უნდა ყოფილიყო.

დავიდენკომ ძალიან მაგრად დაიწყო ფედერერთან მატჩი და როჯერი ეგრევე მიაბრეიკა, საკუთარი მოწოდება შეინარჩუნა და მცირე, მაგრამ კომფორტული ჰანდიკაპიც დააფიქსირა. მერე, ერთი გეიმით როჯერიც აფედერერდა და ბრეიკი დაიბრუნა, თუმცა სეტის ბოლომდე რუსმა კიდევ ორჯერ აიღო ფენომენის მოწოდება და საბოლოოდ, პირველი სეტი დავიდენკომ 6:2 მოიგო. როჯერს ამ დროში 12 უნებლიე შეცდომა ჰქონდა და

ლონდონის ტრიუმფატორი კოლია დავიდენკო

აქტიურად ერთადერთი (!) გათამაშება დაასრულა თავის სასარგებლოდ.

მეორე სეტში შვეიცარიელი თავიდანვე ცდილობს უპირატესობის მოპოვებას, ბადესთან გასვლასაც არ ერიდება და... ამას მხოლოდ ის მოაქვს, რომ ფედერერი საკუთარ მოწოდებას არ აგებს, დავიდენკოს სერვისზე კი კვლავ უშანსოდაა. ერთ-ერთ მომენტში, კერძოდ კი მეცხრე გეიმში, დავიდენკოც მოეშვა, ორმაგი და უნებლიე შეცდომები ერთმანეთს მიაყოლა და როჯერმაც ნანატრი ბრეიკი გამოჭედა, მოგვიანებით საკუთარი მოწოდება შეინარჩუნა და სეტობრივი თანაფარდობა აღადგინა - 6:4.

მესამე სეტი კი ტურნირის მშვენება იყო.

ბევრი საბრეიკო შანსი არცერთს არ ჰქონია, მაგრამ ყოველი გათამაშების მოსაგებად როჯერსაც და კოლიასაც მაქსიმუმის დემონსტრირება სჭირდებოდათ. ასე მივიდნენ მეტოქეები მეთერთმეტე გეიმამდე, რომელშიც როჯერმა თავიდან 30:0 კი წაიყვანა, მაგრამ მერე ორი უაზრო შეცდომა დაუშვა და ზედ ორმაგიც დააყოლა. ერთი გათამაშების სხვისი დახმარების გარეშე მოგება დავიდენკომაც იკადრა და სამატჩოდ მოსაწოდებლად მოემზადა.

6:5 და აწვდის დავიდენკო. ფედერერი პირველი ოთხიდან ორ გათამაშებას იგებს. მერე კი ცდება კოლია და ბრეიკ პოინტი!

აქ კი რუსმა არაჩვეულებრივი დარტყმების მთელი კასკადი აჩვენა, ფედერერმა კი პირველივე მატჩ პოინტზე ბექჰენდით ბურთი ბადეში გაახვია და ფინალშიც დავიდენკო გავიდა.

მეორე ჯახში კი დელ პოტრომ თავიდანვე ხუანმარტინული ამბები დაატრიალა. ანუ, როგორც თითქმის ყოველთვის ხდება, არგენტინელმა პირველ სეტში მეტოქეზე ბევრი ეისი მოაწოდა, მეტოქეზე ბევრი ბრეიკ პოინტი ვერ გამოიყენა და მეტოქეზე ბევრი შეცდომა დაუშვა საკუთარ მოწოდებაზე. სოდერლინგიც მაგრად დადგა და ყველაფერი ლატარეამ გადაწყვიტა. აქ კი ხუან მარტინმა თავიდანვე წააგო თავისი ორი მოწოდება და რობინი, რომელმაც წელს, დელ პოტროს მსგავსად რამდენჯერმე ნადალი მიჩოგნა, პირველ სეტს 7:6 (1) იგებს.

კიდევ ორი ბრეიკ პოინტი მიეცა არგენტინელს მეორე სეტის სტარტზევე, მაგრამ სოდერლინგმა მიჯრით ორჯერ დააეისა (სულ - 17), ანგარიში გაათანაბრა და ასე 4:3-მდე მივიდა. მერვე გეიმში შვედი თითქოსდა კომფორტულად დაწინაურდა (30:0), მაგრამ დელ პოტრომ მკვლელი ფორჰენდი აამუშავა, ბრეიკიც გააკეთა და საბოლოოდ, ანგარიშიც გაათანაბრა - 6:3.

დისაიდერში სოდერლინგი მოგებასთან მაგრად ახლოს იყო, 4:2 გავიდა წინ, მაგრამ ბოლოს მაინც დელ პოტროს კლასმა და ასეთ სიტუაციებში მეტმა სათამაშო პრაქტიკამ გაჭრა - არგენტინელმა ანგარიში გაათანაბრა, ბოლოს კი გადამწყვეტი ტაი ბრეიკი თავის სასარგებლოდ ჩაამთავრა.

"წლევანდელი სეზონი საუკეთესოა ჩემს კარიერაში და ამ მატჩის წაგების მიხედავად, სეზონს დადებითად ვაფასებ. შემდეგი წლიდან უკვე ახალ, მანამდე ჩემთვის უცნობ დონეზე ადგილის შენარჩუნება მომიწევს, რაც ძალიან რთული იქნება. ვითამაშე დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში, გავედი შემაჯამებელი ტურნირის ფინალში და საკმაოდ სტაბილურიც ვიყავი. ახალ სეზონში ბევრად უკეთ უნდა ვითამაშო. უამრავი სარეიტინგო ქულა მექნება დასაცავი და მაქსიმალურად დავიხარჯები", - ასე დაასრულა თავისი პრეს-კონფერენცია სოდერლინგმა.

არშემდგარი ფინალი

ფინალში ნიკოლაი დავიდენკო და ხუან მარტინ დელ პოტრო გავიდნენ.

დავიდენკომდე ამ ტურნირის (რომელიც ადრე სხვადასხვა ქალაქებში იმართებოდა) ჩემპიონი არცერთი რუსი არ ყოფილა, ფინალში კი 1997-ში ევგენი კაფელნიკოვი გასულა, თუმცა ჩემპიონობა ვერც მან მოახერხა. შარშან, კაფელნიკოვის შედეგი დავიდენკომ გაიმეორა, მაგრამ გადამწყვეტი შეხვედრა სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან დათმო.

ფავორიტი მაინც დელ პოტრო იყო. ამავე დროს, იმასაც ყველა ეთანხმებოდა, რომ კოლია ასეთ მაგარ ფორმაში მთელი სეზონის განმავლობაში არ ყოფილა. ხუმრობაა, ერთ ტურნირზე მოუგო ფედერერს, ნადალს, სოდერლინგს და სულელური შეცდომები რომ არა, კინაღამ ჯოკოვიჩიც დაამარცხო?!

ნაღდად ძნელი წარმოსადგენი იყო, ფინალი ასეთი მოსაწყენი თუ იქნებოდა. დელ პოტრომ ვერ მოასწრო ენერგიის აღდგენა სოდერლინგთან დაძაბული სამსეტიანი ღამის თრილერის შემდეგ და დავიდენკომაც (სრულიად დამსახურებულად) აჯობა არგენტინელს, მიმდინარე სეზონში კი მეხუთე საერთეულო ტურნირი მოიგო.

დელ პოტროს რუსის მოწოდების აღების საუკეთესო შანსი მეორე სეტის მეშვიდე გეიმში მიეცა, როდესაც ერთბაშად სამი ბრეიკ პოინტი ჰქონდა. დავიდენკომ ხუან მარტინს ორჯერ დაუკროსა ბექჰენდით, ერთხელ კი არგენტინელი ბადესთან შეყოვნდა და რუსმა მაგარი ზუსტი აბრაგნით მოახერხა სიტუაციის გათანაბრება.

დავიდენკოსა და დელ პოტროს ფინალის აღწერას აზრი არ აქვს, რადგან ბრძოლა პრაქტიკულად, არ ყოფილა. რუსი დომინირებდა, დაღლილი დელ პოტრო კი ბოლომდე ცდილობდა სიტუაციის გათანაბრებას, მაგრამ ძალა არ ეყო.

ტურნირის 40-წლიან ისტორიაში საუკეთესო რვა მამაკაც ჩოგბურთელში პირველად იპირველა რუსმა, თუმცა ნაღდად ვერავინ იტყვის, რომ დავიდენკოს ეს მოგება არ დაუმსახურებია. კოლიამ პირადი საბანკო ანგარიში თითქმის 800 000 ევროთი შეივსო.

"საკუთარი თავის ბოლომდე მჯეროდა, თუმცა ახლაც ვერ ვაცნობიერებ მომხდარს და იმასაც, რომ ერთი კვირის განმავლობაში ამდენი ძლიერი მოწინააღმდეგე დავამარცხე. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ტურნირის ორგანიზატორებს, რომლებმაც ყველას დიდი საჩუქარი გაუკეთეს. დიდი მადლობა ხუან მარტინს, რომელიც დიდი ჩოგბურთელია და ძალიან ბევრს მიაღწევს. ვეცდები, ტემპი არ დავაგდო და მომავალ სეზონში უკეთესი ჩოგბურთი ვითამაშო", - განაცხადა დაჯილდოების ცერემონიალზე დავიდენკომ, ვისაც ერთეულებში უკვე 19 ტურნირი აქვს მოგებული.

ლონდონი. მასტერსის თასი

ნახევარფინალი: **ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)**-როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:2, 4:6, 7:5, **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)**-რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 6:7, 6:3, 7:6.

ფინალი: **ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:3, 6:4.